

საქართველოს
ადვოკატთა
ასოციაციის ეთიკის
კომისიის რჩეული
რეკომენდაციები
ადვოკატებისთვის



2013-2021

ნატია ჩოგოვაძე

საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის
ეთიკის კომისიის აპარატის
იურისტი

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

**საქართველოს
ადვოკატთა
ასოციაციის ეთიკის
კომისიის რჩეული
რეკომენდაციები
ადვოკატებისთვის**

ხატია ჩოგოვაძე

საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის ეთიკის კომისიის
აპარატის იურისტი

ევროპის საბჭო

სახელმძღვანელო მომზადდა და იბეჭდება
პროექტის – „ადვოკატის პროფესიის
მხარდაჭერა საქართველოში“ – ფარგლებში.
მასში წარმოდგენილი მოსაზრებები
გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით
და არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის
საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია
წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე
ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი
პუბლიკაცია, ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით
ან საშუალებით: ელექტრონულად (CD-Rom,
ინტერნეტი, ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის,
ასლის გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის
შენახვისა თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის
მეშვეობით, კომუნიკაციის დირექტორატის
წინასწარი წერილობითი ნებართვის
გარეშე (F-67075 სტრასბურგი Cedex ან
publishing@coe.int).

ყდა და დაკაბადონება: გიორგი ქინქლაძე

© ევროპის საბჭო. 2021

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ განუული შრომისთვის მადლობას უხდის ეთიკის კომისიის ადვოკატ და არაადვოკატ წევრებს, მათ შორის, ბოლო მოწვევის (2017-2021) კომისიის თავმჯდომარეს, **თორნიკე ბაქრაძეს**, და შემდეგ წევრებს:

მარიკა არევაძე, ცისმარ ონიანი, კონსტანტინე გელაშვილი, ანა ლორია, ანა ხურციძე, ქეთევან უტიაშვილი, თეიმურაზ თოდრია, ხათუნა ჩხაიძე, ინგა სეხ-ნიაშვილი, ირაკლი კორძახია, გია ტაბლიაშვილი, ია გაბედავა, არჩილ ჩოფიკა-შვილი, ბესარიონ ბოხაშვილი და ხათუნა ფურელიანი.

გამოცემა მოამზადა ხატია ჩოგოვაძემ - სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასო-ციაციის“ ეთიკის კომისიის აპარატის იურისტმა.

წინასიტყვაობა

ადვოკატის პროფესია მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და მის განვითარებას. ადვოკატის როლის განსამტკიცებლად, არსებითად მნიშვნელოვანია პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ღირებულებების დაცვა.

ქართული ადვოკატურა უკვე საუკუნეს ითვლის. 2005 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაარსებით შეიქმნა რეგულაციები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს თვითრეგულირებადი პროფესია - ადვოკატი. ამ სფეროში შემოსვლის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და მეტ აქტუალურობას იძენს პროფესიული რეგულაციების დაცვის საკითხი. სწორედ ამიტომ, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია არ გახლავთ მხოლოდ სადისციპლინო ორგანო: 2013 წლიდან მან შეიძინა მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაც - რეკომენდაციების გაცემა პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

ამ მომსახურების შედეგად, ადვოკატის საქმიანობა წარმართება ეთიკური ვალდებულებების დაცვით. არსებული რეკომენდაციების საფუძველზე იქმნება მნიშვნელოვანი პრაქტიკა და არაერთი პრეცედენტი. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ ადვოკატებს, რომლებსაც უჩნდებათ შეკითხვები თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში არსებული გამონევეებიდან გამომდინარე. კომისია მოსაზრებებს გასცემს ეთიკური დილემის გადაჭრის გზებზეც, რისი მიზანიც არ გახლავთ მხოლოდ ეთიკური წესების დაცვის სტანდარტის ამაღლება: ხშირ შემთხვევაში, რეკომენდაციები ეხება კონკრეტულ რჩევებსაც, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ადვოკატმა, რომ თავიდან აიცილოს დავა ეთიკურ ვალდებულებათა დარღვევაზე.

როგორ უნდა მიმართოს ადვოკატმა ეთიკის კომისიას რეკომენდაციის მისაღებად?

ამ მომსახურებით სარგებლობისთვის, ასოციაციის მოქმედმა წევრმა შეკითხვით უნდა მიმართოს ეთიკის კომისიას (როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით). შეკითხვა უნდა აღწერდეს ჰიპოთეტურ ფაქტებს (შესაძლო ქმედებას) და არ შეიცავდეს კონკრეტული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

წერილობითი ფორმით მიმართვისას, შეკითხვას განიხილავს კომისიის მორიგი კოლეგია, სამი წევრის შემადგენლობით; თუ საკითხი რთულია და შეიძლება პრეცედენტულიც აღმოჩნდეს, რეკომენდაციას კომისია ამზადებს არანაკლებ 8 წევრის შემადგენლობით.

ზეპირი ფორმით მიმართვისას, შესაძლებელია სატელეფონო კონსულტაციის გავლა კომისიის აპარატის იურისტთან. კომისიის გამოცდილებით დადგენილ ერთგვაროვან საკითხებზე რეკომენდაციას გასცემს იურისტი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში - მორიგე კოლეგია.

შეკითხვის ავტორი ადვოკატის ვინაობა ხელმისაწვდომია მხოლოდ რეკომენ-

ნდაციის მომზადებაში ჩართული პირებისთვის. ეთიკის კომისია ყველა რჩევას შეკითხვის ავტორის კონფიდენციალობის დაცვით განათავსებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე: www.gba.ge.

რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო სახე, თუმცა ხშირად კომისია გადაწყვეტილების მიღებისას წყაროდ იყენებს სარეკომენდაციო მოსაზრებებს და ეფუძნება შესაბამის განმარტებებს (მათ შორის, ისეთ საკითხებზეც, რომლებიც დისციპლინურ საქმეთა განხილვისას არ წამოჭრილა და რეკომენდაციის საფუძველზე განიმარტა).

გამოიკვეთა, რომ ადვოკატებისთვის ერთ-ერთი აქტუალური თემაა ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტა, რაზეც, სტატისტიკურად, მიმართვიანობა ყველაზე მაღალია. ამ პრობლემის განხილვისას წამოიჭრა საკითხები, რომლებიც მანამდე კომისიას არ ჰქონდა დადგენილი დისციპლინური წარმოების პროცესში. პრეცედენტულია ის რეკომენდაციებიც, რომლებიც შეეხება კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას კლიენტის ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში. ადვოკატებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხებიც: რა უნდა გაითვალისწინონ საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე დავის ასაცილებლად; როგორ უნდა განსაზღვრონ ჰონორარი წარმატების შემთხვევაში; როგორ უნდა გამოიყენონ სოციალური ქსელი; და რას გულისხმობს პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესი, რომელზეც კომისიამ პირველად სწორედ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების ფარგლებში იმსჯელა. რეკომენდაციებზე მუშაობისას ეთიკის კომისია ეყრდნობა როგორც კომისიის, ასევე სასამართლოების გამოცდილებას და საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის განმარტებებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

შედეგად, კრებულში თავმოყრილია რეკომენდაციათა ფარგლებში დაგროვილი მნიშვნელოვანი განმარტებები, რომლებიც პრაქტიკოს ადვოკატებს დაეხმარება ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში წამოჭრილ ეთიკურ დილემათა გადაწყვეტაში.

ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ეთიკის კომისიის ყველა ადვოკატ და არა-ადვოკატ წევრს, პროფესიული ეთიკის საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებმაც რეკომენდაციათა გაცემის მექანიზმის ამოქმედებიდან უდიდესი წვლილი შეიტანეს მნიშვნელოვანი პრაქტიკის შექმნაში.

სარეკომენდაციო მოსაზრებები საინტერესო იქნება არა მხოლოდ მოქმედი ადვოკატებისთვის: ის ასევე გამოადგებათ ამ პროფესიაში შემოსვლის მსურველებს, იურისტებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ამ თემატიკით დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს.

ხატია ჩოგოვაძე

შემოკლებები

იხ. - იხილეთ

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

მუხ. - მუხლი

აპეკ - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სსსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შშპ პირი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

ABA - American Bar Association - ამერიკის იურისტთა ასოციაცია

CCBE - Council of Bars and Law Societies of Europe

The ABA (American Bar Association) Model Rules of Professional Conduct - ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) პროფესიული ქცევის მოდელური წესები.

სარჩევი

თავი 1	10
სადოკატო საქმიანობის განსაზღვრება	10
1.1 თავისუფლება თუ არა ეთიკური ვალდებულებისგან ადვოკატი, რომელიც თავის პროფესიულ სტატუსს მაღავს?	10
1.2 ვრცელდება თუ არა ადვოკატზე, როგორც კომპანიის იურისტზე, ყველა „ეთიკური ნორმა“?	13
თავი 2	17
კანონიერების პრინციპი	17
2.1 სასამართლო სხდომის დარბაზში ხმის ჩამწერი მონყობილობის გამოყენება	17
თავი 3	20
ნდობის პრინციპი	20
3.1 შესაძლებელია თუ არა, ადვოკატი იცავდეს ფიზიკურ პირს და, ამავდროულად, მის წინააღმდეგ აწარმოოს სასამართლო დავები სხვადასხვა საქმეში?	20
თავი 4	23
კონფიდენციალობის პრინციპი	23
4.1 რა ეთიკური ვალდებულებები აქვს ადვოკატს კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ?	24
4.2 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როდესაც კლიენტის საქმეზე ინფორმაცია ვრცელდება მედიის საშუალებით?	28
4.3 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, თუ კლიენტს სამოქალაქო საქმეზე გაუწია კონსულტაცია და მოწმის სახით დაკითხვისთვის საგამოძიებო ორგანოში დაბარებულია კლიენტის სისხლის სამართლის საქმეზე?	29
4.4 ვრცელდება თუ არა პროფესიული რეგულაცია ადვოკატზე, როდესაც ის კლიენტის საქმის მასალებს აწვდის სახელმწიფო ინსპექტორს ?	32
4.5 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როცა კლიენტს კონსულტაციას უწევს იმ სივრცეში, სადაც სხვა პირებიც იმყოფებიან?	36
4.6 შესაძლებელია თუ არა ადვოკატის პროფესიული კომპეტენციის დადასტურება ორდერების წარდგენით?	39
4.7 კონფიდენციალურობა, როგორც დროში შეუზღუდავად დასაცავი პრინციპი: რა ხდება კლიენტის გარდაცვალების შემდეგ?	41
თავი 5	43
კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპი	43
5.1 დასაშვებია თუ არა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმება კლიენტთან იმ საქმეზე, რომელზეც ადვოკატმა უნდა განიოს იურიდიული მომსახურება?	43
5.2 ყოველთვის ნიშნავს თუ არა კლიენტის მითითების შეუსრულებლობა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებას?	46
5.3 ადვოკატის საქმის წარმართვის სტრატეგია - ეთიკურია თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა?	48
თავი 6	51
ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი	51
6.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როგორც ორგანიზაციის იურისტმა, ამავე კომპანიის მომმართველ პირებთან ურთიერთობისას?	52
6.2 ეთიკურია თუ არა მეგობრის წინააღმდეგ კლიენტის საქმის წარმოება?	55
6.3 ორმაგი ინტერესთა კონფლიქტი: ადვოკატის პირადი და მასთან დაკავშირებული პირისგან წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა	57

6.4 წარმოშობის თუ არა მხოლოდ მინდობილობის არსებობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას და რა უნდა გაითვალისწინოს ასეთ დროს ადვოკატმა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად?	63
6.5 შესაძლებელია თუ არა, ერთდროულად დაცული იყოს ადვოკატის მიერ მხარდასაჭერად საცნობი პირისა და მხარდამჭერად დასანიშნი პირის ინტერესები?	69
6.6 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც სავალდებულო დაცვის ფარგლებში კლიენტთან პირადი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, სასამართლო ადვოკატის აცილებაზე უარს აცხადებს?	72
6.8 დასაშვები იქნება ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში კლიენტის ინტერესების დაცვა, თუ სადავო საქმეში მეორე კლიენტი ერთვება, როგორც მესამე პირი?	78
6.9 როგორ უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატმა მოსარჩელისა და მესამე პირის ინტერესების დაცვისას?	82
6.10 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისას და როგორ უნდა შეაფასოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი საოჯახო დავის შემთხვევაში?	86
6.11 დასაშვებია თუ არა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ დაცვის განხორციელება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე?	90
6.12 როგორ უნდა აირიდოს თავიდან ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატმა, როდესაც „პირველი“ და „მეორე“ კლიენტი შეუღლები არიან და მათი საქმეები ერთმანეთს უკავშირდება?	92
6.13 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც კლიენტთა სხვადასხვა საქმის შედეგები დამოკიდებულია ხელშეკრულებათა ერთნაირი „სტანდარტული პირობების“ ბათილობაზე?	98
6.14 შეუძლია თუ არა ადვოკატს, სასამართლოში ერთი თანამოსარჩელის ინტერესების წარმოდგენისას, სხვა მარწმუნებლის ნაცვლად განაგრძოს დანარჩენ თანამოსარჩელეთა ინტერესების დაცვა?	100
თავი 7	104
კოლეგიალობის პრინციპი	104
7.1 ადვოკატის მიერ კოლეგისა და მოდავე მხარისადმი მიმართვის ფარგლები	104
7.2 რამდენად ეთიკურია კოლეგისთვის მისი კვალიფიკაციის ხარისხზე მითითება დამკვნიბელი ფორმით და მხარეთა თანდასწრებით?	107
თავი 8	109
ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დანყება	109
8.1 წარმოშობის თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას იურიდიული რჩევის მიცემა სოციალური ქსელის გამოყენებით?	109
თავი 9	111
კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედება	111
9.1 უნდა გაასაჩივროს თუ არა ადვოკატმა განაჩენი დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, როცა კლიენტთან კომუნიკაცია შეუძლებელია?	111
თავი 10	114
ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის წინასწარ შეთანხმება კლიენტთან	114
10.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა წარმატების ჰონორარის განსაზღვრისას?	114
10.2 რამდენად შეუძლია ადვოკატს განუული საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის უზრუნველყოფა იპოთეკით ან გირავნობით?	117
10.3 ორი ადვოკატის მიერ საქმისწარმოების შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა, ერთი ადვოკატის ანგარიშზე ჩაირიცხოს საადვოკატო მომსახურების ჰონორარი?	119

თავი 11 121

ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის წესი 121
11.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა მისი ინიციატივით საქმეზე უარის თქმის შემთხვევაში და როდის უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება? 121

თავი 12 126

ანაზღაურების გადახდა ნებისმიერი პირისთვის, რომ კლიენტთან პირადად მას გაუწიოს რეკომენდაცია 126
12.1 ეთიკურია თუ არა საზღაურის გადახდა უცხოური საადვოკატო ბიუროს საერთაშორისო ბრუნდის სახელის გამოყენებისთვის 126

თავი 13 128

კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება 128
13.1 *„ჩემი ახი მნიშვნელოვანი ადვოკატის ერთობილი ან ნომინალური მფლობელობის სეგვიგინი-ბული ანგაჩიის ახსებობა და ჩა ეთიკური წესები უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა?“* 128
13.2 რა წინაპირობები უნდა დაიცვას ადვოკატმა კლიენტის ქონების მინდობით მიღებისას? 132

თავი 14 136

პროფესიული საქმიანობის რეკლამირება 136
14.1 ნარწერა „ადვოკატი (სახელი, გვარი)“, დამატებითი აღნიშვნით - „ყოფილი მოსამართლე“ - ხომ არ არღვევს პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესს? 136
14.2 დაცულია თუ არა პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესი შემდეგი სარეკლამო ტექსტის გამოყენებით: „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და დაგეხმარებით?“ 140
14.3 ადვოკატის სოციალური მედიამარკეტინგი 142
14.4 დასაშვებია თუ არა, სასამართლოს ფოიეში მოძრავ ეკრანზე სარეკლამო რგოლში მონანი-ლობდეს ადვოკატი? 145
14.5 რამდენად მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიული საქმიანობის რეკლამა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი? 147
14.6 რამდენად მიზანშეწონილი და რეკომენდებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება ადვოკატის სატიტულო ფურცელზე - ე.წ. ბლანკზე, ბეჭედსა და მსგავს ატრიბუტებზე? 149
14.7 „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ - სარეკლამო სლოგანი, როგორც გარანტიის მიცემა საქმის შედეგზე? 152

თავი 15 154

ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლოსთან ურთიერთობისას 154
15.1 შეესაბამება თუ არა ეთიკურ სტანდარტს მოსამართლის ქმედების შეფასებისას ადვოკატის მიერ შემდეგი ფრაზების გამოყენება: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შე-გყავთ მონმე?“ 154
15.2 მოსამართლისადმი მიმართული რომელი ფრაზები არ გამომდინარეობს კლიენტის ინტერე-სებიდან? 157

თავი 16 160

კლიენტის მოდავე მხარესთან კომუნიკაციის წესი 160
როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც შეუძლებელია კლიენტის მოდავე მხარის ადვოკატ-თან დაკავშირება? 160

დანართი 1 162

თავი 1

საადვოკატო საქმიანობის განსაზღვრება

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:

- (1) ადვოკატის მიერ იუხიდიური ჩრევის მიცემას იმ პიხისათვის, ხომემაც მას დახმახებისათვის მიმახთა (კლიენტი);
- (2) კლიენტის წახმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამახთლის საქმეზე სასამახთროში, ახბიგხაჟში, დაკავების, გამოძიების ოხგანოებში;
- (3) მესამე პიხის მიმახთ სამახთლებივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახედით ნებისმიეი დოკუმენტაციის წახდგენას;
- (4) ისეთი იუხიდიური დახმახების გაწევას, ხომელიც ახ უკავშიხდება მესამე პიხის წინაშე წახმომადგენლობას („ადვოკატთა შესახებ“ საქახთვედროს კანონი, მუხბი 2).

1.1 თავისუფლება თუ არა ეთიკური ვალდებულებისგან ადვოკატი, რომელიც თავის პროფესიულ სტატუსს მალავს?

წერილობითი რეკომენდაცია 015/13, 2013 წლის 27 სექტემბერი ¹

ფაქტები:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი მონაწილეობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის განხილვებში, რომლებიც წარმართება პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ამ მონაწილეობას საფუძვლად არ უდევს ადვოკატის სტატუსი. სასამართლოსათვის მას არ წარუდგენია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ასევე, დადგენილი წესით კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტი (ორდერი). საქმის სასამართლოში განხილვისას იგი წარმომადგენლობას ახორციელებს როგორც სსკ-ის 94.1(დ) პუნქტით გათვალისწინებული „სხვა ქმედუნარიანი პირი“, მხოლოდ სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობით.

¹ <https://bit.ly/3kP2Edb>

კლიენტის მონინალმდევე მხარე ასევე წარმოდგენილია „სხვა ქმედუნარიანი პირით“, რომელიც არ არის ადვოკატი და წარმომადგენლობას პირველი ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს გარიგებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით (დავალების ხელშეკრულებით, მინდობილობით).

შეკითხვა:

ვინაიდან ადვოკატი სასამართლოს არ აწვდის ინფორმაციას თავის პროფესიულ სტატუსზე, ვრცელდება თუ არა მასზე პროფესიული რეგულაციები, მათ შორის, ვალდებულება - დაიცვას მონინალმდევე მხარესთან კომუნიკაციის წესი?

ანალიზი:

ადვოკატი, როგორც „არაადვოკატი“

შეკითხვიდან ირკვევა, რომ კლიენტის ინტერესების წარმომადგენელმა არ შეატყობინა სასამართლოს, რომ ის ადვოკატია; შესაბამისად, არ წარუდგინა ადვოკატის მოწმობა. შედეგად, სტატუსის „დამალვის“ გამო, ის საქმეში ჩართული იყო როგორც „სხვა ქმედუნარიანი პირი“, რის შესაძლებლობასაც კანონი იძლევა.² მიუხედავად აღნიშნული დაშვებისა, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს:

1. ხომ არ ეწინააღმდეგება ადვოკატის მიერ ამ უფლების გამოყენება ეთიკური ვალდებულებების დაცვას?
2. ასეთი სახის წარმომადგენლობა ხომ არ აზიანებს ან უქმნის ზიანის რისკს კლიენტის ინტერესებს?

შეკითხვიდან არ იკვეთება ადვოკატის მოტივი, რატომ თქვა უარი პროფესიული სტატუსით წარმომადგენლად ჩართვაზე. შესაძლოა, სასამართლოში საქმისწარმოების თავისებურების გამო, კლიენტის საუკეთესო ინტერესის დასაცავად, აუცილებელი გახდეს ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული სტატუსის გამჟღავნება. ამასთან, აღნიშნულ გარემოებაზე არ არის დამოკიდებული, გავრცელდება თუ არა ეთიკური ვალდებულებები ადვოკატზე.

კლიენტის წარმომადგენლობა სასამართლოში საადვოკატო საქმიანობაა. ადვოკატი პირველი ინსტანციის სასამართლოში რწმუნებულების საფუძველზე წარმომადგენლობისას ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას.

შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობისას, ადვოკატის მოწმობის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს ადვოკატს პროფესიული

2 სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ: ადვოკატები; ... სხვა ქმედუნარიანი პირები - მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში (სკ-ის 94(1) მუხლი).

ვალდებულებებისგან. ადვოკატთა ასოციაციის წევრი სასამართლოს სამივე ინსტანციაში წარმომადგენლობისას ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, იგი ვალდებულია, იმოქმედოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველი არ არის ადვოკატი (ადვოკატთა ასოციაციის წევრი). ამიტომ, თუ ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარეს საქმეზე დაუკავშირდება არაადვოკატი წარმომადგენლის გვერდის ავლით, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, დაიცვას აპეკ-ის 10.4 მუხლი. ამ ნორმის დაცვის ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავს არა „სხვა ქმედუნარიანი პირი“, არამედ ადვოკატი.

სასამართლოში წარმომადგენლობისას საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენაზე, ეთიკის კომისია თავის რეკომენდაციაში აღნიშნავს: 2013 წლის 28 თებერვალს გამართულ სხდომაზე (სხდომის ოქმი №111) სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ადვოკატთა ასოციაციის წესდების, მე-15 მუხლის, 15.1 პუნქტის, „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასოციაციის მომდევნო საერთო კრებას წარედგინოს დასამტკიცებლად აღმასრულებელი საბჭოს წინადადება, რომელიც ეხება ასოციაციის წევრებისათვის ბეიჯების შემოღებას. საერთო კრების მიერ აღნიშნული წინადადების დამტკიცებამდე, აღმასრულებელი საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაცია ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესებზე ბეიჯებში მოთავსებული ადვოკატის მოწმობების გამოყენების შესახებ“.

დასკვნა:

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის მიერ მინდობილობის საფუძველზე განხორციელებული წარმომადგენლობა არის საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოწმობის წარუდგენლობის მიუხედავად. საადვოკატო საქმიანობისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად, მათ შორის, დაიცვას აპეკ-ის 10.4. მუხლი.

სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობისას, თუ ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარეს დაუკავშირდება ამ მხარის არაადვოკატი წარმომადგენლის გვერდის ავლით, მასზე არ გავრცელდება მოდავე მხარის ადვოკატთან კომუნიკაციის წესი.³

3 პროფესიული სტატუსის მნიშვნელობაზე კომისიამ იმსჯელა წერილობით რეკომენდაციაში 005/18, 2018 წლის 19 თებერვალს: <https://tinyurl.com/y82apnhh>, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა მუშაობა დაიწყო საკრებულოში. თანამდებობაზე არჩევის შემდგომ, მან შეაჩერა ახალი საქმეების წარმოება და ყველას განუმარტავდა, რომ აღარ ჰქონდა სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის უფლება. ადვოკატს მიაჩნდა, რომ კანონში მითითებული „საადვოკატო საქმიანობა“ გულისხმობდა მხოლოდ ანაზღაურებად საქმიანობას, ხოლო უსასყიდლოდ იურიდიული მომსახურების გაწევა

1.2 ვრცელდება თუ არა ადვოკატზე, როგორც კომპანიის იურისტზე, ყველა „ეთიკური ნორმა“?

წერილობითი რეკომენდაცია 012/14 , 2013 წლის 11 ნოემბერი ⁴

შეკითხვა:

რა ფარგლებში ვრცელდება აპეკ-ის ნორმები კომპანიის იურისტზე, რომელიც ამავდროულად მოქმედი ადვოკატია?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1.2 პუნქტი ამომწურავად აცალიბებს ადვოკატის ცნებას და განსაზღვრავს, რომ:

1. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და არა ზემდგომ პირს;
2. იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ადვოკატად, ის განევრიანებული უნდა იყოს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და აპეკ-ის რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე. შესაბამისად, თუ პირი არ არის ადვოკატი, მას არ აქვს მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან და აღნიშნული ნორმატიული აქტების მოქმედება მასზე არ გავრცელდება.

იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში.

ადვოკატთა ასოციაციის წევრობა - ადვოკატის, როგორც თავისუფალი პრო-

არ გახლდათ „საადვოკატო საქმიანობის“ რეგულირების სფერო. შესაბამისად, ადვოკატი არ აპირებდა მოქმედი სტატუსის შეჩერებას, რაც საშუალებას მისცემდა, საქიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ დაეცვა ახლო მეგობრის, ნათესავისა თუ თანაპარტიელის ინტერესები. კომისიის განმარტებით, ადვოკატი თავად უთითებდა, რომ იყო თანამდებობის პირი, რაც კანონით ეწინააღმდეგება საადვოკატო საქმიანობას. **ადვოკატს აკრძალული აქვს საადვოკატო საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 10.2). ამასთან, კომისიამ განმარტა, რომ საადვოკატო საქმიანობის განსაზღვრება არ არის დამოკიდებული იმაზე, ანაზღაურებადია ის, თუ არა. მოქმედი სტატუსის მქონე ადვოკატის მიერ კლიენტთა ინტერესების დაცვა ეწინააღმდეგება კანონიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.**

⁴ <https://bit.ly/3eJswmV>

ფესისი ნარმომადგენლის სტატუსი - გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან. შესაბამისად, ასოციაციის ერთიან სიაში რიცხულ მოქმედ ადვოკატებზე, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკური ვალდებულებები.

სწორედ ადვოკატის სტატუსი ნარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოსაპოვებლად.

აპეკ-ის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, საადვოკატო საქმიანობა ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმები ადვოკატზე ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს: მისი სტატუსიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პირის სხვა ქმედებებსაც, რომლებიც ასევე პროფესიის ნაწილია. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, იზრუნოს პროფესიულ იმიჯსა და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

ადვოკატმა შეიძლება, „არაორგანიზებულად“ განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა - მას მხოლოდ რჩევა სთხოვონ, იმისგან დამოუკიდებლად, გაფორმდება თუ არა მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, ან ადვოკატი თანახმა იქნება თუ არა ამ პირის ნარმომადგენლობაზე. თუმცა, ადვოკატზე პასუხისმგებლობა მაინც გავრცელდება, რადგან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განწვერიანების შემდეგ, იგი ხდება ადვოკატის სტატუსის მქონე პირი და ამ პროფესიის ნარმომადგენელი.

ადვოკატზე პროფესიული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, თუ იგი იძლევა სამართლებრივ რჩევას, ასრულებს პროფესიული დავალებას ან უწევს სხვა არაერთჯერად დახმარებას.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შეკითხვის განმარტებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში უნდა განიხილოს ის გარემოებებიც, როდესაც ადვოკატი სპეციალიზებულია სისხლის სამართალში, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მიენიჭა სისხლის სამართლის დარგში და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან. ასეთი ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში, როგორც კომპანიის იურისტი. ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დაუცველობის გამო, რომლითაც დადგენილია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი ნარმო-

მადგენლობის განხორციელება.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ეხება საადვოკატო საქმიანობას და ვრცელდება იმ იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან რეესტრში და წარმოადგენენ სამინისტროებს ან კერძო კომპანიებს. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ამ სტატუსის მქონე პირებზე უნდა გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების რეგულაცია.

კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი პრაქტიკული ტენდენციაც: კერძო იურიდიულ ფირმებში გახშირდა მოთხოვნა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მქონე იურისტებზე, რათა კომპანიას აღარ დასჭირდეს გარე იურისტის დახმარება და მისივე თანამშრომელს შეეძლოს კომპანიის ინტერესების წარმოდგენა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ასეთი მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიის მიერ შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ადვოკატთა ასოციაციაში რიცხულ იურისტთან არ ცვლის ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს;

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსაც უფორმდებათ შრომითი ხელშეკრულება. ხსენებული სამსახურის იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან ადვოკატთა ერთიან სიაში, ასევე ვრცელდება პროფესიული ეთიკის მოთხოვნები.

პროფესიული ეთიკის კოდექსი ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც კომპანია ეთიკის კომისიაში უჩივის თავის იურისტს, რომელიც, მასთან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების მიუხედავად, ადვოკატთა ასოციაციის წევრიც არის.

აპკ-ის ნორმები ვრცელდება ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხულ ყველა ადვოკატზე, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას კომპანიის იურისტად თუ სხვა სახით. ამ დროს, ადვოკატთა ასოციაციისათვის კომპანიის იურისტის კლიენტი არის მისი დამქირავებელი. გამონაკლის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ვითარება, როდესაც კომპანიის იურისტს შრომით ხელშეკრულებაში უნერია, რომ დაქირავებულია მხოლოდ იურისტად.

ამერიკული და ევროპული მოდელის შედარებითი ანალიზი

ამ საკითხზე რეკომენდაციის გაცემისას, კომისიამ გაითვალისწინა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მიდგომები, რომელთა შორისაც არსებობს გარკვეული განსხვავება.

აშშ-ში კომპანიის იურისტებს მოეთხოვებათ, იყვნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები და დაიცვან პროფესიული ქცევის ის წესები, რომლებიც შეიძლება მოეთხოვებოდეს კომპანიის იურისტს კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად,

ადვოკატის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ისინი კომპანიაში იღებენ ხელფასს, როგორც თანამშრომლები/დაქირავებული მუშაკები. შესაძლებელია, ასეთი იურისტი ასრულებდეს კომპანიის მხოლოდ შიდა სამუშაოს (მაგ: დოკუმენტების შედგენა, ხელშეკრულებათა მუშაობა, სამუშაო პროცესის კანონთან შესაბამისობა და ა.შ.). თუმცა, როდესაც კომპანიის იურისტი სასამართლოში გამოდის კომპანიის ინტერესებისთვის, მან უნდა დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან, მოწმესა და სასამართლოსთან ქცევის წესები. აშშ-ის მიდგომით, უმეტეს შემთხვევაში, კომპანიის იურისტს ეთიკის ნორმების დაცვა ევალება ამ პოზიციისთვის განსაზღვრულ ფარგლებში.

რაც შეეხება ევროპულ მიდგომას, არსებობს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს კონკრეტულად კომპანიის იურისტთა ქმედებებს. კოდექსში გაწერილი ვალდებულებები ჰგავს ადვოკატთა ეთიკურ ვალდებულებებს და შეეხება კვალიფიციურობას, კონფიდენციალურობას, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას და ა.შ.

საზოგადოების მოლოდინი და ნდობა ადვოკატის სტატუსის მქონე პირის მიმართ მოიცავს შესაბამის დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი: კერძოდ, პირს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშეც.

კლიენტი, რომელსაც სამართლებრივ კონსულტაციას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს ან სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, მისგან მოელოს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

დასკვნა:

ეთიკის კომისიის განმარტებით, კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იგი ირიცხება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.⁵

5 ადვოკატის, როგორც კომპანიაში მომუშავე იურისტის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვაზე კომისიამ იმსჯელა წერილობით რეკომენდაციაში 002/17, 2017 წლის 24 თებერვალი: <https://tinyurl.com/56rr4ey2>. კერძოდ, ადვოკატსა და კომპანიას შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ, ამავე კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელმა მიმართა ადვოკატს და სთხოვა მისი ინტერესების დაცვა კომპანიის წინააღმდეგ. საკითხი ეხებოდა ორგანიზაციის მენილეთა შორის მოგებისა და დივიდენდების განაწილებას. ადვოკატი, როგორც იურისტი სამართლებრივ მხარდაჭერას უწევდა კომპანიას და წარმოადგენდა მის ინტერესებს. ამიტომ, მისთვის, როგორც იურისტისთვის, ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია მენილეთა შორის მოგების განაწილებაზე. შესაბამისად, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული დავის ფარგლებში, ამავე კომპანიის მენილის ინტერესების წარმოდგენა კომისიამ შეაფასა, როგორც ადვოკატის დროში შეუზღუდავი ვალდებულების - კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა.

თავი 2

კანონიერების პრინციპი

ადვოკატი ვადებუდია, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც ახ ახის აკრძალული ახც კანონმდებლობით და ახც პიროვნული უთიკის ნოხმებით (იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქათვედოს კანონი, მუხდი 6(1)).

ადვოკატის მოქმედებები, რომლებიც მიმათუდია კლიენტის ინტერესების დასაცავად, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პიროვნული უთიკის ნოხმებს (აპეკ-ის მე-5 მუხდი).

ადვოკატი, რომელიც მონაწიედობს საქმეში საქათვედოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან გიბუნადის წინაშე, ვადებუდია, დაიცვას და პაცივი სცეს ამ სასამართლოში თუ გიბუნადში მოქმედ ქცევის წესებს (აპეკ-ის 9(1) მუხდი).

2.1 სასამართლო სხდომის დარბაზში ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენება

წერილობითი რეკომენდაცია 008/18, 2018 წლის 24 თქტომბერი ⁶

შეკითხვა:

შესადლებელია თუ არა, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდგომ, საერთო სასამართლოთა მოსამართლის/მოსამართლეების ზეპირი განმარტება (რომელიც არ ინერება სასამართლოს აუდიოჩანწერის სისტემით) ჩაინწეროს ადვოკატმა (მობილური ტელეფონით ან სხვა აუდიომონწყობილობით) სასამართლო სხდომის დარბაზში? და თუ ასეთი რამ აკრძალულია, რა საწქცია ან ჯარიმაა გათვალისწინებული აღნიშნული ქმედებისთვის და რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე?

ანალიზი:

შეკითხვა ეხება ადვოკატის ქცევის წესების დაცვას სასამართლო დარბაზში: კერძოდ, შესადლებელია თუ არა, სხდომის დასრულების (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების) შემდგომ (როდესაც სხდომის აუდიოჩანწერის სასამართლო აღარ აკეთებს), ადვოკატმა აუდიოსაშუალებით ჩაინწეროს მოსამა-

6 <https://bit.ly/3izArnV>

როლის ზეპირი განმარტება სასამართლოს დარბაზში.

„სასამართლოს შენობაში, ასევე სამოქალაქო საქმის განხილვის ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩანერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით“ (იხ. სსკ, მუხლი 9(1)).

სასამართლო სხდომის დარბაზში აუდიოჩანერა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან (იხ. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლები 13(5), 13¹(4)). ეს მუხლები ეხება აუდიოჩანერას როგორც პროცესის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდგომ. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია, მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები (იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13¹(4)).

აღსანიშნავია, რომ მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს მეტი პასუხისმგებლობა აკისრია სასამართლოსა და სხდომაზე დამსწრე პირთა წინაშე. შესაბამისად, ადვოკატის ქცევის შესახებ კანონი ცალკე მიუთითებს და ამბობს: „ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება, რომელიც ეგზავნება ადვოკატთა გაერთიანებას“ (იხ. სსკ, მუხლი 212(4)).

რაც შეეხება ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს, ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას როგორც კანონიერების პრინციპი (რაც გულისხმობს კანონით დადგენილი წესების შესრულებასა და ამ წესებით ხელმძღვანელობას), ისე სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი.

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში მნიშვნელოვანი პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა. ეს გულისხმობს როგორც კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტების პატივისცემას.

წარმომადგენლობა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება არ ამართლებს ადვოკატის ქმედებას, გვერდი აუაროს კანონს ან პროფესიული ეთიკის ნორმებს.⁷

7 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ადვოკატმა პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, რითაც დაარღვია აპკე-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. ამ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებასა და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და აპკე-ის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოსა თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს,

აღნიშნული ნორმებისა და პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს აუდიოჩანერა შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ წესების დაცვა არ არის დამოკიდებული სასამართლო სხდომის მიმდინარეობაზე, რადგან, კანონის ჩანაწერით, სხდომის დარბაზში (მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა სასამართლო პროცესი) აუდიოჩანაწერის გაკეთებისთვის აუცილებელია ნებართვა.

დასკვნა:

ადვოკატმა სასამართლო შენობაში, მათ შორის, სხდომათა დარბაზში ყოფნისას, აუდიოჩანაწერი უნდა გააკეთოს მხოლოდ კანონის შესაბამისად: კერძოდ, მხოლოდ მოსამართლის ნებართვით და სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან, რადგან კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ აუდიოჩანერა სასამართლო სხდომის დარბაზში (მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა პროცესი) შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი ნებართვით და სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან.

ამ წესის დარღვევისათვის, ადვოკატს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა; ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობაც, რადგან ამით იგი დაარღვევს კანონიერების პრინციპსა და სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკურ სტანდარტს.

რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული“ (იხ. ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N 158/13).

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში იმსჯელა ადვოკატის მიერ სასამართლოში ქვევის წესების დარღვევაზე და აღნიშნა, რომ „ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N 010/10).

თავი 3

ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის უხიიეთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პიხად ღიხსებას, პატიოსნებას, შეუვადობას კომპეტენცუხოებას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა ახ უნდა იმოქმედოს ისე, ხომ ეჭვევეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პხოფესიული ვადებუდება (აპეკ-ის მუხდი 3).

3.1 შესაძლებელია თუ არა, ადვოკატი იცავდეს ფიზიკურ პირს და, ამავედროულად, მის წინააღმდეგ აწარმოოს სასამართლო დავები სხვადასხვა საქმეში?

წერილობითი რეკომენდაცია 004/19, 2019 წლის 25 თებერვალი⁸

ფაქტები:

ადვოკატმა თავდაპირველ კლიენტს 2018 წელს მოუმზადა სარჩელი, თუმცა მისთვის უცნობია, მიმართა თუ არა კლიენტმა ამ სარჩელით სასამართლოს. კლიენტი ერთხელ დაუკავშირდა ადვოკატს და აუხსნა, რომ იმ ეტაპზე ვერ ახერხებდა სარჩელის შეტანას, თუმცა მას შემდეგ არ დაკავშირებია. აღსანიშნავია, რომ თუ იგი დაიწყებდა დავას, შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს უნდა გაენია წარმომადგენლობა და მას ეს მოლოდინი ჰქონდა. დღეს ადვოკატს მიმართეს ამჟამინდელმა კლიენტებმა, საქმის გაცნობისას კი აღმოჩნდა, რომ მათ დავის დაწყება სურთ ადვოკატის თავდაპირველი კლიენტის წინააღმდეგ.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ორი საქმე ერთმანეთისგან განსხვავდება. ასევე სხვადასხვა პირები არიან ამჟამინდელი კლიენტები და თავდაპირველი კლიენტის პოტენციური მოწინააღმდეგე მხარეები, მაგრამ თუ ორივე მათგანს მოემსახურება ადვოკატი, აღმოჩნდება, რომ ერთ საქმეში ადვოკატი დაიცავს თავდაპირველი კლიენტის ინტერესებს, ხოლო მეორეში, როგორც ახალ კლიენტთა ადვოკატს, ექნება თავდაპირველი კლიენტის საწინააღმდეგო პოზიცია.

8 <https://bit.ly/2W3xggt>

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადვოკატ „მ“-ს საადვოკატო მომსახურების - როგორც კონსულტაციის, ისე წარმომადგენლობის - გაწევა კლიენტისთვის ამ საქმეში?

ანალიზი:

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ქმედება უნდა შეფასდეს ნდობისა და კონფიდენციალობის პრინციპთა დაცვით.

თავდაპირველ კლიენტს ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია საქმეზე. შესაბამისად, მათ შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ამასთან, შეთანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატი მას სამომავლოდ გაუწევდა წარმომადგენლობას ამ საქმეზე.

მოგვიანებით, ამავე ადვოკატს მიმართა „მეორე კლიენტმა“, რომელსაც სურს ამ ადვოკატის იურიდიული მომსახურება პირველი კლიენტის წინააღმდეგ.

შეკითხვის მიხედვით, ირკვევა, რომ საქმეთა შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდება. კომისიის თქმით, მართალია, საქმეები ერთმანეთს არ უკავშირდება და, შესაბამისად, არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის არცერთი გარემოება (რომლებსაც ითვალისწინებს აპკ-ის მე-6 მუხლი), იგი ვერ დაიცავს პროფესიულ ვალდებულებებს ორივესთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას.

კერძოდ, თუ ადვოკატი გადაწყვეტს მეორე კლიენტის მომსახურებას თავდაპირველი კლიენტის წინააღმდეგ (სხვა საქმეზე) და, ამასთან, განაახლებს თავდაპირველი კლიენტის წარმომადგენლობას (ან ექნება მოლოდინი, რომ სამომავლოდ გაუწევს ასეთ მომსახურებას), იგი ვერ დაიცავს ეთიკურ ვალდებულებებს ორივეს მიმართ, რადგან შეუძლებელია, ადვოკატი იცავდეს ფიზიკურ პირს და, ამავდროულად, მის წინააღმდეგ აწარმოებდეს სასამართლო დავას, თუნდაც სხვა საქმეში.

ობიექტურად სავარაუდოა, რომ კლიენტს ვერ ექნება ადვოკატის მიმართ ნდობა, რადგანც სხვა საქმეში მის წინააღმდეგ იმოქმედებს; შესაძლებელია, ადვოკატმა მეორე კლიენტის საქმისწარმოებისთვის სასარგებლო ინფორმაცია პირველი კლიენტისგან მიიღოს და მისივე საზიანოდ გამოიყენოს.

თავდაპირველი კლიენტის მიმართვა ადვოკატისადმი, კონსულტაციის მიღება და შეთანხმება, რომ საქმეზე სამომავლოდ მისი იურიდიული დახმარების იმედი აქვს, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობაა. შესაბამისად, კლიენტის წინააღმდეგ მოქმედება პროფესიასთან შეუთავსებელია. ამავე დროს, პრეზუმციულად, დაცული უნდა იყოს კლიენტის ადვოკატთან მიმართვის კონფიდენციალურობა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეები ერთმანეთს არ უკავშირდება, პირ-

ველი კლიენტის წარმომადგენლობა კი ადვოკატს ვერ არ დაუწყია, მას აქვს შემდეგი ალტერნატივა:

1. დაიწყოს მეორე კლიენტის წარმომადგენლობა და პირველ კლიენტს შეატყობინოს, რომ მას ველარ გაუწევს სამართლებრივ დახმარებას;
2. თუ სურს, შეასრულოს დაპირება პირველი კლიენტის წარმომადგენლობის შესახებ, მეორე კლიენტს უარი უნდა უთხრას სამართლებრივ დახმარებაზე.

დასკვნა:

ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა თავდაპირველი კლიენტის წინააღმდეგ სხვა საქმეზე, თუ ამ კლიენტს აქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ აღნიშნული ადვოკატი კვლავ დაიცავს მის ინტერესებს სასამართლოში. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კავშირი საქმეთა შორის, ადვოკატი ვერ შეძლებს ერთ საქმეზე საადვოკატო მომსახურების განწევას კლიენტისთვის და მეორე საქმეზე მის წინააღმდეგ მოქმედებას. შესაბამისად, ის ვალდებულია, თავდაპირველ კლიენტს შეატყობინოს, რომ სამომავლოდ ვერ იქნება მისი ადვოკატი; და თუ პირველ კლიენტს გაუწევს მომსახურებას, უარი განუცხადოს მეორე კლიენტს წარმომადგენლობაზე.

თავი 4

კონფიდენციალობის პრინციპი

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვადებულობს დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვადებულება ვრცელდება ნებისმიერი ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული ჩრევის მიღების სხვა მსუხვედრისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (აპკ-ის მუხლი 4.1).

ადვოკატი ვადებულობს, დაიცვას:

- (1) პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;
- (2) კლიენტის თანხმობის გახეშე არ გადახცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.
- (3) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დახლვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7).

კონფიდენციალობის ვადებულება არ აჩის შეზღუდული დროში (აპკ-ის 4.2 მუხლი).

ადვოკატმა განზიხას არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

- (1) კლიენტის წინააღმდეგ;
- (2) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, რაღა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს (აპკ-ის 4.3 მუხლი).

ადვოკატს შეუძლია, გამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

- (1) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
- (2) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წაჩმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამაჩთებულობა და აუცილებლობა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკიდაღავს;

- (3) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიეჩ მის მიმართ წაყენებული ბრძანებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარიის მიღებისათვის (აპეკ-ის 4.4 მუხდი).

4.1 რა ეთიკური ვალდებულებები აქვს ადვოკატს კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ?

წერილობითი რეკომენდაცია 005/19, 2019 წლის 25 მაისი ⁹

ფაქტები:

2017 წელს ადვოკატს მიმართა პირველმა კლიენტმა, რომლისთვისაც სრულყოფილი კონსულტაცია არ გაუწევია, რადგან სრულად არ ჰქონდა დოკუმენტაცია წარმოდგენილი. ამის შემდეგ, კლიენტს ადვოკატთან კომუნიკაცია არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა მისგან მიიღო საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია და გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტებს, თუმცა ასლები არ დაუტოვებია.

არასრულყოფილი კონსულტაციის მიუხედავად, სავარაუდოდ, ადვოკატი ურჩევდა გზებს, რა სახის ინფორმაცია როგორ უნდა მოეგროვებინა; ზოგადად, მსგავსი კატეგორიის საქმეები რა მიმართულებით განიხილებოდა და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი, რაც კლიენტმა ადვოკატს უთხრა, შეესაბამება რეალობას.

2019 წელს ადვოკატს მიმართა მეორე კლიენტმა, რომელსაც სურდა სააპელაციო წარმომადგენლობის გაწევა. საქმის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე გახლდათ თავდაპირველი კლიენტი. გაირკვა, რომ თავდაპირველ კლიენტს ამჟამინდელი კლიენტის წინააღმდეგ დაუწყია დავა, მოუგია პირველი ინსტანციის სასამართლოში და ახლა წაგებულ მხარეს, ანუ ამჟამინდელ კლიენტს, სურდა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება.

შეკითხვა:

აქვს თუ არა ადვოკატს საპროცესო წარმომადგენლობის უფლება მეორე კლიენტის სასარგებლოდ იმ საქმეში, რომელზეც კონსულტაციის მისაღებად მიმართა პირველმა კლიენტმა, თუმცა საქმისწარმოება არ დაუწყია?

⁹ <https://tinyurl.com/97cev3ac>

ანალიზი:

ირკვევა, რომ ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად მიმართა პირველმა კლიენტმა, რომელმაც გააცნო საქმის გარემოებები, მათ შორის, დოკუმენტაცია.

მითითებული გარემოება, რომ ადვოკატს სრულყოფილი კონსულტაცია არ გაუწევია - კერძოდ, საადვოკატო მომსახურების მსურველ პირს მხოლოდ ის ურჩია, რა სახის დოკუმენტაცია უნდა მოეგროვებინა - შეფასების საკითხია და დასკვნისთვის არ აქვს მნიშვნელობა. ადვოკატის ვალდებულებები წარმოიშვება კონსულტაციის მსურველთან შეხვედრის ეტაპიდანვე.

საადვოკატო მომსახურების მისაღებად, პოტენციური კლიენტი ადვოკატს აცნობს ინფორმაციას თავისი საქმის შესახებ, რომელიც დაცული უნდა იყოს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების შესაბამისად.

ადვოკატმა მიიღო ინფორმაცია პირველი კლიენტის საქმეზე და, თავის მხრივ, ურჩია, რომელი დოკუმენტები დასჭირდებოდა საქმის უკეთესად წარმართვისთვის.

ადვოკატს სხვა პირმაც მიმართა იმავე საქმეზე მომსახურების მისაღებად. მხარეები სასამართლოში განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგეები არიან, მათი ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება, ადვოკატი კი პირველი კლიენტისგან ფლობს ინფორმაციას ამ საქმეზე. შესაბამისად, იგი დაარღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, თუკი განაგრძობს მეორე კლიენტის ინტერესთა დაცვას, რადგან ამან შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს პირველი კლიენტის ინტერესები და ხელყოს საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მეორე კლიენტის სასარგებლოდ.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობამდე, კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ ადვოკატს უჩნდება გარკვეული პროფესიული ვალდებულებები. მათ შორისაა უკვე მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვა, რაც ბოჭავს ადვოკატს, იმის მიუხედავად, დაიწყო თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

ეს ვალდებულება შეიძლება გახდეს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისა და, შედეგად, ადვოკატის დისკვალიფიკაციის საფუძველიც, თუ მას კონსულტაციის მსურველი პირის მოწინააღმდეგე მხარე მიმართავს საადვოკატო მომსახურების მისაღებად.

თუ ადვოკატი კონსულტაციის მსურველ პირს გარკვეულ რჩევებს მისცემს მტკიცებულებათა მოგროვებას ან სასამართლო პრაქტიკაზე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად მიიჩნევა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კი სრული მოცულობით ამოქმედდება.

ინტერესთა კონფლიქტის დადგენისა და ადვოკატის დისკვალიფიკაციისთვის, არ აქვს მნიშვნელობა, აპირებს თუ არა ადვოკატი კონფიდენციალური ინფორ-

მაციის გამოყენებას მეორე კლიენტის სასარგებლოდ. ფაქტი, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია მიღებული აქვს, უკვე წარმოშობს მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს, რადგან ერთმანეთს უპირისპირდება ორი ინტერესი: ერთი მხრივ, კონფიდენციალობის დაცვა კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ და, მეორე მხრივ, მისი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა ადვოკატის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით.

ადვოკატმა შეიძლება იცოდეს ახალი კლიენტისთვის სასარგებლო რაიმე გარემოება, თუმცა ეკრძალებოდეს მისი გამოყენება, რადგან ეს ინფორმაცია მიღებული აქვს მოწინააღმდეგე მხარისგან. შედეგად, ახალი კლიენტის სასარგებლოდ ადვოკატმა შეიძლება ისე იმოქმედოს, როგორც ვერ შეიძლება მოქმედებას მოწინააღმდეგე მხარისგან მიღებული ინფორმაციის გარეშე.

ნდობის პრინციპის დარღვევის რისკი კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებისას

დამატებითი გარემოება, რომელიც ადვოკატმა უნდა შეაფასოს მეორე კლიენტის მომსახურების დაწყებისას, არის ნდობის პრინციპი (აპეკ-ის მე-3 მუხლი).

ეს პრინციპი არ მოიცავს მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ნდობას კონკრეტული ადვოკატის მიმართ: აპეკ-ის პრეამბულის საფუძველზე, ადვოკატის ვალდებულებაა, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოსაპოვებლად, ნდობის პრინციპი კი უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცვას ნდობა ადვოკატის პროფესიის მიმართაც.

თუ კონსულტაციის მსურველი პირი აღმოაჩენს, რომ ადვოკატი, რომელსაც კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდა, მოწინააღმდეგე მხარის დამცველი გახდა, ობიექტური თვალთახედვით, შეიძლება დაკარგოს ნდობა არამარტო კონკრეტული ადვოკატის (რაც ამ შემთხვევაში არ განიხილება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არარსებობის გამო), არამედ ადვოკატის პროფესიის მიმართაც.

შედეგად, ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის დაცვა, კონფიდენციალურობის დარღვევის გარდა, შეიცავს ადვოკატის პროფესიის მიმართ ნდობის დაკარგვის რისკსაც. ეთიკის კომისიის ეს დასკვნა შეეხება იმ შემთხვევასაც, როდესაც ადვოკატს სთავაზობენ წარმომადგენლობას იმავე სასამართლო პროცესში. ასეთ პროცესში მოწინააღმდეგე პირთა ინტერესების დაპირისპირება ყველაზე მწვავეა, ამიტომ, ვერ აღმოიფხვრება თუნდაც კონსულტაციის მსურველი პირისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებით.

დასკვნა:

ადვოკატს კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ აკისრია პროფესიული ვალდებულება, დაიცვას მისი საქმის კონფიდენციალური ინფორმაცია და იმავე

საქმეზე არ წარმოადგინოს სხვა კლიენტის ინტერესები ამ პირის ინტერესთა წინააღმდეგ. სხვაგვარად, იგი ხელყოფს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და კონფიდენციალობის პრინციპებს. ამასთან, ასეთი სახის წარმომადგენლობა შეიცავს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაკარგვის რისკსაც.

შეკითხვაში მოცემულ პრობლემაზე ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი რჩევის გაცემა: დისკვალიფიკაციის რისკების შესამცირებლად, ადვოკატმა არ მიიღოს კონფიდენციალური ინფორმაცია პოტენციური კლიენტისგან და არ გაუწიოს მას საადვოკატო მომსახურება მანამ, სანამ არ შეუთანხმებს მომსახურების პირობებს, არ გაარკვევს ინტერესთა კონფლიქტის საკითხს და არ დარწმუნდება, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშვა.¹⁰

10 კონსულტაციისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე კომისიამ იმსჯელა წერილობით რეკომენდაციაში 013/18, 2018 წლის 03 დეკემბერი: <https://tinyurl.com/cn34e9kw> იგი ეხებოდა საქმეს, რომელშიც, დასრულებული იურიდიული კონსულტაციის განვიდან 5 წლის შემდგომ, ადვოკატმა სასამართლოში მოდავე მხარეს წარმომადგენლობა გაუწია ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ. კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მოქმედება იმ საქმეში, რომელზეც ყოფილ კლიენტს მისცა იურიდიული რჩევა, წარმოშობს კონფლიქტს ყოფილ და არსებულ კლიენტთა ინტერესებს შორის. ამის გამო, შეიძლება დაირღვეს პროფესიული ვალდებულებები, მათ შორის, საფრთხე შეექმნას ყოფილი კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, ასეთ გარემოებაში კი ადვოკატი ვერ შეძლებს არსებული კლიენტის ინტერესთა სრულყოფილად და დამოუკიდებლად დაცვას.

კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ კონფიდენციალობის პრინციპის დაცვაზე კომისიამ იმსჯელა წერილობით რეკომენდაციაშიც, 020/13, 2014 წლის 20 იანვარი: <https://tinyurl.com/2vmfspu2> ამ რეკომენდაციის მიხედვით, უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ადვოკატ „ბ“-ს მიმართ კონსულტაციის მსურველმა პირმა „გ“-მ, რომელიც კონკრეტულ დავაში წარმომადგენს ამხანაგობის რამდენიმე წევრს და, სხვა ადვოკატთან, „დ“-სთან ერთად, მუშაობს ამხანაგობის საერთო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა არც „დ“-მ და არც ამხანაგობის სხვა წევრებმა არ იციან, რომ „გ“-მ სხვა ადვოკატს მიმართა კონსულტაციისთვის. მოთხოვნილი კონსულტაციის ფარგლებში, კლინიკის ადვოკატს მოუწევს ამხანაგობის წევრებისთვის განუხილოს კონსულტაციისა და ამ კუთხით განხორციელებული სხვა მოქმედებების შეფასება და შესაბამისი რჩევის მიცემა კონსულტაციის მსურველი პირისთვის. შეკითხვის ფარგლებში, კომისიას უნდა შეეფასებინა, უნდა განახორციელოს თუ არა კლინიკის ადვოკატმა რაიმე ქმედება მისი კოლეგის, „დ“-სა (რომელიც ჩართულია ამ საქმეში) და ამხანაგობის სხვა წევრთა ინფორმირებისთვის, რომ „გ“-მ მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად. **კომისიამ განმარტა, რომ „იურიდიული კლინიკის ზედამხედველი ადვოკატის მიმართ, ამ უკანასკნელის სტატუსიდან გამომდინარე, მოქმედებს პროფესიული ეთიკის ნორმები, იმ ეტაპიდან, როდესაც შეხვდა კონსულტაციის მსურველ პირს და მიიღო მისგან საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია“.** ადვოკატი არ არის უფლებამოსილი, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი სხვა პირისთვის, კლიენტის თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს იმ ინფორმაციასაც, რომ ადვოკატს დაცვის მიზნით მიმართა კონკრეტულმა კლიენტმა. კლინიკის ადვოკატმა არ უნდა მიიღოს რაიმე ზომა მეორე ადვოკატის ან ამხანაგობის სხვა წევრთა ინფორმირებისთვის, რომ „გ“-მ მიმართა კლინიკის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად.

4.2 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როდესაც კლიენტის საქმეზე ინფორმაცია ვრცელდება მედიის საშუალებით?

წერილობითი რეკომენდაცია 017/13, 2013 წლის 06 ივნისი¹¹

შეკითხვა:

ხომ არ დაირღვევა ადვოკატის პროფესიული რეგულაცია, თუ ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაავრცელებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

„ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში - ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა, დაზარალებულმა მას შეუნდო დანაშაული. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დანაშაული მომდინარეობდა ზედა დონეებიდან“.

ანალიზი:

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა, კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ამ ინფორმაციის ნდობის საფუძველზე მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა“¹² „ადვოკატმა პატივი უნდა სცეს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელიც მისთვის მისი პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისას გახდება ცნობილი.“¹³

კლიენტის საქმეზე საადვოკატო საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. შესაბამისად, ადვოკატს აკისრია პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებლობის ვალდებულება, მით უფრო, მედიასთან ურთიერთობისას. მნიშვნელოვანია, მედიასთან ურთიერთობისას ადვოკატი კლიენტთან შეთანხმებულად მოქმედებდეს, რათა გამოირიცხოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკი. ადვოკატი უნდა მოერიდოს საჯაროდ ისეთი სუბიექტური განცხადებების გაკეთებას, რომლებიც არ ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს.

ადვოკატმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საკუთარ კლიენტზე გაავრცელა შემდეგი შეფასებები: „ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა საშინელი

11 <https://tinyurl.com/9cxp8mkz>

12 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2.3.1

13 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2.3.2

დანაშაული, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში - ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა, დაზარალებულმა მათ შეუნდო დანაშაული...“ ასეთი განცხადებების გაკეთება შეიძლება კლიენტთან შეთანხმებული ტაქტიკა იყოს, ან პირიქით, ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატს მხოლოდ კლიენტის თანხმობის შემთხვევაში შეეძლო მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირზე განცხადებინა, რომ მან „ჩაიდინა საშინელი დანაშაული“. სხვაგვარად, ადვოკატის მიერ ამგვარი შეფასებების გაკეთება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციასა და კონფიდენციალობის პრინციპს; ამასთანავე, კლიენტის ინტერესებზე მაღლა აყენებს პირად ან სხვა პირთა ინტერესებს.

დასკვნა:

კლიენტის საქმეზე საჯარო განცხადებების გაკეთებისას, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და თავი შეიკავოს შეფასებითი მსჯელობისგან, რომელიც ასახავს მხოლოდ ადვოკატის პირად პოზიციას შეიძლება არ გამოხატავდეს კლიენტის ნებას. მედიასთან ურთიერთობისას დაცული უნდა იყოს კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობისა და კონფიდენციალობის პრინციპი.

4.3 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, თუ კლიენტს სამოქალაქო საქმეზე გაუნია კონსულტაცია და მოწმის სახით დაკითხვისთვის საგამოძიებო ორგანოში დაბარებულია კლიენტის სისხლის სამართლის საქმეზე?

წერილობითი რეკომენდაცია 011/19, 2020 წლის 15 იანვარი ¹⁴

ფაქტები:

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი დაბარებულია მოწმის სახით დაკითხვაზე. საქმე ეხება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (საქმის დეტალები ადვოკატისთვის უცნობია), რომლებსაც სამოქალაქო (კორპორატიული) სამართლის სფეროში ადვოკატმა გაუნია მომსახურება/კონსულტაცია (ხელშეკრულების მომზადება, რჩევების მიცემა/კონსულტაცია).

¹⁴ <https://tinyurl.com/2j4r3syZ>

შეკითხვა:

ადვოკატს არ მიუღია მონაწილეობა ამ სისხლის სამართლის საქმეში, თუმცა კლიენტთან დაკავშირებულ და მისგან მიღებულ ინფორმაციას ფლობს სამოქალაქო საქმეზე განეული მომსახურების ფარგლებში. რა სახის ინფორმაციის მიცემისგან უნდა შეიკავოს მან თავი და რა მოცულობით შეუძლია ინფორმაციის მიწოდება საგამოძიებო ორგანოებისთვის?

ანალიზი:

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და საადვოკატო მომსახურების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ასევე, ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით.¹⁵ კომუნიკაცია ადვოკატთან უნდა იყოს კონფიდენციალური და დაცული.

ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან უნდა ეფუძნებოდეს იმ ფუნდამენტურ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებსაც განსაზღვრავს აპეკ-ისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. საადვოკატო საქმიანობისას ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის დაცვა. ადვოკატმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ინფორმაცია როგორც არსებული, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმეზე და ეს ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

სსსსკ-ის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არეგულირებს ადვოკატის მოწმედ დაკითხვის საკითხს: „მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განევისასთან დაკავშირებით“.

სსსსკ-ის ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, ადვოკატს არ ევალება ინფორმაციის გაცემა კლიენტსა და მის საქმეზე, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ადვოკატმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მისცემს თუ არა ჩვენებას კლიენტის საქმეზე, რადგან მისი, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის იმპერატიული

¹⁵ „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება, სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით“ (საქართველოს კონსტიტუცია 31.3 მუხლი)

ვალდებულებაა, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.

სსკ-ის 141-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხონ „წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას“. ამავე კოდექსის 142-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა შეუძლიათ „პირებს, რომლებიც, თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ვალდებულნი არიან, დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან“.

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება საადვოკატო საქმიანობისას მიღებული ყველანაირი ინფორმაცია კლიენტის საქმეზე, მათ შორის, კლიენტის ვინაობაც, რომლის გამჟღავნებაც შეზღუდულია, თუ ამას კლიენტი წინასწარ მოითხოვს. შესაბამისად, პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კანონითა და ეთიკის წესებით დადგენილი გამონაკლისების შესაბამისად.

ადვოკატი უშუალოდ არ იყო ჩართული კლიენტის სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში, თუმცა სამოქალაქო საქმე, რომელზეც გაუწია კლიენტს იურიდიული მომსახურება, დაუკავშირდა ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს. კერძოდ, გაიჩვენა, რომ ადვოკატმა საგამოძიებო ორგანოს მოწმის სახით უნდა მიანოდოს თავისი კლიენტის სამოქალაქო საქმეში არსებული ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისთვის. ამ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოსთვის მისაწოდებელი ინფორმაცია უკავშირდება კლიენტის საქმეს და მოიცავს საქმის მასალებსაც, რომლებიც დაცულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პრივილეგიით და არ უნდა გაამჟღავნოს ადვოკატმა. ამასთან, წარმოდგენილი ფაქტებით ივარაუდება, რომ სახეზე არ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაციის საგამონაკლისო შემთხვევა.¹⁶

დასკვნა:

16 ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაზე კომისიამ იმსჯელა წერილობითი რეკომენდაციაში 004/14, 2015 წლის 24 ივლისი: <https://tinyurl.com/4fvk7w5x> კერძოდ, ადვოკატი მონაწილეობდა და კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეში, რომელზეც კლიენტის მიმართვის საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება. კლიენტის თხოვნა იყო, ადვოკატს მიეწოდებინა ინფორმაცია გამოძიებისთვის იმ ფაქტებზე, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ინტერესების დაცვისას. კომისიამ შეაფასა, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა, კლიენტის თხოვნის საფუძველზე, ადვოკატს მოწმის სახით მიეცა ჩვენება ასეთ საკითხებზე და განმარტა: კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდება ემსახურება მის ინტერესებს. თუმცა, ასეთ დროს ადვოკატს უფლება აქვს, თვითონ გადაწყვიტოს, მისცემს თუ არა ჩვენებას გამოძიებას საკითხებზე, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა ამ კლიენტის ინტერესების დაცვისას, და ეს უფლება გარანტირებულია სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, თუ მან აწარმოა კლიენტის სამოქალაქო საქმე, თუმცა საგამოძიებო ორგანოს მიერ მოწმის სახით დაბარებულია კლიენტის სისხლის სამართლის საქმეზე. ასეთ დროს მას კანონი და ეთიკური სტანდარტი ავალდებულებს, რომ არ გაამჟღავნოს სამოქალაქო საქმიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის, საქმის მასალები).¹⁷

4.4 ვრცელდება თუ არა პროფესიული რეგულაცია ადვოკატზე, როდესაც ის კლიენტის საქმის მასალებს აწვდის სახელმწიფო ინსპექტორს ?

წერილობითი რეკომენდაცია 007/18, 2018 წლის 17 ივლისი¹⁸

შეკითხვა:

რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და ხომ არ დაარღვევს აპეკ-ის მოთხოვნებს მის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის?¹⁹

ანალიზი:

ეთიკის კომისიისთვის დასმული კითხვა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

1. რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება?
2. ხომ არ დაარღვევს აპეკ-ის მოთხოვნებს ადვოკატის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის?

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია²⁰, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა.²¹ ეს ნიშნავს, რომ საად-

¹⁷

¹⁸ <https://tinyurl.com/2be4xznh>

¹⁹ 2019 წლის 10 მაისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლეა სახელმწიფო ინსპექტორი იხ. „სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიში 2019“ გვ.15 <https://bit.ly/2ZilrDX>

²⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

²¹ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა, კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ამ ინფორმაციის ნდობის საფუძველზე მიმღები. კონფიდენციალურობის უწყველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკა-

ვოკატო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პრინციპს. ამ მხრივ, საგულისხმოა საერთაშორისო სტანდარტები²², რომლებიც ცალსახად განსაზღვრავს პროფესიული საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობას საადვოკატო საქმიანობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი უზრუნველყოფს კლიენტის უფლების დაცვის საიმედოობასა და სანდოობას.

პროფესიული საიდუმლოების ვალდებულება განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით, რომლის თანახმადაც: „ადვოკატი ვალდებულია, (ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; (ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე, არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა“.²³

ამ პრინციპის დაცვა, შესაბამისად, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია საადვოკატო საქმიანობაში. ამ მხრივ, ინტერესს იწვევს ადვოკატის ვალდებულებათა ფარგლები, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებულ მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას ადვოკატი აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.²⁴

კლიენტთან ურთიერთობაში პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების ფარგლები მოცემულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 მუხლშიც. განსახილველი ნორმა იმპერატიულია და ამომწურავად ადგენს

ტის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა“.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი I, მე-6 პუნქტი: „საჭიროა ყველა აუცილებელი ზომის მიღება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დასაცავად. ამ პრინციპიდან გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაბამეა კანონის უზენაესობის პრინციპებს“.

22 გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, მე-8 პუნქტი: „ყველა დაპატიმრებული, დაკავებული ან საპყრობილეში მყოფი პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის, მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასეთ კონსულტაციებს შეიძლება თვალყურის ადევნოს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელმა, მაგრამ მას მოსმენის უფლება არ აქვს“. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3 მუხლის 2.3.1 პუნქტი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი I, მე-6 პუნქტი.

23 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1

24 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.11 ასევე, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.51.

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების უფლებათა ჩამონათვალს: კერძოდ, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

ამ ნორმაში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია და მისი გავრცობა დაუშვებელია. ეს ნიშნავს, რომ განსახილველი პრინციპის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ უნდა გახდეს ცნობილი მესამე პირისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებით მოცემული შემთხვევებისა.

მესამე პირში იგულისხმება ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ამასთან მიმართებით, საყურადღებოა აპეკ-ის 4.1 მუხლი, რომელიც უფრო ფართოდ განმარტავს განსახილველ საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი „კონფიდენციალურობის იდენტურად იყენებს პროფესიული საიდუმლოების ცნებას, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის ადგენს და ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული საიდუმლოების დაცვას“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილს სრულად თანხვდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობისას. ადვოკატმა შესაძლოა სხვა წყაროდანაც მიიღოს ინფორმაცია კლიენტის საქმეზე. ასეთი სახით მიღებულ ინფორმაციასთან მიმართებითაც, მან უნდა დაიცვას ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ინფორმაცია როგორც არსებული, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმეზე და ეს ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია, რომლის თანახმადაც, კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისების გარდა, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გახადოს მესამე პირებისთვის, და ეს არ არის შეზღუდული დროში.

ზემოაღნიშნული წესის დარღვევა იწვევს სპეციალური კანონითა და პროფესიული ეთიკის საფუძველზე განსჯას და პასუხისმგებლობის დაკისრებას.²⁵

25 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.2; ასევე, იხ. კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძაია ი., „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით“, 2011, გვ. 12.

შეკითხვა ეხება საკითხს, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიაწვდის კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, დოკუმენტაციას.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე და დამოუკიდებელი პირი, რომელიც ემორჩილება კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. პროფესიიდან გამომდინარე, მას მოეთხოვება მაღალი ეთიკური სტანდარტის დაცვა. არც ადვოკატის პროფესიისა და არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ ნორმებში არ გვხვდება დათქმა, რომ ადვოკატმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მოთხოვნისთანავე უნდა გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მიიღო პროფესიული საქმიანობისას და უკავშირდება ამჟამინდელი, ყოფილი თუ პოტენციური კლიენტის საქმეს.

ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია; მათ შორის, არ გადასცეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს (მესამე პირს) ის დოკუმენტაცია ან ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება დააზიანოს მისი ყოფილი ან ამჟამინდელი კლიენტის ინტერესები. აღნიშნული მასალები შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ კლიენტზე, არამედ სხვა პირებზე ინფორმაციასაც, რომლის ინსპექტორისთვის გადაცემამ და დამუშავებამ შეიძლება დააზიანოს მათი ინტერესებიც.

შესაბამისად, ადვოკატს არა აქვს უფლება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საწინააღმდეგოდ გაამჟღავნოს პროფესიული საიდუმლოება.

დასკვნა:

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია უნდა დაიცვას მესამე პირებთან ურთიერთობისას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მას შეუძლია, სახელმწიფო ორგანოებს (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს) მიაწოდოს კლიენტის საქმის მასალები.

4.5 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როცა კლიენტს კონსულტაციას უწევს იმ სივრცეში, სადაც სხვა პირებიც იმყოფებიან?

წერილობითი რეკომენდაცია 008/15, 2015 წლის 20 სექტემბერი²⁶

ფაქტები:

ადვოკატი კონსულტაციასა და სამართლებრივ დახმარებას (მაგ: განცხადების, ადმინისტრაციული საჩივრის, ასევე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელის მომზადება) კლიენტს უწევს იმ ოთახში, სადაც, ადვოკატისა და კლიენტის გარდა, იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი მოქმედი საჯარო მოსამსახურე, ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია.

შეკითხვა:

დასაშვებია თუ არა, ადვოკატი კონსულტაციის მსურველ პირს გაესაუბროს, მისგან მიიღოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და გაუწიოს კონსულტაცია იმ სივრცეში, სადაც სხვა პირებიც იმყოფებიან?

ანალიზი:

კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება ადვოკატის ქცევის მომწესრიგებელი როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული აქტების შესაბამისად. ამიტომ, ადვოკატი ვალდებულია, თავისი ქმედებები (მათ შორის, კლიენტისთვის კონსულტაციის განწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება) განახორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროოს კლიენტის მიერ საქმეზე მიწოდებული ინფორმაცია. კლიენტი ამ ინფორმაციას აწვდის არსებული თანამშრომლობისა და ნდობის საფუძველზე, შესაბამისად, ადვოკატმა საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს მისი ნდობა.²⁷

²⁶ <https://tinyurl.com/hsnue5p8>

²⁷ წერილობით რეკომენდაციაში 003/18, 2018 წლის 16 იანვარი, კომისიამ იმსჯელა მესამე პირის თანდასწრებით კლიენტის საქმეში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობაზე, კერძოდ, მოდავე მხარის ადვოკატის თანდასწრებით კლიენტისთვის კონსულტაციის განწევაზე. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის გამო, დაზარალებულად ცნეს „ლ“, რომელსაც საადვოკატო მომსახურებას უწევდა ადვოკატი „პ“. მხარეები, მათი ადვოკატების ჩართულობით, შეთანხმდნენ დაზარალებული „ლ“-სთვის ზიანის ანაზღაურებაზე, თუმცა ბრალდებულმა ზიანი ნაწილობრივ აანაზღაურა. ამის გამო, „ლ“-მ ისევ გამოთქვა პრეტენზია ბრალდებულის მიმართ, რითაც ხელი შეეშალა საპროცესო შეთანხმებას. ამ გარემოების გათვალისწინებით, „ლ“-ს შეხვდა როგორც თავისი ადვოკატი „პ“, ასევე ბრალდებულის უფლებადამცველი. ისინი არწმუნებდნენ პრეტენზიის უზუსტობაში, სთხოვდნენ, ნოტარიულად კიდევ ერთხელ დაემონებინა, რომ ბრალდებულთან პრეტენზია არ ჰქონდა. დაზარალებულმა

ადვოკატმა, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. თუ იგი წინასწარ შეუთანხმდება კლიენტს, რომ კონსულტაცია ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება გაეწევა შეკითხვაში აღნიშნულ პირობებში (ოთახში ადვოკატისა და კლიენტის გარდა იქნება ერთი ან ერთზე მეტი მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ, მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია) და კლიენტი ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს ამაზე, ადვოკატი აირიდება პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლო საფუძვლის არსებობას.²⁸

საკუთარ ადვოკატს მიმართა შემდეგი ფრაზით: „ჩემი ადვოკატი ხარ, თუ ბრალდებულის?“ ამის მიუხედავად, „პ“ მიუთითებდა, რომ თავისი კლიენტის პრეტენზია არ იყო სწორი.

კომისიამ შეაფასა საკითხი: დარღვია თუ არა დაზარალებულის ადვოკატმა ეთიკური წესები, როცა დაზარალებულს ბრალდებულის ადვოკატთან ერთად შეხვდა და ბრალდებულის ადვოკატის პოზიციას უზიარებდა/უმტკიცებდა დაზარალებულს? კომისიის განმარტებით, კონფიდენციალობის დაცვა ვრცელდება ადვოკატის მიერ გაწეულ კონსულტაციაზეც. კლიენტთან შეუთანხმებლად, რჩევის მიცემას არ უნდა ესწრებოდეს სხვა პირი, რადგან ამ შემთხვევაში ინფორმაცია ვერ იქნება პრივილეგიით დაცული. ასეთი გარეშე პირი შეიძლება დაიკითხოს ადვოკატის მიერ გაწეულ რჩევის შინაარსთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, პრივილეგია იცავს კლიენტს და თვითონვე შეუძლია მასზე უარის თქმა, თუმცა ამისთვის ადვოკატმა კონფიდენციალურად უნდა გააცნოს პრივილეგიაზე უარის თქმა (რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც შეიძლება იყოს რჩევის მიცემისას გარეშე პირის დასწრების შედეგი) და კლიენტმა უნდა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, ადვოკატი კლიენტს რჩევას აძლევს საპირისპირო ინტერესების ქოჩნე მხარის ადვოკატის თანდასწრებით, რაც კიდევ უფრო ამძიმებს დარღვევას, რადგან მოწინააღმდეგე მხარე ინფორმირებული ხდება რჩევის შინაარსის შესახებ.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ ინფორმაციის მიღება თავისთავად უპირატესობას ანიჭებს მას. ადვოკატის პოზიცია უნდა ასახავდეს კლიენტის პოზიციას. დაუშვებელია ადვოკატის მიერ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებს გარეთ გამოხატული პოზიცია განსხვავებოდეს კლიენტის სუბიექტური პოზიციისგან, თუნდაც იგი სუბიექტურად არ ეთანხმებოდეს კლიენტს. თუ ადვოკატი თვლის, რომ კლიენტის მითითებები აიძულებს მას პროფესიული ქცევის წესების ან კანონის დარღვევას, მან უნდა შეწყვიტოს წარმომადგენლობა შესაბამისი ვადის დაცვით.

თუ ადვოკატი აგრძელებს წარმომადგენლობას, ის ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს კლიენტის მითითებების შესაბამისად. ეს არ გამოირიცხავს ადვოკატის უფლებას (რაც ხშირად მისი ვალდებულებაც არის), კლიენტს მიაწოდოს სრული ინფორმაცია და აუხსნას რისკები, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ამ მითითებების შესრულებამ. ეს საშუალებას აძლევს კლიენტს, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და ადვოკატს მისცეს მითითებები, რომელთა შესაბამისადაც უნდა გააგრძელოს მისი დაცვა ან წარმომადგენლობა.

ამ შემთხვევაში, კლიენტის პოზიცია არ ემთხვეოდა ადვოკატის პოზიციას. კლიენტის ნების სანაწილმდეგოდ, შესაძლოა პირის თანდასწრებით - მით უფრო, მოდავე მხარის ადვოკატთან ერთად - მსჯელობა არ გამომდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან და შეიძლება რისკქვეშ დააყენოს მისი ნდობა. ადვოკატი შეიძლება იზიარებდეს მოწინააღმდეგე მხარის შემოთავაზებას და ურჩევდეს კიდევ კლიენტს მის გაზიარებას, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მაგრამ თუ ამას მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად აკეთებს, კლიენტს შეიძლება წარმოეშვას გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი არ მოქმედებს მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

28 ამეხიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) პროფესიული ქცევის 5.3 მოქმედი წესით (Responsibilities

დასკვნა:

კონფიდენციალობის პრინციპი ვრცელდება ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობისას. შესაბამისად, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ მესამე პირებს ხელი არ მიუწვდებოდეთ კლიენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. თუ კლიენტი, წინასწარი შეთანხმების ფარგლებში, ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს სამართლებრივი კონსულტაციისა თუ სხვა სახის დახმარების მიღებაზე ზემოაღნიშნულ პირობებში, ადვოკატს უფლება გაქვს, გაუწიოს სამართლებრივი დახმარება.²⁹

Regarding Nonlawyer Assistant): <https://bit.ly/3zH6wB0> ცალკეა დარეგულირებული ადვოკატის ეთიკური პასუხისმგებლობის გავრცელების ფარგლები მასთან მომუშავე არაადვოკატის ეთიკური ქცევისას. ადვოკატმა, რომელიც ინდივიდუალურად ეწევა საადვოკატო საქმიანობას, ან კონკრეტულ საადვოკატო ბიუროს ხელმძღვანელობს, უნდა განიოს გონივრული ძალისხმევა, რათა მის სამუშაო სივრცეში მომუშავე არაადვოკატის ქცევა შესაბამებოდეს ადვოკატთა პროფესიულ ვალდებულებებს. ადვოკატი, რომელიც ინფორმირებულია მასთან დასაქმებული არაადვოკატის არაეთიკური ქცევის შესახებ, უნდა ეცადოს დარღვევით გამოწვეული შედეგები თავიდან აცილებას და მიიღოს გონივრული ზომები მისი გამოსწორებისთვის.

- 29 საადვოკატო საქმიანობისას კლიენტის საქმის მასალებზე წვდომასთან მიმართებით, გაიცა ზეპირი რეკომენდაცია 004/14, 2014 წლის 10 ივნისი: <https://tinyurl.com/42vxcjt9> კერძოდ, საკითხი ეხებოდა საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტებისთვის კლიენტთა საქმეებზე სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის შექმნას. ასეთ შემთხვევაში, სტაჟიორ-იურისტები არიან მესამე პირები, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება ადვოკატთან მისულ კლიენტთა საქმის მასალები. ადვოკატის მიერ სტაჟიორებისთვის კლიენტზე ინფორმაციის მიწოდება და საქმის მასალების გაცნობის საშუალების მიცემა არის კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. „ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან“ (აპკ-ის 11.1 მუხლი, მეორე წინადადება).

შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების წინ კლიენტი უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მისი საქმის მასალები ცნობილი გახდება საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტისთვის. ამასთან, ადვოკატმა უნდა გააფრთხილოს წინასწარ სტაჟიორი, რომ მას ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, რაზეც მან წერილობითი თანხმობა უნდა განაცხადოს.

4.6 შესაძლებელია თუ არა ადვოკატის პროფესიული კომპეტენციის დადასტურება ორდერების წარდგენით?

წერილობითი რეკომენდაცია 021/13, 2013 წლის 15 თებერვალი³⁰

ფაქტები

ადვოკატმა მის მიერ წაწარმოები დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების ორდერები წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს (ხაზი უნდა გავუსვათ მხოლოდ ორდერებს და არა სისხლის სამართლის საქმეებს). ორდერების წარდგენის მიზანი იყო, საჯარო დაწესებულების მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისას, დაედასტურებინა მოქმედ ადვოკატად მუშაობის გამოცდილება.

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადვოკატს, კონკურსში მონაწილეობისას პროფესიული გამოცდილება დაადასტუროს ორდერების წარდგენით?

ანალიზი:

ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა (ნებისმიერი მესამე პირისთვის) არის აპეკ-ით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ადვოკატს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.³¹

შეკითხვის ფარგლებში უნდა შეფასდეს შემდეგი საკითხი: ადვოკატის მიერ დასრულებულ საქმეებზე ორდერების წარდგენა ადმინისტრაციული ორგანოსთვის, იმ მიზნით, რომ დაადასტუროს თავისი პრაქტიკული პროფესიული საქმიანობა და გამოცდილება, ნიშნავს თუ არა ადვოკატის მიერ კონფიდენცი-

³⁰ <https://tinyurl.com/r479em8>

³¹ „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე № 094/11).

„კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად... კლიენტის სრული ნდობა ადვოკატი-სადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, სათანადოდ დაიცვას კლიენტის ინტერესები“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №112/11).

ალური ინფორმაციის გამჟღავნებას. აღნიშნული საკითხი უშუალოდ უკავშირდება კლიენტის ინტერესთა უპირატესობას - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირეულ პრინციპს - და მის დასაცავად ადვოკატი ყველა კანონიერ გზას უნდა იყენებდეს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა სავალდებულო მოთხოვნები, თუ რას უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი.

კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია:

- (1) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი;
- (2) დოკუმენტის დასახელება - ორდერი;
- (3) ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი;
- (4) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი;
- (5) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს);
- (6) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა;
- (7) ორდერის მოქმედების ვადა.

ამგვარად, ორდერი შეიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს, რომლებიც არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია, საადვოკატო საქმიანობაში პროფესიული გამოცდილების დასადასტურებლად წარადგინოს დასრულებულ სისხლის საქმეებზე გაცემული ორდერები. კონფიდენციალურ ინფორმაციად არ მიიჩნევა ორდერში აღნიშნული მხოლოდ სავალდებულო რეკვიზიტები. ადვოკატმა არ უნდა გაასაჯაროს ორდერის შინაარსი: კერძოდ, არ უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს ისეთი სახით, რომ მინიმალური რეკვიზიტების გარდა, მოიცავდეს სხვა მონაცემებსაც, რომლებიც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ასეთი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, აპკ-ის 4.1 მუხლის შესაბამისად, კონფიდენციალურია და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის თანხმობით.

დასკვნა:

ორდერში აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს და მასში არ არის წარმოდგენილი სხვა სახის მონაცემები. შესაბამისად, ის არ განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას და შესაძლებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს წარედგინოს საადვოკატო საქმიანობისა და გამოცდილების დასადასტურებლად.

4.7 კონფიდენციალურობა, როგორც დროში შეუზღუდავად დასაცავი პრინციპი: რა ხდება კლიენტის გარდაცვალების შემდეგ?

წერილობითი რეკომენდაცია 004/17, 2017 წლის 19 მარტი ³²

ფაქტები:

2010 წელს ადვოკატი იცავდა Y-ის ინტერესებს ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში და საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. 2012 წელს Y გარდაიცვალა. 2017 წლიდან ადვოკატი სავალდებულო წესით იცავს ბრალდებულ X-ს, რომელიც დამნაშავედ თავს არ ცნობს. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე არის Y-ის შვილი - Z.

ბრალდებული X-ის სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვას. ბრალდებული მომავალში, სავარაუდოდ, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საქმე წარადგინოს ნაფიც მსაჯულთა წინაშე. ადვოკატს, როგორც სავალდებულო წესით საქმეში ბრალდებულის ინტერესების დამცველს, მოუწევს გარდაცვლილი დაზარალებულის Y-ის დისკრედიტაცია მისი ნასამართლობის თაობაზე (გასამართლებული იყო მიცვალებულის უპატივცემულობისათვის.) საქმეზე ასევე დაიკითხება დაზარალებულის უფლებამონაცვლე Z, რომელთანაც მამის საქმეზე ჰქონდა კომუნიკაცია ადვოკატს - კონსულტაციას უწევდა მას.

შეკითხვა:

ადვოკატის მიერ ბრალდებული X-ის ინტერესების დაცვა ხომ არ ეწინააღმდეგება ადვოკატთა ეთიკის კოდექსს და, თუ ეწინააღმდეგება, კონკრეტულად რომელ პრინციპს?

ანალიზი:

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევდა Y-სა და მის შვილს, Z-ს. ამჟამად ადვოკატი სხვა სისხლის სამართლის საქმეზე იცავს ერთ-ერთი კლიენტის (ბრალდებული) მხარის ინტერესებს (დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით). ამ საქმეში დაზარალებული (გარდაცვლილი) მხარე არის მისი ყოფილი კლიენტი Y, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია Y-ის შვილი - Z. როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატს სურს, ამჟამინდელი კლიენტის ინტერესთა დასაცავად გამოიყენოს ინფორმაცია თავისი ყოფილი კლიენტის - გარდაცვლილი Y-ის შე-

³² <https://tinyurl.com/22nrwmb3>

სახებ, რომელიც ეხება Y-ის ნასამართლობას (გასამართლდა მიცვალებულის უპატივცემულობისთვის). აღნიშნული საფუძვლით, ადვოკატი აპირებს Y-ის დისკრედიტაციას, არსებული კლიენტის ინტერესთა სასარგებლოდ.

კომისიის განმარტებით, კლიენტის გარდაცვალება არ წყვეტს კონფიდენციალობის დაცვის პრინციპის მოქმედებას. Y-ის ნასამართლობაზე ინფორმაცია არის კლიენტის საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება და, მითუმეტეს, ყოფილი კლიენტის დისკრედიტაციისთვის გამოყენება, დაუშვებელია. გასული დროის მიუხედავად, კლიენტის გარდაცვალების შემდეგაც, ადვოკატი ვალდებულია, იმოქმედოს აპეკ-ის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს/არ გამოიყენოს მის საწინააღმდეგოდ პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია. ამასთან, კომისია აფასებს ყოფილი კლიენტის შვილის მიმართ არსებულ ეთიკურ ვალდებულებებსაც. კერძოდ, ადვოკატის ყოფილი კლიენტი იყო არა მხოლოდ Y, არამედ Z-იც, ვინაიდან ადრინდელ საქმეზე უწევდა მას კონსულტაციას. მიმდინარე საქმეზე ადვოკატი აპირებს ყოფილი კლიენტებისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას მათ წინააღმდეგ, რაც არღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და კონფიდენციალობის ეთიკურ სტანდარტებს.

დასკვნა:

კონფიდენციალობის პრინციპი დროში შეუზღუდავია და აქვს განგრძობადი ბუნება - ვრცელდება კლიენტის გარდაცვალების შემდეგაც. ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს თავის გარდაცვლილ კლიენტზე ინფორმაცია (მათ შორის, ნასამართლობის შესახებ) და არ უნდა გამოიყენოს მისი დისკრედიტაციის მიზნით, არსებული კლიენტის ინტერესთა სასარგებლოდ (მით უფრო, თუ მიმდინარე საქმე უკავშირდება მას). კერძოდ, მოწმის სახით უნდა დაიკითხოს გარდაცვლილი კლიენტის შვილი, რომელიც ასევე იღებდა კონსულტაციას ადვოკატისგან. შედეგად, ასეთი წარმომადგენლობა დაუშვებელია და ადვოკატმა უნდა დაიცვას კონფიდენციალობა და აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.³³

33 ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) ერთ-ერთი პუბლიკაცია ეხება კონფიდენციალობის პრინციპის განგრძობად ბუნებას კლიენტის გარდაცვალების შემდგომ და უთითებს, რომ მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცული ინფორმაცია დროში შეუზღუდავად იყოს დაცული. თუმცა, თავისთავად, კონკრეტული ვადის არარსებობა აჩენს კითხვებს და არის საკითხები, რომლებიც შესასწავლია კონკრეტული შემთხვევის შეფასებიდან გამომდინარე. მაგალითად, როდესაც უშუალოდ ურთიერთობის მხარეები არ არსებობენ, როგორ იქნება დაცული „პრივილეგია“ - ადვოკატ კლიენტის ურთიერთობისას მიღებული ინფორმაცია? ვინ იქნებიან უფლებამონაცვლები? ეს გარემოებები ხომ არ გამოიწვევს კონფიდენციალობის დაცვაზე უნებლიე უარის თქმას? შესაძლებელია თუ არა, არ არსებობდეს პირი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის რეპუტაციის შესაძლო ზიანზე? (იხ. ABA Journal, April 01, 2014, Publication: "Is Confidentiality Really Forever: Even if the Client Dies or Ceases to Exist?") <https://tinyurl.com/53uruc6b>

თავი 5

კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (აპეკ-ის მე-5 მუხდი).

5.1 დასაშვებია თუ არა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმება კლიენტთან იმ საქმეზე, რომელზეც ადვოკატმა უნდა განიოს იურიდიული მომსახურება?

წერილობითი რეკომენდაცია 001/18, 2018 წლის 25 მაისი³⁴

ფაქტები:

ადვოკატ „ბ“-ს მიმართა კლიენტმა იმ მიზნით, რომ ეწარმოებინა მისი საქმე, რომელიც ეხებოდა მოდავე მხარისთვის ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნას. შეთანხმების შესაბამისად, კლიენტმა ადვოკატ „ბ“-ს, როგორც ფიზიკურ პირს, დაუთმო მოთხოვნის უფლება, რათა სხვა პირის მიმართ მოეთხოვა ვალის ამოღება, რაც დამონშდა ნოტარიულად.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა ადვოკატი „ბ“ ცნეს უფლებამონაცვლედ და მოსარჩელედ მოპასუხეთა მიმართ. შესაბამისად, ერთი სარჩელი დაკმაყოფილდა, როგორც საფუძვლიანი, ხოლო მეორე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ სარჩელებს ადვოკატი „ბ“ სასამართლოში აწარმოებდა როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით, რომელთანაც ადვოკატ „ბ“-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

³⁴ <https://bit.ly/3Bumi3R>

შეკითხვა:

ვინაიდან სხვა ფიზიკურ პირს კანონმდებელი არ ზღუდავს, რომ მისი სარჩელი, მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე, საერთო სასამართლოებმა განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, შესაძლებელია თუ არა, ასეთი უფლებით ისარგებლოს ადვოკატმა „ბ“-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა, და საქმე ანარმოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (გააფორმოს მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და გაასაჩივროს გადაწყვეტილებები მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც)?

ანალიზი:

ადვოკატის პროფესიის მაღალი სტატუსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კლიენტთან საქმიანობით. ადვოკატს თავისი ფუნქცია აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს სასამართლოს სხვა ორგანოების, საზოგადოებისა და სხვა ინსტიტუციების წინაშე. ამდენად, ამ პროფესიისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის როლისა და დანიშნულების გააზრება-გათავისებას. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ასრულებდეს პატიოსნად, მაღალი პროფესიონალიზმითა და იმ პრინციპების დაცვით, რომლებიც დადგენილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა³⁵, ასევე, კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედება, საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპებია. ადვოკატის პროფესიონალიზმი წარმოუდგენელია ამ პრინციპზე დაფუძნებული უფლება-მოვალეობების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს უნდა აყენებდეს როგორც პირად, ისე სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ამ პრინციპის დარღვევაზე მიუთითებს შემთხვევები, როდესაც ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობაში აღრეული აქვს პირადი და კლიენტის ინტერესები. ამდენად, სხვა პრინციპების დაცვასთან ერთად, ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კარგი რეპუტაციით და იურიდიული პროფესიის პატივისცემით, თავისი ან სხვა პირთა ინტერესები არ დააყენოს კლიენტის ინტერესებზე მაღლა.

ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა მიუთითებდეს ამ პროფესიისადმი წაყენებულ მოთხოვნათა ზედმინვნით მაღალი სტანდარტით დაცვაზე. ეს ნიშნავს, რომ არა მარტო ფაქტობრივად, არამედ საზოგადოებაშიც უნდა არსებობდეს ადვოკატის საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულება.

35 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3(დ).

ამის გათვალისწინებით, დასმულ კითხვასთან მიმართებით, ეთიკის კომისია დასძენს, რომ ადვოკატ „ბ“-ს მიერ კლიენტთან დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატი იკავებს კლიენტის პროცესუალურ სტატუსს სამართალწარმოებაში, შესაძლებელია, საზოგადოებამ აღიქვას იმგვარ „საქმიანობად“, სადაც ადვოკატი, „დავის საგნის შეძენის“ გზით, პრიორიტეტს ანიჭებს საკუთარ ინტერესებს.

ამ სახის საქმიანობით ადვოკატი აღიქმება როგორც ე.წ. „პროფესიონალი მოსარჩელე“, რომელიც „იძენს“ კლიენტის მოთხოვნას და ამ საშუალებით მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში.

ადვოკატის ასეთი მოქმედება, თუნდაც ამაზე კლიენტი თანახმა იყოს, არ გამომდინარეობს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან. იგი არღვევს არა მხოლოდ ადვოკატის კეთილსინდისიერების, კარგი რეპუტაციის, იურიდიული პროფესიის პატივისცემისა და კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპებს, არამედ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებსა და პროფესიულ იმიჯსაც. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, თავისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. ის ვალდებულია, საადვოკატო საქმიანობა კეთილსინდისიერად განახორციელოს და კვალიფიციური მომსახურება გაუწიოს კლიენტს.

ადვოკატებმა პროფესიული ფუნქციები უნდა შეასრულონ ნებისმიერი სახის გავლენის, მათ შორის, პირადი ინტერესების, ასევე, სხვა კლიენტებისა და პირების გავლენის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ადვოკატის საქმიანობა უკავშირდება იურიდიულ და მორალურ ვალდებულებებს, რომელთაც მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ.

ადვოკატმა „ბ“-მ მიმართა სხვა ადვოკატს, რომელსაც აღნიშნულ საქმეზე მისთვის უნდა გაენია წარმომადგენლობა სასამართლოში. მართალია, მას სასამართლოში უნდა დაეცვა „ბ“-ს ინტერესები, თუმცა საქმე რეალურად უკავშირდებოდა პირს, რომელმაც მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ „ბ“-სთან, რაც ეთიკის კომისიამ უარყოფითად შეაფასა. კომისიამ დამატებით მიუთითა, რომ წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემული განმარტებები არ ეხება კერძო შემთხვევებს, რომლებიც, კითხვიდან გამომდინარე, უკვე შეაფასა და გადაწყვიტა სასამართლომ.

დასკვნა:

ადვოკატს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ქცევის მაღალი სტანდარტის დაცვა მოეთხოვება. თუ მას მიმართავს პირი თავის საქმეზე კონსულტაციის მისაღებად და ადვოკატი შესთავაზებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმებას, ასეთი გარიგების დადებით დაირღვევა ეთიკური ვალდებულებები.

5.2 ყოველთვის ნიშნავს თუ არა კლიენტის მითითების შეუსრულებლობა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებას?

წერილობითი რეკომენდაცია 001/15, 2015 წლის 08 იანვარი³⁶

ფაქტები:

სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი კლიენტი ადვოკატს უყენებს პირობას, რომ თუ საქმე არ დასრულდება მისთვის სასარგებლო შედეგით, იგი თავს მოიკლავს. ადვოკატის მოსაზრებით, კლიენტმა შეიძლება მართლაც ჩაიდინოს თვითმკვლელობა, ვინაიდან რამდენჯერმე მიმართა პროტესტის უკიდურეს ზომებს.

ამავდროულად, კლიენტი ასეთ ზომებს იყენებს როგორც ერთგვარ ტაქტიკას მისი საქმის გასაჯაროებისათვის და მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა მოსაზიდად. ადვოკატის განმარტებით, თუ იგი მიმართავს შესაბამის პირებს კლიენტზე მეთვალყურეობის დასაწყობებად და მისი მოქმედებების შესაზღუდად, კლიენტი ვეღარ შეძლებს თავისი ქმედებებით საქმის გასაჯაროებას. ეს შეიძლება ჩაითვალოს მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად, თუმცა ხელს შეუწყობს კლიენტის სიცოცხლის შენარჩუნებას, რადგან, როგორც აღინიშნა, არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ კლიენტმა, გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება მართლაც ჩაიდინოს თვითმკვლელობა.

შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც კლიენტი აცხადებს, რომ თუ მისთვის სასურველი შედეგი არ დაგება, თვითმკვლელობას ჩაიდენს?

ანალიზი:

კლიენტი ელის, რომ საქმე მის სასარგებლოდ დასრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აპირებს, მიმართოს უკიდურეს ზომებს. ივარაუდება, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმება არ ითვალისწინებდა საქმის დასრულებას კლიენტის შეხედულებისა და სურვილების მიხედვით: კლიენტის ინტერესთა დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს კანონსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენების უფლებას, თუნდაც ამგვარ დაცვას კლიენტი ითხოვდეს და მიიჩნევდეს საჭიროდ. შეთანხმებაში, სავარაუდოდ, არ უნდა დაფიქსირებულიყო ადვოკატის გარანტია, რომ კლიენტის საქმე მისთვის წარმატებით დასრულდებოდა (ეს დაუშვებელია აპკ-ის 8.3 მუხლით).

³⁶ <https://tinyurl.com/67hp2ynr>

ვინაიდან ადვოკატი არ მიუთითებს გარანტიაზე, ამ პირობებში კლიენტის განცხადება, რომ საქმის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში თავს მოიკლავს, ადვოკატს „ავალდებულებს“, კლიენტის სასარგებლოდ დაასრულოს საქმე და მისცეს შესაბამისი გარანტია. აღნიშნული განცხადება შეიძლება ჩაითვალოს კლიენტის ახალ ოფერტად და, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატს შეუძლია, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მას.

რასაკვირველია, ეს გულისხმობს თავდაპირველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ადვოკატმა უნდა განუცხადოს კლიენტს (სასურველია, წერილობით), რომ ურთიერთობის გაგრძელებაზე თანახმაა მხოლოდ პირველადი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და არა ახალი ოფერტის მიხედვით, რომელიც მოიცავს კლიენტის მიერ სიცოცხლის მოსპობის მუქარას მისთვის არასასურველი შედეგის დადგომის შემთხვევაში. ადვოკატი არ უნდა ასრულებდეს მისთვის დავალებულ ყველა ქმედებას - მას ზღუდავს როგორც კანონისა და ეთიკის კოდექსის ნორმები, ასევე პროფესიული სტანდარტები.

კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისთვის განუული კონსულტაცია და წარმომადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს კლიენტის ინტერესებს, მიზნად ისახავდეს მათ დაცვას და ითვალისწინებდეს მათ უპირატესობას პირად თუ სხვა პირთა ინტერესებთან შედარებით.

საქმე ეხება კლიენტის მთავარი ღირებულების - სიცოცხლის დაცვას, რისთვისაც ადვოკატმა უნდა განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება. მან უნდა მიმართოს სასჯელალსრულების დაწესებულების უფროსს შესაბამისი ზომების მისაღებად და სიტუაცია შეატყობინოს კლიენტის ოჯახსაც. კლიენტის სიცოცხლის უფლება მის ყველა ინტერესზე მაღლა დგება. ამიტომ, სიცოცხლის დასაცავად განხორციელებული ქმედებები, ეთიკის კომისიაში სამართალწარმოების შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ ჩაითვლება კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებად.

აღნიშნული პირებისათვის შეტყობინებისა და სათანადო ზომების მიღების შემდეგ, უნდა გაირკვეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის საკითხი: თუ ასეთ პირობებში კლიენტს ექნება სურვილი, რომ მისი ინტერესების დაცვა განაგრძოს იმავე ადვოკატმა და იარსებებს ორმხრივი თანხმობა, მათი ურთიერთობა ახალი პირობების შესაბამისად გაგრძელდება.

დასკვნა:

თუ კლიენტი ადვოკატს უყენებს პირობას, რომ საქმის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში თავს მოიკლავს, ეს, სავარაუდოდ, განიხილება ახალ ოფერტად, რომელზეც ადვოკატს შეუძლია განაცხადოს ან არ განაცხადოს თანხმობა, თავდაპირველი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად. ადვოკატი

უნდა მოქმედებდეს კანონის, პროფესიული ეთიკისა და მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის უკიდურესი ზომებისათვის მიმართვა შეიძლება იყოს კლიენტის ერთგვარი ტაქტიკა, მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ადვოკატმა უნდა მიმართოს შესაბამის პირებსა და კლიენტის ოჯახს - ინფორმაციის გასაცნობად და ადეკვატური ზომების მისაღებად. ეს მოქმედება არ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად, რადგან მიმართულია კლიენტის მთავარი ღირებულების - სიცოცხლის დასაცავად.³⁷

5.3 ადვოკატის საქმის წარმართვის სტრატეგია - ეთიკურია თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა?

წერილობითი რეკომენდაცია 012/19, 2020 წლის 05 იანვარი³⁸

ფაქტები:

ნივთის თავისუფალ მფლობელობაში გადმოცემის საქმეზე მოპასუხის (მოვალის) ადვოკატი ასაჩივრებს სასამართლოს განჩინებას ისე, რომ არ იხდის სახელმწიფო ბაჟის საფასურს. საგულისხმოა, რომ ადვოკატს აქვს/უნდა ჰქონდეს ცოდნა ბაჟის გადახდის საჭიროებასა და სავალდებულობაზე; ამასთან, არ არსებობს ბაჟისგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველი, რაც იმითიც დასტურდება, რომ თავად ადვოკატი არ მიუთითებს ამაზე.

შეკითხვა:

მართლმსაჯულების სისტემაში ადვოკატის, როგორც ეფექტიანი მართლმსა-

37 მსგავს საკითხზე კომისიამ იმსჯელა წერილობითი რეკომენდაციაში 001/14, 2014 წლის 17 მარტი: <https://tinyurl.com/s9vup8ss> საკითხი ეხებოდა კლიენტის თხოვნას ადვოკატისადმი: პროკურატურისთვის მოწმის სტატუსით მიეცა ჩვენება, რომ კლიენტი, როგორც ბრალდებული, დაკავებისას სცემს პოლიციის თანამშრომლებმა და სახის არეში მიაყენეს სხვადასხვა სახის დაზიანება, რაზეც ინფორმაცია მიანოდა ადვოკატს პირველი შეხვედრისას (წინასწარი დაკავების იზოლატორში). ადვოკატს ჩვენების მიცემა არ სურდა, ვინაიდან ის უარყოფდა კლიენტთან კომუნიკაციას ცემის ფაქტზე. კომისიის შეფასებით, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტის მოთხოვნის ფარგლებში, არ უნდა იმოქმედოს კანონსაწინააღმდეგოდ და არასწორი ინფორმაცია არ მიანოდოს საგამოძიებო ორგანოს. შესაძლოა, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისი ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენების მიცემამ წარმოშვა კლიენტის პასუხისმგებლობა ცრუ დასმენაზე. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ საკითხი ეხებოდა საადვოკატო საქმიანობის პერიოდში მომხდარ სადავო ფაქტს და, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს შეეძლო, გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლება (სსკ-ის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი) და უარი ეთქვა მოწმის სახით დაკითხვაზე.

38 <https://tinyurl.com/3kza6han>

ჯულების განხორციელების ერთ-ერთი გარანტის როლის გათვალისწინებით, არღვევს თუ არა აღნიშნული ქმედება ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

შეკითხვა ეხება ადვოკატის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას სასამართლოში კლიენტის ინტერესთა წარმომადგენლობისას. კერძოდ, არღვევს თუ არა პროფესიულ ნორმებს ადვოკატი, როდესაც ის კლიენტის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრებისას არ იხდის სახელმწიფო ბაჟს.

შეკითხვის სამართლებრივი ანალიზისას, კომისიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა ადვოკატის როლის გათვალისწინებით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-6 და აპკ-ის მე-5 მუხლებთან მიმართებით.

ადვოკატებმა, თავიანთი კლიენტების უფლებათა დაცვისას და მართლმსაჯულების ინტერესების ხელშეწყობისას, უნდა განამტკიცონ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები; მათ ყოველთვის უნდა იმოქმედონ თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა თუ პროფესიული მოვალეობების სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად.

ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტების ინტერესებს (გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, მუხლები 14, 15).³⁹

ეთიკის კომისიის განმარტებით, პროცესის განზრახ გაჭიანურება არ არის ადვოკატის როლის შესაბამისი ქმედება, რადგან ადვოკატი ეფექტიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთი გარანტი უნდა იყოს. თუმცა, შეკითხვიდან გამომდინარე, ადვოკატის ქმედება არ შეიძლება შეფასდეს არაეთიკურად მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხადა კლიენტის საქმეზე. ამ ქმედებას შეიძლება მრავალი მიზეზი ჰქონდეს, კლიენტის ინტერესთა დაცვის მიზნიდან გამომდინარე, რაც შეკითხვის არსიდან არ ირკვევა.

შესაძლოა, ადვოკატმა კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიტანა საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე, გასაჩივრების ვადის გაშვების ასაცილებლად. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ადვოკატი მოქმედებდეს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობაც შეთანხმებული იყოს კლიენტთან. ამასთან, კლიენტი ინფორ-

³⁹ ადვოკატის ნებისმიერი ქცევა, ქმედება თუ უმოქმედობა განხილული უნდა იყოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის (კლიენტის) ინტერესთა დაცვის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ადვოკატის ქმედების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, საჭირო და აუცილებელი იყო თუ არა ადვოკატის მოქმედება კლიენტის ინტერესის დასაცავად (ეთიკის კომისიის 2016 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N 081/15, პარ. 5.15).

რმირებული უნდა იყოს საპროცესო მოქმედების განხორციელების შედეგებზე, მათ შორის, იცოდეს ბაჟის გადაუხდელობით გამოწვეული შესაძლო რისკები.

შესაბამისად, ადვოკატის მიერ საჩივრის წარდგენა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე ვერ შეფასდება არაეთიკური ქმედებად. თუმცა, კომისია აქვე განმარტავს, რომ სასამართლო პროცესის განზრახ გაჭიანურება აფერხებს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას; ეფექტიანი მართლმსაჯულება კი მოიცავს სწრაფ მართლმსაჯულებასაც, რომლის მიღწევაშიც ადვოკატს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, როგორც კლიენტის, ასევე სასამართლო სისტემის, პროფესიისა და სახელმწიფოს წინაშე.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისას, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ არის არაეთიკური ქცევა, თუ ის გამომდინარეობს კლიენტის ინტერესთა დაცვიდან. თუმცა, კომისიის განმარტებით, პროცესების განზრახ გაჭიანურება ცალსახად აფერხებს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას, რაშიც ადვოკატს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია.

თავი 6

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ადვოკატი ვადებუღია, ახ განახოხციეღოს ისეთი ქმეღება და ახ დაამყაღოს ისეთი უღთიეღთობა, ჰომეღიც საფღთხეს შუექმნის კღიენცის ინღეღესებს, ადვოკატის ჰოფღესიუღ საქმიანობას ან დამოუკიღებღობას („ადვოკატთა შესახებ“ საქაღთვეღოს კანონი, მუღიღ 8.1).

1. ადვოკატს უფღება აღა აქვს, ჰოფღესიუღი ჰრევა მისცეს ან წაღმოაღღინოს ოღი ან მეღი კღიენცი ეღთი და იმავე ან ეღთმანეთთან დაკავშიღებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კღიენცების ინღეღესებს შოღის აღსებობს ინღეღესთა კონფღიქტი ან მისი წაღმოქმნის მნიშვნეღვანი საფღთხე.
2. ინღეღესთა კონფღიქტი აღსებობს იმ შემთხვევებშიც, ჰოღესაც:
 - ა) ადვოკატის ვადებუღებები ოღი ან მეღი კღიენცის წაღმომადგენღობისას ეღთი და იმავე ან ეღთმანეთთან დაკავშიღებულ საქმეში უღთიეღთსაწინააღმღეღოა ან აღსებობს ასეთი წინააღმღეღობის წაღმოშობის მნიშვნეღვანი საფღთხე;
 - ბ) კღიენცის ინღეღესების შესაბამისად მოქმეღების ვადებუღება ეწინააღმღეღება (ან აღსებობს ასეთი წინააღმღეღობის წაღმოშობის მნიშვნეღვანი საფღთხე) ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშიღებული ჰიღის ინღეღესებს.
3. ეღთ საადვოკატო ბიუღოში (ოღისში, კანტოღაში, იუღიღიუღ ფიღმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფღება აღა აქვთ, მისცენ ჰოფღესიუღი ჰრევა ან წაღმოაღღინონ ჰამღენიღე ჰიღი (კღიენცი) ეღთი და იმავე ან ეღთმანეთთან დაკავშიღებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კღიენცებს შოღის აღსებობს ინღეღესთა კონფღიქტი, ან მისი წაღმოქმნის მნიშვნეღვანი საფღთხე.
4. ინღეღესთა კონფღიქტის დაუშვებღობა ვღცეღღება იმ შემთხვევებზეც, ჰოღესაც ინღეღესთა კონფღიქტი ან მისი წაღმოქმნის საფღთხე წაღმოიშობა საქმის წაღმოღების ჰოცესში.
5. ადვოკატი ვადებუღია, შუწყვიტოს ყვეღა კღიენცის საქმისწაღმოღება, ჰომეღღთა ინღეღესებსაც იღი წაღმომადგენღა, თუკი კღიენცებს შოღის წაღმოიქმნა ინღეღესთა კონფღიქტი მოცემულ ან დაკავშიღებულ საქმეზე და აღსებობს ადვოკატის მიმაღთ ნღობის დაღღვევის და/ან კონფიღენციადობის ზეღყოფის საფღთხე (აღეკ-ის მე-5 მუღიღი).

6.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა, როგორც ორგანიზაციის იურისტმა, ამავე კომპანიის მომართველ პირებთან ურთიერთობისას?

წერილობითი რეკომენდაცია 003/19, 2019 წლის 18 ივნისი⁴⁰

ფაქტები:

ადვოკატ „გ“-ს კლიენტს თავის ყოფილ მეუღლესთან აქვს დავა სასამართლოში. დავის საგანია ბავშვის ნახვა და მასთან ურთიერთობა. სასამართლოში დავის განხილვისას სასამართლომ მეუღლეებს დაავალა ფსიქოკონსულტირება. ადვოკატ „გ“-ს კლიენტის, „ც“-ს ყოფილი მეუღლე წავიდა ფსიქოკონსულტაციაზე „----- ცენტრში“.

კლიენტი „ც“ იძულებული გახდა, წასულიყო იმავე ცენტრში, ვინაიდან აუცილებელი იყო, მეუღლეებს ერთ ფსიქოლოგთან გაეკლავათ კონსულტაცია. „----- ცენტრში“ მისულ ადვოკატ „გ“-ს კლიენტს შეხვდნენ იურისტი და ადვოკატი და გაესაუბრნენ საქმის ყველა დეტალზე.

გარკვეული პერიოდი „ც“ დადიოდა ამ ცენტრში და იღებდა რჩევებს, ასევე, გადიოდა თერაპიას.

„ცენტრის“ ადვოკატმა „ც“-ს დააწერინა განცხადება და უთხრა, რომ იგი გახდებოდა აღნიშნული ორგანიზაციის ბენეფიციარი და დაეხმარებოდა მეუღლესთან კონფლიქტის მოგვარებაში.

„ც“-ს „ცენტრის“ ადვოკატზე არ გაუცია მინდობილობა, თუმცა ადვოკატი ორგანიზაციის უფროსის დავალებით ესწრებოდა „ც“-სთან შეხვედრებს და ისმენდა ყველა დეტალს დავის საკითხზე.

„ც“-ს უთხრეს, რომ ის გახდა ამ ორგანიზაციის ბენეფიციარი და ყველა სერვისს მიიღებდა ორგანიზაციისაგან. ადვოკატი, რომელიც „----- ცენტრში“ დახვდა „ც“-ს, გაესაუბრა მას და ყველაფერი მოისმინა სადავო საკითხზე, რამდენიმე კვირის შემდეგ სასამართლო სხდომაზე წარდგა, როგორც „ც“-ს ყოფილი მეუღლის ადვოკატი, რითაც შეიქმნა „ც“-სთვის ზიანის მიყენების საფრთხე.

ამის გამო, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა „გ“-მ, როგორც „ც“-ს წარმომადგენელმა, დააყენა შუამდგომლობა ადვოკატის აცილებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადვოკატის აცილებას და აღნიშნულზე ვერ იმსჯელებდა, თუმცა სხდომა გადაიდო.

40 <https://tinyurl.com/26f4txyy>

შეკითხვა:

ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ შემდეგ სასამართლო სხდომაზე იგივე ადვოკატი გამოცხადდება, რაც „ც“-სთვის იქნება საზიანო, როგორ უნდა შეფასდეს ცენტრის ადვოკატის ქმედება და როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი „გ“?

ანალიზი:

1. სამედიცინო ცენტრის პაციენტისგან, როგორც კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის დაცვის თავისებურება

შეკითხვიდან ირკვევა, რომ მეუღლეთა შორის დავის არსიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე მხარეს დაევალა ფსიქოკონსულტაციის გავლა და მათ ერთსა და იმავე სამედიცინო ცენტრს მიმართეს (რადგან აუცილებელი იყო ერთ ფსიქოლოგთან კონსულტაციის გავლა).

კლიენტ „ც“-ს ექიმთან შეხვედრებს ესწრებოდა ცენტრის ადვოკატიც. კომისია აღნიშნავს, რომ ცენტრის ადვოკატი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, როდესაც კლიენტ „ც“-ს ექიმთან ვიზიტებს ესწრებოდა და იღებდა მის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა პროფესიული პასუხისმგებლობა, ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების ფარგლებში, მათ შორის, თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისთვის და დაეცვა კონფიდენციალობის პრინციპი. მით უფრო, რომ ის, როგორც სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელი/თანამშრომელი და სამედიცინო მომსახურების გამწვევი, ვალდებული იყო, დაეცვა „პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა“ („პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონი, მუხლი 27).

ცენტრის ადვოკატი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს, „ც“-ს უწევდა კონსულტაციას, სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლად გამოვიდა „ც“-ს წინააღმდეგ. უდავოა, რომ ადვოკატმა, რომელმაც, ერთი მხრივ, იურიდიული კონსულტაცია გაუწია სასამართლო დავის ერთ-ერთ მხარეს, ამავე საქმეში იმოქმედა მონინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

2. კონფიდენციალობისა და კანონიერების პრინციპთა ურთიერთმიმართება

ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე პირთა ერთდროულად წარმოდგენამ წარმოქმნა ინტერესთა კონფლიქტი, რამაც, თავისთავად, საფრთხე შეუქმნა კლიენტ „ც“-ს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. ამავდროულად, ადვოკატმა, რომელიც საქმეში ჩართულია არა მხოლოდ ადვოკატის სტატუსით (ის წარმოადგენს ფსიქოკონსულტაციის ცენტრს), იმოქმედა კანონსაწინააღმდეგოდ - კერძოდ, დაარღვია „პაციენტთა უფლებების“ შესახებ კანონის 27-ე მუხლი.

კომისია აღნიშნავს, რომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება არის ეთიკური ვალდებულების დარღვევა. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობასთან ერთად, ადვოკატი დაარღვევს კანონიერების პრინციპსაც, თუ კლიენტი „ც“-ს მოწინააღმდეგე მხარეს დაიცავს „ც“-სგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით და ხელყოფს მისი დამსაქმებლის პაციენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

3. ფსიქოკონსულტაციის ცენტრის იურისტი, როგორც საექსპერტო დაწესებულების წარმომადგენელი

შედეგად, ასეთი ხელყოფის ან ხელყოფის საფრთხის გარეშე, ის ვერ დაიცავს სრულად მეორე მხარის ინტერესებს. მიზანშეწონილია, ადვოკატის ქმედება შეფასდეს ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი წესის - „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლითაც.⁴¹

კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის საქმეში ჩართვის თავისებურებაზე. კერძოდ, მას კანონის შესაბამისად მოქმედების სამსახურებრივი მოვალეობა ეკისრება არა მხოლოდ როგორც ცენტრში დასაქმებულ პირს: საქმის სასამართლოში განხილვიდან გამომდინარე, მას, როგორც პროცესის მონაწილეს, აქვს განსაკუთრებული სტატუსი. იგი სწორედ სასამართლოს მითითების საფუძველზე (და არა კლიენტთა არჩევანის შესაბამისად) ჩაერთო დავაში, როგორც ადვოკატი. კერძოდ, სასამართლოს მითითებიდან გამომდინარე, ერთ სამედიცინო დაწესებულებას დაევალა მხარეთა ფსიქოკონსულტირება, რაც მნიშვნელოვანი იყო სასამართლო დავის გადასაწყვეტად. შესაბამისად, სამედიცინო ცენტრის დასკვნა საქმისთვის შეიძლება ყოფილიყო საექსპერტო დაწესებულების დასკვნა (ეს მხოლოდ დაშვებაა, ჩაგან უცნობია სასამართლოს განჩინება).

აქედან გამომდინარე, თუ ადვოკატმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაატარა როგორც საექსპერტო დაწესებულების წარმომადგენელმა, მასზე გავრცელდება კანონით დადგენილი აკრძალვა - „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლი - და ის არ უნდა დაიშვას პროცესზე ადვოკატად.

დასკვნა:

ადვოკატს, რომელიც ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას - ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ფსიქოკონსულტაციის ცენტრს - ცენტრის მიმართ აქვს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. თავის მხრივ, ცენტრი არის

⁴¹ „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზეც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მედიატორის, არბიტრის, აღმასრულებლის, მოსამართლის თანაშემწის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.3).

სამედიცინო მომსახურების გამწვევი და ვალდებულია, დაიცვას პაციენტის უფლებები („პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია“). შედეგად, თუ ცენტრის ადვოკატი ამავე სამედიცინო დანებებულების მომხმარებელ „ც“-ს კონსულტაციას გაუწევს სასამართლოს დავალების შესაბამისად, ის ვალდებულია, არ გათქვას მისგან, როგორც კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია, ასევე, იმავე საქმეზე სასამართლოში არ დაიცვას მეორე მხარის ინტერესები „ც“-ს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებით, რადგან მხარეთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა და კანონიერების პრინციპებს.

6.2 ეთიკურია თუ არა მეგობრის წინააღმდეგ კლიენტის საქმის წარმოება?

წერილობითი რეკომენდაცია 012/18, 2018 წლის 22 ნოემბერი⁴²

შეკითხვა:

ადვოკატს მიმართა პოტენციურმა კლიენტმა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იყო ამ ადვოკატის მეგობრის მოწინააღმდეგე მხარე მიმდინარე სასამართლო დავაში.

რა უნდა მოიმოქმედოს ადვოკატმა ასეთ დროს - დაიწყოს საქმისწარმოება, თუ უარი თქვას ამ კლიენტის წარმომადგენლობაზე?

რამდენად შესაძლებელია ერთმანეთს დაუპირისპირდეს კლიენტის ინტერესები და ის ფაქტი, რომ ადვოკატი მის მოწინააღმდეგე მხარეს კარგად იცნობს (მისი მეგობარია)?

ანალიზი:

მეგობარი, როგორც კლიენტის მოდავე მხარე

ყველა კლიენტის მოლოდინია, რომ ადვოკატი მის ინტერესებს მიუკერძოებლად დაიცავს. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, მიუკერძოებელი წარმომადგენლობის განევა შეუძლებელია. ინტერესთა კონფლიქტი არის პროფესიულ მოვალეობებსა და კერძო ინტერესს შორის დაპირისპირება ან არსებულ კლიენტთა ინტერესების შეუთავსებლობა. ინტერესთა კონფლიქტის განმარტება სრულად ვერ აღწერს ამ ცნებას, თუმცა არსებობს კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი შემთხვევები: არსებულ კლიენტებს შორის; კლიენტსა

⁴² <https://tinyurl.com/29pzvk8s>

და მესამე პირს შორის, რომელსაც უკავშირდება ადვოკატის ინტერესები; პირადად ადვოკატსა და კლიენტს შორის (პირადი ინტერესთა კონფლიქტი); და ყოფილ და არსებულ კლიენტებს შორის.

ინტერესთა კონფლიქტის დასადგენად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პირს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათი ურთიერთობა შეწყდეს იმ ეტაპზე, როდესაც პირი ინფორმაციას აწვდის ან ზეპირ კონსულტაციას იღებს თავის საქმეზე. ასეთ დროს ადვოკატი პირისგან იღებს კონფიდენციალურ ინფორმაციას; შესაბამისად, მას ამ ეტაპიდანვე წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება, რომ დაიცვას ეს ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.

მნიშვნელოვანია, ადვოკატმა აიცილოს პირადი ინტერესთა კონფლიქტიც, მათ შორის, პროფესიული საქმიანობისას კლიენტისა და ადვოკატთან დაკავშირებული პირის ინტერესთა კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე.

ადვოკატს მიმართა კონსულტაციის მსურველმა პირმა და შესაძლებელია, გაანდო თავის საქმეზე ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება დავის წარმოებას ამავე ადვოკატის მეგობრის წინააღმდეგ. ეს ინფორმაცია მიღებულია საადვოკატო საქმიანობისას, რა შემთხვევაშიც ადვოკატმა უნდა დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა თავად უნდა შეაფასოს იმ პირის საადვოკატო მომსახურების რისკები, რომლის მოწინააღმდეგე მხარეც მისი მეგობარია. ასეთ დროს, ადვოკატი თავად აფასებს, რამდენად შეძლებს თავისი კლიენტისთვის მიუკერძოებელი წარმომადგენლობის გაწევას და დაუპირისპირდება თუ არა მასთან დაკავშირებული პირის (მეგობრის) ინტერესები თავისი კლიენტის ინტერესებს. ეს საკითხი უნდა შეფასდეს საქმიდან გამომდინარე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

დასკვნა:

არსებობს შემთხვევები, როდესაც ადვოკატმა, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, თავად უნდა შეაფასოს რისკები და პერსპექტივაშიც გამოიცილოს თავისი კლიენტის დაეჭვება მიუკერძოებლობაში, რაც უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოშობის საფრთხეს; მათ შორის, თავად განსაზღვროს, რა გავლენას მოახდენს მის პროფესიულ საქმიანობაზე მეგობრის წინააღმდეგ წარმომადგენლობა: კერძოდ, შეექმნება თუ არა საფრთხე მისი კლიენტის ინტერესებს. მხოლოდ ის გარემოება, რომ კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის მეგობარია, არ არის საკმარისი და უპირობო საფუძველი ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის დასადგენად. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა თავად უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს რისკები, რამდენად დაიცავს პროფესიულ ვალდებულებებს ამ სახის წარმომადგენლობისას.

6.3 ორმაგი ინტერესთა კონფლიქტი: ადვოკატის პირადი და მასთან დაკავშირებული პირისგან წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა

წერილობითი რეკომენდაცია 009/18, 2018 წლის 05 ნოემბერი ⁴³


ფაქტები:

ადვოკატ C-ს აქვს იურიდიული ფირმა, რომელიც კლიენტებს უწევს ე.წ. აუტოსორსინგულ მომსახურებას და პირადად გასცემს კონსულტაციას. ადვოკატი C კონსულტაციას უწევს A კომპანიას, უახლოეს მომავალში კი გეგმავს მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებას იურიდიულ მომსახურებაზე. გარდა კომპანიისა, ადვოკატი C იურიდიულ კონსულტაციას უწევს A კომპანიის დირექტორს, როგორც ფიზიკურ პირს.

კომპანიის კონსულტირებისას აღმოჩნდა, რომ A კომპანია ეძებს სამშენებლო კომპანიას თავისი პროექტების განსახორციელებლად. ადვოკატსა და მის ძმას აქვთ სამშენებლო კომპანია B, რომლის დირექტორიც არის ადვოკატ C-ს ძმა. მას ამ კომპანიაში აქვს 80%-იანი წილი, ხოლო ადვოკატ C-ს - 20%-იანი. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა C-მ აცნობა A კომპანიის დირექტორს.

ადვოკატი C გეგმავს, რომ წერილობითი ფორმით შეატყობინოს ორივე კომპანიას მისი კავშირის შესახებ. ზეპირი კონსულტაციის შემდეგ, არცერთი კომპანიის დირექტორს არ გამოუხატავს წინააღმდეგობა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მოემზადებინა ადვოკატს. ამასთან, მხარეები თანახმანი არიან, რომ მათ შორის დავის შემთხვევაში, არც ადვოკატმა C-მ და არც მისმა კომპანიამ არ გაუწიოს იურიდიული მომსახურება რომელიმე მათგანს. შესაბამისად, დავის შემთხვევაში, ადვოკატი C არცერთ მათგანს არ გაუწევს იურიდიულ მომსახურებას.

43 <https://tinyurl.com/a2jcsrm>



შეკითხვა:

მოთხოვნილი დოკუმენტაციის შედგენისა და ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი რაიმე ეთიკურ ვალდებულებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ უნდა აირიდოს ადვოკატმა ეს ეთიკური დილემა და გადაჭრას პრობლემა?

ანალიზი:

შესაძლოა, ადვოკატმა დაარღვიოს როგორც დამოუკიდებლობის პრინციპი, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება.

1. რა ეტაპზე შეიძლება გამოვლინდეს ინტერესთა კონფლიქტი იურიდიული აუთსორსინგის განხორციელებისას?

ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესიული ვალდებულებაა დამოუკიდებლობის შენარჩუნება საადვოკატო საქმიანობისას. დამოუკიდებლობა გულისხმობს არა მხოლოდ მესამე მხარის ზეწოლისა ან გავლენისაგან თავისუფალ მოქმედებას, არამედ საადვოკატო საქმიანობისას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების შეზღუდვასაც.

როდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის ინტერესიც ჩნდება, ეს აისახება ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ქცევის წესებით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის პრინციპი.

ადვოკატი C სამართლებრივ მომსახურებას უწევს კომპანია A-სა და მის დირექტორს. მომსახურების პერიოდში იგი გეგმავს სხვაგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას კლიენტთან - კომპანია A-სთან: კერძოდ, აპირებს, რომ თავისი და ძმის სამშენებლო კომპანიის სახელით გააფორმოს კლიენტთან მომსახურების ხელშეკრულება სამშენებლო დარგში.

წარმომადგენლობის პროცესში კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ცალსახა შეზღუდვა არ არსებობს, რეკომენდებულია, ადვოკატმა თავი შეიკავოს მსგავსი ქმედებისაგან, რადგან სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მაღალია მხარეთა ინტერესების გაყოფის ალბათობა, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე, ასევე, ადვოკატის დამოუკიდებელ საადვოკატო საქმიანობაზე კლიენტის ინტერესთა დაცვისას. ამ დროს შეიძლება დაირღვეს ნდობაც, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივ ურთიერთობასა და ადვოკატის რეპუტაციაზე.

გარდა დამოუკიდებლობისა, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხეც. ამ პრობლემამ შეიძლება თავი იჩინოს როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართაც. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას პირადად ადვოკატისა და კლიენტის ინტერესებს შორის.

ინტერესთა კონფლიქტის დადგენისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს იმ ეტაპზე, როცა პოტენციური კლიენტი ინფორმაციის აწვდის ან სამართლებრივ რჩევას იღებს თავის საქმეზე. ასეთ დროს ადვოკატი კონსულტაციის მსურველი პირისგან იღებს კონფიდენციალურ ინფორმაციას; შესაბამისად, მას ამ ეტაპიდანვე წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.⁴⁴

2. რა გავლენას ახდენს პირადი ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე?

ადვოკატს ეკისრება პროფესიული ვალდებულება, თავიდან აიცილოს პირადი ინტერესთა კონფლიქტი. თუ ადვოკატს ამა თუ იმ შეთანხმების გაფორმებისას აქვს პირადი ინტერესი, რთულია, ამავე გარიგებაზე პირადი ინტერესის გავლენის გარეშე განიოს იურიდიული კონსულტაცია. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადვოკატი წარმომადგენლობას ახორციელებს იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც აქვს გარკვეული პირადი, მათ შორის, ფინანსური ინტერესი, რა დროსაც საფრთხე ექმნება კლიენტის ინტერესებს (*იხ. ABA Model rules of Professional Conduct: Rule 1.8 for specific Rules pertaining to a number of personal interest conflicts, including business transactions with clients*).

შეკითხვაში მითითებული ადვოკატი C კონსულტაციას უწევს კომპანია A-ს. შესაბამისად, მათ შორის არსებობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ ორივე მხარე აპირებს სამომავლოდ ხანგრძლივ თანამშრომლობას იურიდიული მომსახურების მისაღებად. ამავდროულად, ადვოკატი კონ-

⁴⁴ ეთიკის კომისიამ 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტი უნდა წარმოადგინოს ისე, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესების შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობება, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი“ (*იხ. ეთიკის კომისიის 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N 100/11*).

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაში ფართოდ განმარტა „ერთი და იმავე“ საქმის ცნება და ასეთად მიაჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეებიც, ვინაიდან ამ დროს, ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურობის ვალდებულებას, ან რისკვემ დადგება შესაძლებლობა, რომ იგი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერ საშუალების გამოიყენებს (*იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N 092/10*).

სულტაციას უწევს კომპანია A-ს დირექტორს. ადვოკატი არის ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის, B-ს წილის მფლობელი, თავის ძმასთან ერთად, რომელიც ამ კომპანიის დირექტორია. როგორც შეკითხვიდან ირკვევა, კომპანია A-სა და სამშენებლო კომპანია B-ს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება. ორივე მხარე თანახმაა, რომ ხელშეკრულება მოამზადოს ადვოკატმა C-მ.

სახეზეა, ერთი მხრივ, ადვოკატ C-ს, როგორც სამშენებლო კომპანიის 20%-ანი წილის მფლობელის პირადი ინტერესი (თავად არის ხელშეკრულების მხარე) და მასთან დაკავშირებული პირის - ძმის (სამშენებლო კომპანიის 80%-იანი წილის მფლობელის) ინტერესი, მეორე მხრივ კი - კომპანია A-სა და მისი დირექტორის ინტერესები, რომელთაც საადვოკატო მომსახურებს უწევს ადვოკატი C.

ადვოკატ C-ს პროფესიული პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ ორივე მხარე (კომპანია A და კომპანია B) თანხმობას აცხადებს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების შედგენაზე ადვოკატ C-ს მიერ. ასეთ დროს, ადვოკატს მოუწევს ერთდროულად ორი მხარის ინტერესების გათვალისწინება, რაც შეუძლებელი იქნება. ე.წ. „ნეიტრალური ტიპის“ ხელშეკრულების შედგენითაც, ადვოკატი დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს, რადგან ტექსტში არ/ვერ გაითვალისწინებს იმ პრივილეგიებსა და უფლებებს, რომლებიც მხარეს დაეხმარებოდა თავისი დარღვეული უფლებების აღდგენაში (მაგ: დოკუმენტში პასუხისმგებლობის სახით პირგასამტეხლოს დაწესება, რაც შედის მხოლოდ ერთი მხარის ინტერესში და დამატებითი გარანტიაა, რომ მეორე მხარე შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს).

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საფრთხე ექმნება კომპანია A-ს, როგორც არსებული კლიენტის ინტერესს, რომელსაც უპირისპირდება ადვოკატისა და მასთან დაკავშირებული პირის - ძმის პირადი ინტერესი.

3. მხარეთა ინფორმირება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეზე

ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხავ გარემოებებს არ მიეკუთვნება ორივე მხარის თანხმობა, რომ ადვოკატმა C-მ გაუწიოთ იურიდიული კონსულტაცია. თავის მხრივ, ადვოკატ C-ს არ ეკრძალება იურიდიული მომსახურება კომპანია A-სა და მისი დირექტორის სასარგებლოდ, თუმცა მან უნდა დაიცვას ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

შესაძლებელია, ხელშეკრულება შეადგინოს ადვოკატმა C-მ, როგორც ხელშეკრულების მხარემ, თავისი ინტერესების გათვალისწინებით, და გადაუგზავნოს მეორე მხარეს, კომპანია A-ს. ამასთან, ადვოკატმა C-მ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კომპანია A-ს, რომ ამ შემთხვევაში არსებობს კონფლიქტი მათ ინტერესებს შორის და ურჩიოს, ხელშეკრულების ხელმოწერამდე, დაუკავშირდეს სხვა - დამოუკიდებელ ადვოკატს, რომელიც ამ დოკუმენტის მომზადებისას წარმოადგენს კომპანია A-ს ინტერესებს და სამართლებრივ კონსულტაციას

გაცემს მის სასარგებლოდ. ამ გზით დაცული იქნება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და არ იარსებებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკი. სამომავლოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავისას - მათ შორის, სამშენებლო კომპანიასა და ადვოკატისა და მისი ძმის კომპანიას შორის ურთიერთობის შემთხვევებში - ადვოკატმა C-მ არ უნდა შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და არ გაუწიოს მომსახურება/ იურიდიული კონსულტაცია რომელიმე მხარეს.

ამასთან, როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატი C იურიდიულ მომსახურებას უწევს არა მხოლოდ კომპანია A-ს, არამედ მის დირექტორსაც, როგორც ფიზიკურ პირს. ეთიკის კომისიის განმარტებით, შესაძლოა აქაც იკვეთებოდეს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რაც ასევე უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა: დირექტორსა და კომპანიას შორის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, მან არცერთს არ უდა გაუწიოს სამართლებრივი მომსახურება.

დასკვნა:

მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას, ადვოკატს არ აქვს უფლება, ეს დოკუმენტი შეადგინოს როგორც ორივე მხარის წარმომადგენელმა და მათ ერთდროულად გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია (მათ შორის, არც მაშინ, როცა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა თავად ამ ადვოკატისა და მისი ძმის კომპანია, სადაც ადვოკატი ფლობს 20%-იან წილს, ხოლო მისი ძმა - 80%-იანს). ასეთ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესს უპირისპირდება ადვოკატის პირადი ინტერესი, ასევე, ადვოკატთან დაკავშირებული პირის - ძმის ინტერესი. გარდა ინტერესთა კონფლიქტისა, ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისას არსებობს ადვოკატის მხრიდან დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხეც, რადგან საადვოკატო საქმიანობის პროცესში ადვოკატი C გეგმავს სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას კლიენტთან - კომპანია A-სთან. შესაბამისად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის საფრთხე და თავი შეიკავოს ამ ხელშეკრულების გაფორმებისაგან საადვოკატო მომსახურების პროცესში.

6.4 წარმოშობს თუ არა მხოლოდ მინდობილობის არსებობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას და რა უნდა გაითვალისწინოს ასეთ დროს ადვოკატმა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად?

წერილობითი რეკომენდაცია 001/19, 2019 წლის 22 მარტი⁴⁵

ფაქტები:

2018 წლის 01 აპრილს, ადვოკატ „გ“-სა და შპს „ლ“-ს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ადვოკატი „გ“ ამ კომპანიაში დასაქმდა იურისტის პოზიციაზე.

შპს „ლ“ არის საადვოკატო ბიურო და რეგისტრირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საადვოკატო ბიუროს ერთიან რეესტრში. ადვოკატ „გ“-ს ძირითადი მოვალეობა იყო შპს „ლ“-ს კლიენტთა წარმოდგენა საერთო სასამართლოებში.

2018 წლის დეკემბრის დასაწყისიდან ადვოკატი „გ“ მონაწილეობდა სს „ე“-ს ვაკანსიაზე გამოცხადებულ გამოცხადებულ კონკურსში და ერთი თვის განმავლობაში გაიარა რამდენიმე წერილობითი და ზეპირი საკონკურსო ეტაპი.

2019 წლის 09 იანვარს სს „ე“-მ შესთავაზა აღნიშნულ კომპანიაში იურისტის პოზიციაზე დასაქმება. ამავე დღეს ადვოკატმა „გ“-მ მიიღო გადაწყვეტილება, დათანხმებოდა აღნიშნულ შემოთავაზებას.

2019 წლის 10 იანვარს ადვოკატმა „გ“-მ უშუალო ხელმძღვანელებსა და შპს „ლ“-ს სხვა დასაქმებულებს გააცნო თავისი გადაწყვეტილება. უშუალო ხელმძღვანელებთან ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, 2019 წლის 01 თებერვლიდან შპს „ლ“-სა და ადვოკატ „გ“-ს შორის ფაქტობრივად შეწყდებოდა შრომითი ურთიერთობა. ამ შეთანხმების მიხედვით, სს „ე“-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს იმავე დღეს დაუდასტურა ადვოკატმა „გ“-მ, რომ სს „ე“-ში შრომით საქმიანობას ფაქტობრივად დაიწყებდა 2019 წლის 04 თებერვლიდან.

2019 წლის 10 იანვარს, როდესაც ადვოკატმა თავისი გადაწყვეტილება გაუზიარა შპს „ლ“-ს ერთ-ერთ დასაქმებულს (ადვოკატს), „სდ“-ს, მან წარმატება უსურვა სამომავლო კარიერაში და უთხრა, რომ შეიძლება წარმოედგინათ კლიენტი, რომელსაც სს „ე“-სთან ჰქონდა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა.

2019 წლის 29 იანვარს, უშუალო ხელმძღვანელთან, „ლნ“-სთან (შპს „ლ“-ს პარტნიორთან) არაოფიციალურ გარემოში ყოფნისას, ადვოკატმა „გ“-მ გაიგო, რომ

45 <https://tinyurl.com/sskafhce>

სს „ე“-ს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრავს მის ყოფილ დასაქმებულს, „ნნ“-ს, და შპს „ლ“ წარმოადგენდა მის ინტერესებს სასამართლოში. შეხვედრაზე მყოფ პირებს ადვოკატმა „გ“-მ სთხოვა, არ ესაუბრათ საქმის დეტალებზე, ვინაიდან მას რამდენიმე დღეში შრომითი საქმიანობა უნდა დაენყო სს „ე“-ში და იყო ალბათობა, რომ ამ დავაში ჩართულიყო, როგორც სს „ე“-ს ადვოკატი. შესაბამისად, მიზანშეუწონელი იქნებოდა, რაიმე ინფორმაცია გაეგო საქმის ფაქტებზე.

2019 წლის 01 თებერვალს, სანამ ფაქტობრივად დაიწყებდა ადვოკატი „გ“ სს „ე“-ში შრომით საქმიანობას, შეხვდა სს „ე“-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, რათა განეხილათ გარკვეული საორგანიზაციო საკითხები. საუბრისას მან აღნიშნა, რომ ყოფილმა დასაქმებულმა, „ნნ“-მ, 2019 წლის 18 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც იგი სადავოდ ხდიდა სს „ე“-ს მიერ შრომით ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის კანონიერებას. შეხვედრაზე ადვოკატმა „გ“-მ გაიგო, რომ „ნნ“-ს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოადგენდა შპს „ლ“, ნნ-ის მიერ 2019 წლის 10 იანვარს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, რომლითაც შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭა შპს „ლ“-ს სხვადასხვა იურისტს. ერთ-ერთ მინდობილი პირი, როგორც შპს „ლ“-ს დასაქმებული, იყო ადვოკატი „გ“. ადვოკატმა „გ“-მ ამ მინდობილობაში მისი დასახელების შესახებ გაიგო მხოლოდ 2019 წლის 01 თებერვლის შეხვედრაზე, როდესაც შეხვდა სს „ე“-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს.

დოკუმენტი, სადაც ადვოკატი „გ“ მოხსენიებულია, როგორც „ნნ“-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი, სტანდარტული მინდობილობაა, რომელსაც შპს „ლ“ იყენებდა ყველა კლიენტთან, მიუხედავად იმისა, მუშაობდა თუ არა კონკრეტული ადვოკატი საქმეზე. ამ მინდობილობაში დასახელებულია 6 იურისტი, მათ შორის, ადვოკატი „გ“-ც, თუმცა მას არ ჰქონია რაიმე შეხება „ნნ“-სთან: ეს პიროვნება საერთოდ არ ჰყავდა ნანახი, მისთვის არ გაუწევია რაიმე სახის საადვოკატო მომსახურება და არ შეუქმნია რაიმე სახის სამართლებრივი დოკუმენტი.

აღნიშნული გარემოებები 2019 წლის 01 თებერვლის შეხვედრაზე ადვოკატმა „გ“-მ გაუზიარა სს „ე“-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს და ჩათვალა, რომ რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი „ნნ“-სთან არ უნდა ჰქონოდა, მხოლოდ იმიტომ რომ ის მინდობილობაში იყო დასახელებული. სს „ე“-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ითხოვა, რომ აღნიშნულ საქმეში მიეღო მონაწილეობა და სამომავლოდ სს „ე“-ს ინტერესები დაეცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი „გ“ ამ საკითხს განიხილავდა შპს „ლ“-ს პარტნიორთან, „ლნ“-სთან (უშუალო ხელმძღვანელთან), და შემდგომ მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას დავაში სს „ე“-ს ადვოკატად ჩართვის შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდგომ, ადვოკატმა „გ“-მ ამის შესახებ განუცხადა

შპს „ლ“-ს პარტნიორს, „ლნ“-ს, ასევე, „ნნ“-ს ადვოკატს, „სდ“-ს, რომელიც რე-ალურად მუშაობდა ამ საქმეზე. „სდ“-ს პოზიციით, ადვოკატ „გ“-ს შეიძლებოდა ჰქონოდა ინტერესთა კონფლიქტი „ნნ“-სთან, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მინდობილობაში იყო მოხსენიებული, და უმჯობესი იქნებოდა, საქმეში არ ჩართულიყო, „ლნ“ კი ვერ ხედავდა ინტერესთა კონფლიქტს.

შესაბამისად, შეთანხმდნენ, რომ „ლნ“ აუხსნიდა კლიენტს შექმნილ სიტუაციას და სთხოვდა, გაეცა ახალი მინდობილობა, სადაც ადვოკატი „გ“ აღარ დასახე-ლდებოდა მის წარმომადგენლად, ან ხელწერილი, რომ სამომავლოდ, თუ ად-ვოკატ „გ“ ჩაერთვებოდა ამ დავაში, „ნნ“-ს არ ექნებოდა რაიმე პრეტენზია „გ“-ს ან შპს „ლ“-ს მიმართ. ეს საუბარი შედგა 2019 წლის 01 თებერვალს, ადვოკატ „გ“-ს ბოლო სამუშაო დღეს შპს „ლ“-ში.

2019 წლის 04 თებერვალს ადვოკატმა „გ“-მ შრომითი საქმიანობა დაიწყო სს „ე“-ში. ასევე, ელექტრონული წერილი მისწერა „ლნ“-სა და „სდ“-ს და ითხოვა, ზეპირი შეთანხმებისამებრ, აეხსნათ „ნნ“-სთვის შექმნილი სიტუაცია, რათა მას გაეცა შესაბამისი დოკუმენტი (სამომავლო პრეტენზიების არქონის შესახებ).

2019 წლის 05 თებერვალს ადვოკატმა „გ“-მ „სდ“-სგან პასუხად მიიღო ასეთი წერილი:

„ქვემოთ განხილულ საკითხთან მიმართებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთო-ბიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, წარმოგიდგინოთ ჩვენი კლიენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შენ მიმართ პრეტენზიის არქონის თაობაზე“.

შეკითხვა:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა ან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად, ითვლება თუ არა ადვოკატ „გ“-სა და „ნნ“-ს ურთიერთობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობად მხოლოდ იმიტომ, რომ ადვოკატი „გ“ მითითებულია მინდობილობაში და რამდენად აქვს ადვოკატ „გ“-ს ნნ-ს მიმართ პროფესიული ვალდებულებები?
2. დაარღვევს ადვოკატი „გ“ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონს ან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოში „ნნ“-სა და სს „ე“-ს შორის მიმდინარე დავაში ჩაერთვება სს „ე“-ს წარმომადგენლად?

ანალიზი:

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება მათ შორის ზეპირი ან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რის შემდგომაც ადვოკატი ვალდებულია, ეთიკური ვალდებულებების დაცვით განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა.

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა ეკისრება მაშინაც, როდესაც მხოლოდ იურიდიული კონსულტაციით შემოიფარგლება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ შორის, ახალი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, იგი ვალდებულია, შეაფასოს, ხომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, მათ შორის, არსებული ან ყოფილი კლიენტის ინტერესთა საზიანოდ. თუ პროფესიულ ვალდებულებათა დაცვას საფრთხე ექმნება, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა, მათ შორის, კონფიდენციალობის პრინციპის დასაცავად.

„ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა წარმოეშობა იმ ეტაპიდან, როდესაც მას შესაძლოა, მხოლოდ კონსულტაციის მიღებისთვის მიმართონ ან შესაძლებელია, მას გაანდოს პირმა მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია მოქმედებები, რომლებიც წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას. მათ შორის, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)...“. შესაბამისად, იმ ეტაპიდან, როდესაც პირი მიმართავს ადვოკატს საადვოკატო მომსახურების მისაღებად, გაანდობს მას საქმის თაობაზე ინფორმაციას და მიიღებს იურიდიულ რჩევას ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა“.⁴⁶

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატი „გ“ შპს „ლ“-ში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა 2019 წლის 01 თებერვლამდე. შრომითი ურთიერთობის დასრულებამდე, 2019 წლის 10 იანვარს, ადვოკატი დამსაქმებელს წინასწარ შეუთანხმდა, რომ 01 თებერვლის შემდგომ აღარ იმუშავებდა ამ კომპანიაში. მიუხედავად ამ გარემოებისა, კომპანია „ლ“-ს კლიენტმა, „ნნ“-მ, 2019 წლის 10 იანვარს მაინც გასცა მინდობილობა ამავე კომპანიის იურისტების, მათ შორის, ადვოკატ „გ“-ს სახელზე. „ნნ“ ედავებოდა თავის ყოფილ დამსაქმებელს, სს „ე“-ს, რომელშიც ადვოკატმა „გ“-მ მუშაობა დაიწყო კომპანია „ლ“-დან წამოსვლის შემდგომ, 2019 წლის 04 თებერვალს. ადვოკატმა „გ“-მ ამ დავის შესახებ შეიტყო იანვარში, კომპანია „ლ“-სგან, თუმცა ინფორმაცია, რომ

46 „ვარაუდი ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის თაობაზე ყოველთვის არსებობს და უნდა გააცნობიეროს ადვოკატმა, თუკი მისი საქმიანობა ყოფილ ან არსებულ კლიენტს უკავშირდება, მაგრამ არა იმგვარად, როგორც ამას საჩივრის ავტორი აღნიშნავს გადაწყვეტილების 1.6. პუნქტში: „მონინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი საკმარისი საფუძველია ადვოკატის ქმედების ეთიკის კოდექსის დარღვევად მიჩნევისათვის“. ეთიკის კომისიის შეფასებით, მონინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია სახეზე იყოს ინტერესთა კონფლიქტი, ან მისი წარმოშობის საფრთხე. კომისია განმარტავს, რომ ზოგადად ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) წინააღმდეგ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელება არ ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევას. კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ან ასეთის საფრთხის არსებობა უნდა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტისგან (მარწმუნებლისგან) მიღებული, განდობილი ან მისი საქმის წარმოებისას ნებისმიერი წყაროთი მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) ინტერესების საწინააღმდეგოდ“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე # 002/14).

კომპანია „ლ“-მა მის სახელზე გასცა მინდობილობა „ნნ“-ს ინტერესების დასაცავად, შეიტყო ახალი დამსაქმებლისგან - სს „ე“-სგან.

ადვოკატ „გ“-ს ახალმა დამსაქმებელმა დაავალა კომპანია „ე“-ს ინტერესების წარმოდგენა ზემოაღნიშნულ დავაში „ნნ“-ს წინააღმდეგ.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასაწყებად, აუცილებელია, ამაზე ორივე მხარემ გამოხატოს თანხმობა: კერძოდ, ადვოკატს უშუალოდ კონსულტაციის მსურველმა პირმა დაუდასტუროს, რომ სურს მისგან საადვოკატო მომსახურების მიღება და, თავის მხრივ, ადვოკატმაც გამოხატოს ნება/მკაფიო თანხმობა, რომ იღებს ამ პირისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის პროფესიულ პასუხისმგებლობას.

მინდობილობის გაცემის დროისთვის, ადვოკატ „გ“-ს არ მიუღია ინფორმაცია, რომ მას დაევალა „ნნ“-ს ინტერესების წარმოდგენა. დოკუმენტი კომპანია შპს „ლ“-მ გასცა იმ ვითარებაში, როდესაც უკვე იცოდა, რომ ადვოკატი წყვეტდა შრომით ხელშეკრულებას მათთან და რეალურად ვერ წარმოადგენდა კომპანიის კლიენტის ინტერესებს. გაცემული მინდობილობა ადვოკატისათვის კომპანიას არ გადაუცია, შესაბამისად, ცალმხრივი ნების გამოხატვამ არ წარმოქმნა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო ბიუროს კლიენტისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება იმ ურთიერთობისგან, რომელიც იწყება ადვოკატსა და კლიენტს შორის კონკრეტული ადვოკატისადმი მიმართვისას. ხშირად, ბიუროსადმი მიმართვისას, კლიენტი კომპანიას ანდობს თავის საქმეს, კომპანია კი, თავის მხრივ, იღებს პასუხისმგებლობას, რომ კლიენტის საქმისწარმოება დაავალოს მასთან დასაქმებულ კონკრეტულ იურისტს.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არარსებობის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ხომ არ მიადგება ზიანი „ნნ“-ს ინტერესებს ადვოკატ „გ“-ს საქმეში ჩართულობით. მართალია, ადვოკატი „გ“ არ შეხვედრია „ნნ“-ს და კომპანია „ლ“-სგან არ მიუღია ინფორმაცია, რომ დაევალა „ნნ“-ს საქმისწარმოება, თუმცა, ახალ კომპანიაში მუშაობის დაწყებამდე, შპს „ლ“-მ აცნობა, რომ „ნნ“-სთვის უნდა გაენიათ საადვოკატო მომსახურება.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არარსებობა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოქმნის საფრთხეს ახალი კლიენტის ინტერესთა წარმოდგენისას. მნიშვნელოვანია ის, რომ ადვოკატმა „გ“-მ ძველი დამსაქმებლისგან მიიღო ინფორმაცია „ნნ“-ს, როგორც მისი პოტენციური კლიენტის საქმეზე, იმ გარემოებაში, როდესაც ჯერ კიდევ მუშაობდა შპს „ლ“-ში. ამიტომ, იმავე საქმეზე მისი წარმომადგენლად ჩართვა „ნნ“-ს წინააღმდეგ არღვევს პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. მართალია, ადვოკატ „გ“-ს უშუალოდ არ დაუწვია „ნნ“-ს საქმის წარმოება, მაგრამ „ნნ“-მ თავისი საქმე

ანდო კომპანიას, რომელშიც ჯერ კიდევ მუშაობდა ადვოკატი „გ“ და მისთვის ხელმისაწვდომი იყო „ნნ“-ს კონფიდენციალური ინფორმაცია; ამასთან, იგი უშუალო ხელმძღვანელისგან ფლობდა ინფორმაციას დავის თაობაზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ამავე საქმეზე ადვოკატ „გ“-ს ჩართვა მონინაალმდევე მხარის სასარგებლოდ.

დასკვნა:

ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს პირის ინტერესთა წარმოდგენისგან იმ საქმეზე, რომლის წარმოებისთვისაც, თავდაპირველად მის სახელზე მიმდობილობა მონინაალმდევე მხარემ გასცა. მხოლოდ მიმდობილობის არსებობა არ წარმოშობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადვოკატს პროფესიული ვალდებულებებისგან. კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მოქმედ ან ყოფილ და არსებულ კლიენტებს შორის, აგრეთვე, პოტენციურ და მოქმედ კლიენტებს შორის, რა შემთხვევაშიც, ადვოკატი ვალდებულია, არ გაუწიოს საადვოკატო მომსახურება. შეკითხვიდან გამომდინარე, ადვოკატს უნდა დაეცვა პოტენციური კლიენტის „ნნ“-ს ინტერესები, შრომითი ურთიერთობა რომ არ შეეწყვიტა კომპანია „ლ“-სთან. ამიტომ, ინტერესთა კონფლიქტის არსებობიდან გამომდინარე, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მეორე მხარის ინტერესთა წარმოდგენისგან.⁴⁷

47 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კომისიის წევრმა კ. გელაშვილმა დააფიქსირა ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება: <https://bit.ly/2UBmEFi> და მიუთითა: „მართალია, მოცემული შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატი „გ“ მუშაობდა კომპანია „ლ“-ში, როდესაც „ნნ“-მ გასცა მიმდობილობა, თუმცა არ ირკვევა, რა კონკრეტული ინფორმაცია მიიღო მან „ნნ“-ს საქმეზე, როგორც კომპანია „ლ“-ს იურისტმა, რომლის გამოყენებაც შეუძლია „ნნ“-ს ინტერესთა წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოებისას. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მათ შორის, ნდობის პრინციპისა და პროფესიული საიდუმლოების გაუმჟღავნებლობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარეობს. ვინაიდან „ნნ“-ს მიერ გაცემული მიმდობილობით (ცალმხრივი ნების გამოხატვით) არ წარმოშობილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ვერ ვიმსჯელებთ ადვოკატ „გ“-ს მიერ „ნნ“-ს მიმართ არსებულ ვალდებულებებზე, მითუმეტეს, რომ შეკითხვიდან არ ჩანს, მიიღო თუ არა ადვოკატმა კომპანია „ლ“-სგან ისეთი ინფორმაცია, რომელიც დააზიანებს „ნნ“-ს ინტერესებს. სასამართლო პროცესზე აღნიშნულმა ადვოკატმა უნდა ამტკიცოს, რომ მან მოითხოვა გაცემული მიმდობილობის გაუქმება; ამასთან, როგორც შეკითხვიდან ირკვევა, კომპანია „ლ“-ს მისწერა წერილი ამ საკითხზე და ის აღარ არის კომპანია „ლ“-ში დასაქმებული პირი და არ არსებობს საფრთხე, რომ იგი წარმოადგენს ახალი კომპანიის ინტერესებს“.

6.5 შესაძლებელია თუ არა, ერთდროულად დაცული იყოს ადვოკატის მიერ მხარდასაჭერად საცნობი პირისა და მხარდამჭერად დასანიშნი პირის ინტერესები?

წერილობითი რეკომენდაცია 001/16, 2016 წლის 24 ნოემბერი ⁴⁸

ფაქტები:

ადვოკატს მიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მშობელმა და ითხოვა კონსულტაციის განწვევა და განცხადების შედგენა მისი შვილის მხარდამჭერის მიმღებ პირად ცნობაზე, თვითონ კი სურდა მხარდამჭერის სტატუსის მოპოვება. ადვოკატმა მშობელს შეუდგინა განცხადება და, ორდერის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაინყო მისი შვილის ინტერესების დაცვა.

საქმეში არსებობს ექსპერტიზის დასკვნა და სამედიცინო ცნობა, რომლის მიხედვითაც, მხარდასაჭერად საცნობი პირს არ შეუძლია ნების გამოხატვა და მესამე პირებთან ურთიერთობა. ადვოკატმა ისე მიიღო პროცესში მონაწილეობა, რომ არ უნახავს მხარდასაჭერად საცნობი პირი. ადვოკატის მონაწილეობა ასეთ პროცესზე სავალდებულოა. ამავე დროს, თუ შშმ პირს ფიზიკურად შეუძლია სასამართლოში მისვლა, მისი დასწრება პროცესზე სავალდებულოა, ხოლო თუ ვერ ახერხებს ფიზიკურად გადაადგილებას, მასთან მოსამართლე ტექნიკური საშუალებით ამყარებს კონტაქტს და უსვამს შესაბამის კითხვებს. ამის უფლება აქვს ადვოკატსაც, ასევე, პროცესში მონაწილე ნებისმიერ მხარეს.

შეკითხვა:

შეეძლო თუ არა ადვოკატს, ერთდროულად სამართლებრივი დახმარება გაენია ორივე პირისთვის: ერთი მხრივ, კონსულტაცია გაენია მშობლისთვის და, ამავედროულად, დაეცვა მისი შვილის ინტერესები მხარდამჭერის მიმღებ პირად ცნობასთან მიმართებით?

ჰქონდა თუ არა უფლება ადვოკატს, პროცესზე მონაწილეობამდე არ შეხვედროდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, როგორც კლიენტს?

ანალიზი:

მხარდამჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები

⁴⁸ <https://tinyurl.com/ya2b4y4h>

და შეასრულოს თავისი მოვალეობები“⁴⁹ „მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი“⁵⁰ პირს მხარდაჭერის მიმღებად ცნობს და მხარდამჭერს უნიშნავს სასამართლო. „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ამ პირმა, მისი ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებული დაწესებულებამ“⁵¹ ადვოკატს სასამართლოში მხარდაჭერის მიმღებად ცნობაზე განცხადების შესადგენად და სასამართლოში წარსადგენად, მიმართა არა მხარდაჭერის მიმღებ პირმა, არამედ მისმა მშობელმა. შედეგად, მშობელი უფლებამოსილი იყო, წარედგინა განცხადება, რის საფუძველზეც სასამართლომ დაიწყო საქმის განხილვა.

ამავდროულად, შეკითხვაში მითითებული ადვოკატი სავალდებულო დაცვის საფუძველით საქმეში ჩაერთო მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესთა დამცველად.⁵² განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ერთდროულად წარმოადგენს მშობლის, როგორც მხარდამჭერის სტატუსის მიღების მსურველი პირის, და მისი შვილის, როგორც მხარდასაჭერად საცნობი პირის ინტერესებს. კომისიამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მხარეთა შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, როდის შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რაც გახდება საქმიდან ადვოკატის აცილების საფუძველი (ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი). ინტერესთა დაპირისპირებამ საქმის განხილვის პროცესში შეიძლება თავი იჩინოს მაშინ, თუ შშმ პირი უარს განაცხადებს მშობლის მხარდამჭერად ცნობაზე.

რაც შეეხება ადვოკატის კლიენტთან კომუნიკაციას, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს აქვს შესაძლებლობა, სასამართლო პროცესის გამართვამდე ნახოს კლიენტი. იგი ვალდებულია, უშუალოდ შეხვდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს და ისე გაუწიოს წარმომადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს ექსპერტიზის დასკვნა და სამედიცინო ცნობა, რომ კლიენტს არ შეუძლია ნების გამოხატვა და მესამე პირებთან ურთიერთობა. შესაძლოა, კლიენტი სულაც არ ეთანხმებოდეს მოცემულ დასკვნასა და სამედიცინო ცნობას. შესაბამისად, თავისი კლიენტის საუკეთესო ინტერესთა სრულყოფილი წარმომადგენლობისთვის, ადვოკატი ვალდებულია, უშუალოდ შეხვდეს მას და ისე დაიცვას მისი უფლებები.

49 იხ. სკ-ის 1275.2 მუხლი.

50 იხ. სკ-ის 1280.2 მუხლი.

51 იხ. სსკ-ის 36314.1 მუხლი.

52 პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი (სსკ-ის 36318 მუხლი).

დასკვნა:

კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ მშობლისთვის (მხარდამჭერის სტატუსის მიმღები პირის) კონსულტაციის განწევით და, ამავდროულად, მისი შვილის (მხარდამჭერის მიმღებად საცნობი პირის) ინტერესთა დაცვით, არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე შეკითხვაში მითითებულ სასამართლო წარმოების ეტაპზე; თუმცა ადვოკატმა უნდა შეაფასოს სამომავლო რისკი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მშობლისა და შვილის ინტერესთა დაპირისპირებით (კერძოდ, შესაძლოა, შვილი არ დაეთანხმოს მშობლის ცნობას მის მხარდამჭერ პირად).

რაც შეეხება ადვოკატის კომუნიკაციას მხარდასაჭერად საცნობ პირთან, მიუხედავად, იმისა, რომ კლიენტი შშმ პირია და საქმეში არსებობს სამედიცინო ცნობა, რომლის მიხედვითაც მას არ შეუძლია ნების გამოხატვა და შესაძლოა პირებთან ურთიერთობა, ადვოკატი ვალდებულია, არ აირიდოს კომუნიკაცია და შეხვდეს მას, როგორც კლიენტს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება კლიენტი სადავოს ხდიდეს სამედიცინო დასკვნას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების წარმოსაჩენად, თუ შესაძლებელია, უშუალოდ შეხვდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს და ისე დაიცვას მისი უფლებები.⁵³

53 მსგავს საკითხზე იხ. ნერილობითი რეკომენდაცია 005/14, 2014 წლის 21 აგვისტო: <https://tinyurl.com/adz2pstt> ამ შემთხვევაშიც, კომისიამ შეფასა ადვოკატის მიერ საერთო ინტერესის მქონე პირთა დაცვის საკითხი, რომელთა შორისაც, ადვოკატის შეფასებით, შეიძლება დაძაბულიყო ურთიერთობა და დაპირისპირებულიყო მათი ინტერესები. ამასთან, მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ადვოკატის მიერ ამ პირთა დაცვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ფინანსური სიდუხჭირის გამო, ისინი ვერ შეძლებდნენ მოკლე პერიოდში ახალი ადვოკატისთვის მიმართვას. კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას მიუთითა, რომ ადვოკატმა არ უნდა დაუმვას კომპრომისი მძიმე ფინანსური მდგომარეობის საფუძვლით და, მის კლიენტებს შორის მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, იმოქმედოს რომელიმე მათგანის სასარგებლოდ და მეორის სანინააღმდეგოდ, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კლიენტთა ინტერესებს.

6.6 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც სავალდებულო დაცვის ფარგლებში კლიენტთან პირადი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, სასამართლო ადვოკატის აცილებაზე უარს აცხადებს?

წერილობითი რეკომენდაცია 004/20, 2020 წლის 17 აგვისტო ⁵⁴

ფაქტები:

ადვოკატი სავალდებულო დაცვის წესით, მოსამართლის განჩინებით, სსსსკ-ის 45-ე მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (საპროცესო შეთანხმება) იცავს კლიენტს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. ადვოკატი საქმეში ჩაერთო იმ ეტაპზე, როცა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე დარჩენილი იყო 25 დღე.

ვინაიდან საქმე მოცულობითი იყო (9 ტომი), სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა საქმის გასაცნობად პროცესის გადადებაზე და მისცა 5 დღე.

პროცესის შემდეგ, საპატიმრო დაწესებულებაში ადვოკატი შეხვდა დასაცავ პირს, რომელიც აღმოჩნდა ადვოკატის ყოფილი პატიმარი (ადვოკატი გარკვეულ ხანს მუშაობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სხვადასხვა თანამდებობაზე), თუმცა, ამ მხრივ, კლიენტს მის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს.

შემდგომ პროცესამდე ადვოკატი დამატებით გაეცნო საქმის მასალებს, ისევ შეხვდა კლიენტს და განუმარტა, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობოდა პროკურატურა; აგრეთვე აუხსნა, რომ საქმე მოცულობითი იყო და, თუ რამ გამოიწვია, ეთქვა მისთვის. კლიენტმა განუცხადა, რომ საქმის მასალებს კარგად იცნობდა და ახალი არაფერი იყო, გარკვეულ საკითხებზე კი მოგვიანებით შეჯერდებოდნენ.

შეხვედრიდან მეორე დღეს, სასამართლო პროცესის დაწყებისას, კლიენტმა სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ადვოკატი იყო „იმ დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი“ და არ ენდობოდა მას; ასევე არ სურდა საპროცესო შეთანხმება, არ აღიარებდა დანაშაულს და ითხოვდა ადვოკატის აცილებას. სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე კლიენტმა უპასუხა, რომ ადვოკატს სასჯელის მოხდის პერიოდში მის მიმართ არანაირი უკანონო ქმედება არ ჩაუდენია და არც ამ და არც კვალიფიციურობის კუთხით თავისი უფლებადამცველის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა.

ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ნამდვილად მუშაობდა სპეცია-

⁵⁴ <https://tinyurl.com/4f8j8pec>

ლური რეჟიმის განყოფილების უფროსად, მაგრამ ამ პირთან არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ეს არ ართმევდა კლიენტს უფლებას, რომ ადვოკატის მიმართ უნდობლობა გასჩენოდა; ასევე ახსნა, რომ არ არსებობდა სავალდებულო დაცვის ვალდებულებაც, კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყო ნდობაზე, მაგრამ სასამართლომ ადვოკატს თვითაცილების შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილა.

ამის შემდეგ, საქმეში ჩაერთო ოჯახის მიერ აყვანილი ადვოკატი „დ“-ც. პროცესის დაწყებამდე, კლიენტმა თავდაპირველ ადვოკატს უთხრა, რომ მათი პოზიციები სცილდებოდა ერთმანეთს და გამოთქვა სურვილი, რომ მისი ინტერესები დაეცვა მხოლოდ ოჯახის მიერ აყვანილ ადვოკატს. პირველმა ადვოკატმა უპასუხა, რომ აღნიშნული პოზიცია პროცესის გახსნისას უნდა დაეფიქსირებინა მოსამართლესთან, რისი სრულფასოვნად გაკეთებაც ვერ შეძლო. ადვოკატმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ მისი და კლიენტის პოზიციები სცდებოდა ერთმანეთს და ამ ფორმით ვერ შეძლებდა დასაცავი პირის ინტერესების სრულყოფილად დაცვას.

სასამართლომ ადვოკატის შუამდგომლობა საქმიდან თვითაცილების შესახებ არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ თუ ადვოკატი ისევ დააყენებდა შუამდგომლობას, ამას ჩათვლიდა ადვოკატის მხრიდან არასათანადო ქცევად და მიმართავდა სათანადო ორგანოებს.

შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც აქვს საქმეზე თვითაცილების საფუძველი, აყენებს შესაბამის შუამდგომლობას, რომელსაც მოსამართლე არ აკმაყოფილებს, ამავდროულად კი კლიენტს არ სურს, რომ ამ ადვოკატმა განაგრძოს მისი დაცვა?

ანალიზი:

კლიენტი საადვოკატო მომსახურებაზე შეთანხმებით გამოხატავს ადვოკატი-სადმი ნდობას, რომ მან პროფესიული უნარ-ჩვევების გამოყენებით გაუწიოს საადვოკატო მომსახურება და დაიცვას მისი ინტერესები. ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რაც ასევე მოიცავს კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას საქმის მიმდინარეობაზე.⁵⁵

55 „...საქმესთან დაკავშირებულ არსებით გადაწყვეტილებებს კლიენტი უნდა იღებდეს. ეს შეიძლება იყოს: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი... კლიენტისათვის მიცემული რეკომენდაციები და განხორციელებული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კლიენტის ინტერესებს და მათ დაცვას ემსახურებოდეს. კლიენტის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია, შეფასდეს ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფი-

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სავალდებულო დაცვის ფარგლებში დაიწყო. შეკითხვაში მითითებულია გარემოება, თუ რატომ არ სურდა კლიენტს, რომ ადვოკატს დაეცვა მისი ინტერესები. კერძოდ: „კლიენტმა „ა“-მ სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ადვოკატი იყო „იმ დანებსებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი“ და არ ენდობოდა მას; ასევე, არ სურდა საპროცესო შეთანხმება, არ აღიარებდა დანაშაულს და ითხოვდა ადვოკატის აცილებას.

კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების მსურველი პირი კონკრეტული ადვოკატისადმი მიმართვით გამოხატავს თავის ნდობას და უზიარებს საქმეს, რათა მისი ინტერესები დაიცვას და პროფესიულად დაეხმაროს. უნდობლობის შემთხვევაში, ადვოკატი ვერ შეძლებს საადვოკატო მომსახურებას ეთიკური ვალდებულებების დაცვით. ასეთი მომსახურება იქნება კლიენტის ნების საწინააღმდეგო და შეუთანხმებელი მოქმედება, რაც თავისთავად გამოორიცხავს წარმომადგენლობის კეთილსინდისიერად და ნდობის პრინციპის დაცვით განევას.

კლიენტმა არგუმენტირებულად დაასაბუთა, თუ რატომ არ სურდა, რომ ამ ადვოკატს გაეგრძელებინა მისი ინტერესების დაცვა. კერძოდ, კლიენტის ნდობაზე გავლენა იქონია „წინარე კომუნიკაციამ“ ადვოკატთან, როდესაც იგი სხვა ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებდა და კავშირი ჰქონდა თავის კლიენტთან. შესაძლოა, ადვოკატს არ ჰქონდეს ანალოგიური დამოკიდებულება და მასზე გავლენას არ ახდენდეს ადრე არსებული კავშირი, თუმცა კლიენტის მხრიდან გამოხატული უნდობლობა საკმარისი საფუძველია ურთიერთობის შესაწყვეტად (მით უფრო, რომ კლიენტი არ რჩება დაცვის უფლების გარეშე – საქმეში ჩაერთო სხვა ადვოკატი, რომლის წარმომადგენლობასაც ეთანხმებოდა დასაცავი პირი).

ადვოკატი არ არღვევს სასამართლოსთან ურთიერთობის წესს საქმიდან ჩამოცილებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტს არ სურს, რომ ამ ადვოკატმა წარმომადგინოს მისი ინტერესები. ამ შემთხვევაში კლიენტს კომუნიკაციაც კი არ სურს ადვოკატთან, რა გარემოებებშიც შეუძლებელია კვალიფიციური საადვოკატო მომსახურების განევა მის სასარგებლოდ.

დასკვნა:

კლიენტის მიერ უნდობლობის გამოხატვა პირადი ინტერესთა კონფლიქტის გამო, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია. უნდობლობის შემთხვევაში, შეუძლებელია საქმეზე ინფორმაციის მიღება; კლიენტი არ უზიარებს თავის ინტერესებს ადვოკატს და ერთობლივად ვერ იგეგმება

თად აისახოს ადვოკატის მიმართ ნდობაზე, შედეგად კი - შემდგომ ურთიერთობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს. ამიტომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით“ (ეთიკის კომისიის 2017 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №022/11, პარ. 6.7).

სამომავლო სტრატეგია. ასეთ ვითარებაში წარმომადგენლობის გაგრძელება ეწინააღმდეგება პროფესიულ ღირებულებებს. ადვოკატის მხრიდან კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება არამართო კლიენტის ინტერესებს აზიანებს, არამედ ხელს უშლის ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასაც. შედეგად, ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა ავალდებულებს, შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და არ განაგრძოს წარმომადგენლობა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

6.7 როგორ უნდა განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტი, როდესაც ადვოკატი კომპანიის პარტნიორებს სხვადასხვა დავაში ერთდროულად წარმოადგენს?

წერილობითი რეკომენდაცია 006/20, 2020 წლის 15 დეკემბერი⁵⁶

ფაქტები:

ადვოკატი წარმოადგენს კომპანიას კონტრაქტორთა წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების საქმეზე (საქმე N1). კონტრაქტორები არიან კომპანიის ოთხ პარტნიორთან დაკავშირებული იურიდიული პირები. ამავდროულად, ადვოკატი წარმოადგენს ამ კომპანიის ორ პარტნიორს (6-დან) - საქმეზე, რომელშიც ისინი ითხოვენ დანარჩენი ოთხი პარტნიორის გარიცხვას კომპანიიდან (საქმე N2).


ზემოაღნიშნულმა ოთხმა პარტნიორმა მოიწვია კრება და მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე, რომლის აღსრულებაც დაევალა კომპანიის დირექტორს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება 2 პარტნიორი (ერთ-ერთი გახლავთ კომპანიის მოქმედი დირექტორი), რომლებმაც დივიდენდის განაწილებაზე მიღებული კრების ოქმი გაასაჩივრეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, კრების ოქმის გასაჩივრებისას მოპასუხე არის კომპანია. შესაბამისად, აღნიშნულმა ორმა პარტნიორმა სარჩელი წარადგინა კომპანიის წინააღმდეგ. თუმცა, რეალურად დავა მიმდინარეობს პარტნიორებს შორის, კერძოდ, კომპანიის ოთხი პარტნიორის წინააღმდეგ, რომლებიც ანაწილებენ დივიდენდს. კომპანია მოპასუხედ სახელდება მხოლოდ პრაქტიკით დადგენილი ფორმალური მოთხოვნის გამო. მისი ინტერესები კრების ოქმის ბათილობით არ ილახება: პირიქით, დივიდენდის დაკისრების შემთხვევაში, კომპანიის ძირითადი საშუალებები შეიძლება გასხვისდეს და ის გაკოტრებამდეც კი მივიდეს (საქმე N3).

ოთხმა პარტნიორმა აგრეთვე აღძრა სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ, მათ მიერ მიღებული კრების ოქმის საფუძველზე დივიდენდის განაწილების შესახებ (საქმე N4).

⁵⁶ <https://tinyurl.com/578e7nec>

საქმე N3 და საქმე N4 გაერთიანდა ერთ წარმოებად.



შეკითხვა:

1. სახეზეა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი N3 დავაზე, როდესაც კომპანია მოპასუხედ ჩართულია მხოლოდ ფორმალური პროცესუალური მოთხოვნიდან გამომდინარე?
2. შეუძლია თუ არა ადვოკატს, გააგრძელოს კომპანიის ინტერესების დაცვა N4 საქმეზე წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით (რომელიც გაერთიანდა N3 საქმესთან), თუ N3 საქმეზე ეს 4 პარტიორი დანიშნავს კომპანიის დამოუკიდებელ წარმომადგენელს, რომელიც კომპანიის ინტერესებს დაიცავს მხოლოდ N3 საქმეზე?
3. თუ თქვენი რეკომენდაცია იქნება, რომ ადვოკატმა არ განახორციელოს წარმომადგენლობა N3 ან და N4 საქმეებზე, შეუძლია თუ არა მას წარმომადგენლობის გაგრძელება N1 და N2 საქმეებზე?

ანალიზი:

ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაუშვებლობა კლიენტის ინფორმირებული თანხმობის მიუხედავად

ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების დადგენა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობასა და ან პროფესიულ ვალდებულებებზე (მაგ: როგორცაა სხვა კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობა და სხვა ეთიკური ვალდებულებები).⁵⁷

57 „ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის დადგენისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ადვოკატი აპირებდა თუ არა კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ამავე კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ. იმ გარემოებებში, რომ ადვოკატი მომსახურებას უწევდა

N1 და N2 საქმეები სხვადასხვა დავას ეხება, თუმცა ორივე მათგანი უკავშირდება კომპანიის საქმიანობას. პირველ შემთხვევაში ადვოკატი წარმოადგენს კომპანიის (ყველა პარტნიორის) საერთო ინტერესს, მეორე შემთხვევაში კი, ამავე პარტნიორებს შორის დავაში ერთ-ერთ მხარეს უწევს საადვოკატო მომსახურებას.

შედეგად, ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, როგორც კომპანიის, ასევე პარტნიორთა დავაში ჩართულობით, მის სხვა პარტნიორთა საწინააღმდეგოდ მოქმედებისას არსებობს კლიენტთა ინტერესების დაპირისპირების საფრთხე. ეს დაუშვებელს ხდის ადვოკატის წარმომადგენლობას ასეთი ფორმით და საფრთხეს უქმნის მათგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას.

N3 საქმე, სადაც ჩართულია ადვოკატი, კომპანიის პარტნიორებს შორის დავის გაგრძელებაა. კერძოდ, ადვოკატის კლიენტთა ორმა პარტნიორმა სასამართლოში გაასაჩივრა კრების ოქმი დივიდენდების განაწილებაზე.

შეკითხვაში აღნიშნული გარემოება, რომ სასამართლოში პარტნიორთა დავისას მოწინააღმდეგე მხარედ „კომპანია“ მხოლოდ ფორმალურად არის მითითებული და რეალურად დავა მიმართულია დანარჩენი ოთხი პარტნიორის წინააღმდეგ, არ არის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის შემთხვევა. ადვოკატი ამ მოქმედებით ერთვება დავაში მისი კლიენტის - კომპანიის წინააღმდეგ, რომლის საერთო ინტერესსაც იცავს პირველი საქმიდან გამომდინარე. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად „სასარგებლოა“ ამგვარი წარმომადგენლობა რომელიმე კლიენტის საქმის განვითარებისათვის. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტთა ერთდროული საადვოკატო მომსახურებით, ადვოკატი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი სამართლებრივი დახმარების განწევას.

თავისთავად, ფაქტი, რომ N1 და N2 საქმეების ერთდროულად წარმოებისას კლიენტთა მიმართ ადვოკატის ვალდებულებებიდან გამომდინარე, არსებობს ინტერესთა დაპირისპირება კლიენტებს შორის, გამორიცხავს ადვოკატის ჩართულობას N3 და N4 საქმეებში.

დასკვნა:

1. ადვოკატს არ შეუძლია N 3 დავაში მონაწილეობა მისი კლიენტის - კომპანიის წინააღმდეგ ჩართვით, ვინაიდან ორივე შემთხვევა ეხება კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე დავებს. ამასთან, იქმნება საფრთხე, რომ კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია

კომპანიის და ამავე კომპანიის საწინააღმდეგოდ ჩართო მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში, წარმოქმნა კლიენტის ინტერესების დაცვასთან შეუთავსებელი ურთიერთობა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N 024/19).

N2 საქმეში გამოყენებული იქნება მის საწინააღმდეგოდ და ადვოკატი ვერ შეძლებს დავების დამოუკიდებლად წარმოებას.

2. თავისთავად, N3 და N4 საქმეების გაერთიანების შემთხვევაში, ადვოკატი ვერ გააგრძელებს კომპანიის ინტერესების დაცვას.

ვინაიდან N1 და N2 საქმეები უკავშირდება კომპანიის საქმიანობას, კომპანიისა და, შემდგომ, პარტნიორებს შორის დავაში ერთ-ერთი მხარის წარმოდგენით ირღვევა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ამ საქმეებში იურიდიული მომსახურების განევისაგან.

6.8 დასაშვები იქნება ხელშეკრულებიდან გამოგდინარე დავაში კლიენტის ინტერესების დაცვა, თუ სადავო საქმეში მეორე კლიენტი ერთვება, როგორც მესამე პირი?

წერილობითი რეკომენდაცია 003/20, 2020 წლის 30 ივნისი⁵⁸

ფაქტები:


ადვოკატს ხელშეკრულება აკავშირებს ორ სამენარმეო სუბიექტთან, რომელთაც უწევს რეგულარულ (ყოველთვიურ) იურიდიულ მომსახურებას.

აქედან A კომპანია ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეში არის მოპასუხე, ხოლო B კომპანია ამ საქმეში არაპირდაპირ ფიგურირებს, კერძოდ, მოსარჩელე კომპანიის კონტრაქტორია. სარჩელს ერთვის მოსარჩელესა და B კომპანიას შორის არსებული საქმიანი დოკუმენტები, რომლებითაც მოსარჩელე ცდილობს თავისი პოზიციის დასაბუთებას A კომპანიის წინააღმდეგ.

B კომპანიას პრეტენზიები აქვს მოსარჩელის მიმართ, რასაც ეს უკანასკნელი უკავშირებს A კომპანიის ბრალეულობას. უფრო კონკრეტულად: მოსარჩელეს მომსახურება უნდა გაენია B-სთვის A-ს მიერ მოწოდებული მასალის გამოყენებით. დავის საგანია A კომპანიის მიერ მოწოდებული მასალის უხარისხობა, რის გამოც საქმეს ერთვის B კომპანიის პრეტენზიის წერილი მოსარჩელის მიმართ.

შესაძლებელია, სამომავლოდ B კომპანიის თანამშრომლები მოწმის სახით დაიკითხონ საქმეში, მაგრამ მას A კომპანიის მიმართ არავითარი მოთხოვნა არ აქვს და მესამე პირად (თუნდაც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე) B-ს ჩართვა საქმეში არ ივარაუდება.

⁵⁸ <https://tinyurl.com/ft9rhkv>



შეკითხვა:

1. თუ ადვოკატი (რომელიც A და B კომპანიებს ერთდროულად ემსახურება) სამოქალაქო საქმეში ჩაერთვება A კომპანიის წარმომადგენლად და B კომპანია არ ჩაერთვება საქმეში არანაირი ფორმით და სტატუსით, ჩაითვლება თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტად?
2. როგორი იქნება პასუხი იმავე კითხვაზე, თუ B კომპანიის წარმომადგენლებს პროცესზე გამოიძახებენ მოწმის სახით?
3. როგორი იქნება პასუხი იმავე კითხვაზე, თუ B კომპანია ჩაერთვება საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

ანალიზი:

ინტერესთა კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლებელია

არსებობდეს: (1) ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის;⁵⁹ (2) ადვოკატსა და კლიენტს შორის; (3) ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ ან/და პოტენციურ კლიენტს შორის; და (4) ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელსაც უკავშირდება ადვოკატის ინტერესები.

ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას ერთდროულად უწევს A და B კომპანიებს. ამასთან, ერთ-ერთ სასამართლო დავაში ის წარმოადგენს A-ს, როგორც მოპასუხის ინტერესებს. შეკითხვიდან ირკვევა, რომ მეორე კლიენტიც უკავშირდება აღნიშნულ დავას: კერძოდ, მოსარჩელესა და B-ს შორის გაფორმებული შეთანხმების შეუსრულებლობას მოსარჩელე უკავშირებს A-ს ბრალეულ ქმედებას.

შეკითხვის ავტორი უთითებს, რომ კლიენტ B-ს, მიუხედავად სასამართლო დავასთან კავშირისა, არ აქვს მოთხოვნა A-ს მიმართ და სამომავლოდაც მისი საქმეში ჩართვა ნაკლებსავარაუდოა. თუმცა, იმისათვის, რომ განსახილველ შემთხვევაში შეფასდეს ორივე კლიენტის ინტერესთა ურთიერთდაკავშირებულობა და შემდგომი კონფლიქტი, ან მისი წარმოქმნის საფრთხე, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოცემულ დავაში, კლიენტი B არ არის ჩართული როგორც მხარე, არამედ შემდეგი ფაქტიც: დავის შინაარსიდან გამომდინარე, კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება, ვინაიდან მოსარჩელე მხარე B-ს მიმართ შეუსრულებელ ვალდებულებას უკავშირებს A-ს ქმედებას, რაც წარმოქმნის A-სა და B-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს.

59 ინტერესთა კონფლიქტის შეფასებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი შემთხვევა განხილულია ორეგანოს შტატის ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაციაში (FORMAL OPINION NO 2006-176), რომელიც შეეხება ადვოკატის როლს კლიენტის მიერ უძრავი ქონების შეძენა-გაყიდვისას (Real estate attorney): <https://bit.ly/37kIN6B>. კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების ორივე მხარე თანხმობას აცხადებდა, რომ ერთ ადვოკატს მიეცა მათთვის იურიდიული რჩევები და გაენია საადვოკატო მომსახურება. რეკომენდაციით განიმარტა, რომ მხარეებს აქვთ არა საერთო, არამედ სხვადასხვა ინტერესი (მყიდველი და გამყიდველი). ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა არ ეხებათ მხოლოდ მოდავე მხარეებს. ორივე მათგანი ცდილობს, თავისი ინტერესი იყოს უფრო „მომგებიანი“. ხელშეკრულების ორივე მხარისგან ადვოკატი იღებს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ამგვარი წარმომადგენლობა ეწინააღმდეგება ადვოკატის ფუნდამენტურ ვალდებულებას - კონფიდენციალობის პრინციპს. არსებობს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, როდესაც კლიენტის ინფორმირებული თანხმობით შესაძლებელია წარმომადგენლობა, თუმცა ამ შემთხვევაში არსებობს დაუშვებელი ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისას, ამეხიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესები ადრე განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებდა, რომელიც შეეხებოდა განქორწინების დავაში ერთი ადვოკატის ჩართვას (The Do's and Don'ts When One Lawyer Represents Both Parties, Robert G. Spector: <https://bit.ly/3rG7llp>). კერძოდ, ეს იყო შემთხვევა, როცა ადვოკატს განქორწინების საქმეზე შეთანხმებულად მიმართავდა ცოლ-ქმარი და გამოხატავდა ნდობას, რომ მხოლოდ მას ეწარმოებინა საქმე; ამავე დროს, მათ სურდათ დამატებითი ხარჯის თავიდან არიდება საქმეში ორი ადვოკატის ჩართვით. დღეს განქორწინების საქმეში ერთი ადვოკატის ჩართვა „ტრადიციულ ინტერესთა კონფლიქტად“ ფასდება, თუმცა ადრე ეს დასაშვები იყო და ადვოკატი განიხილებოდა, როგორც შუამავალი (friendly divorce-ის ადვოკატი). ამის მიუხედავად, დღეს ამერიკის პროფესიული ქცევის მოდელური წესი მსგავს შემთხვევას უგამონაკლისოდ განიხილავს ინტერესთა მკაფიო კონფლიქტად.

შედგად, **პირველი შეკითხვის** შემთხვევაში, სასამართლო დავაში B-ს ჩაურთველობის მიუხედავად, სახეზეა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, თუმცა არა თავად კონფლიქტი.

მეორე და მესამე შეკითხვაში მოცემული პირობების არსებობისას, რაც გულისხმობს ერთდროულად ორივე კლიენტის ჩართულობას საქმეში (ერთის - მონმის სახით, და მეორის - მესამე პირის სტატუსით), სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

შესაბამისად, შეკითხვაში აღწერილ პირველ შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევებში - ინტერესთა კონფლიქტი.

კონფლიქტის მიუხედავად წარმომადგენლობის შესაძლებლობა

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, ადვოკატს შეუძლია რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მათი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში. ასეთ დროს მთავარია, ადვოკატმა დაადგინოს:

- (1) აქვთ თუ არა კლიენტებს საერთო ინტერესი;
- (2) თანხმობას აცხადებენ თუ არა ისინი, რომ ერთი და იმავე ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები;
- (3) კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე არ არსებობს იმ პირობებშიც კი, როცა ადვოკატი წარმოადგენს რამდენიმე კლიენტს;
- (4) ინტერესთა კონფლიქტი არ უშლის ადვოკატს ხელს, რომ იმოქმედოს ყველა კლიენტის ინტერესების ფარგლებში. თუ მისი ქმედებები A და B კომპანიების ერთდროული წარმომადგენლობის შემთხვევაში იქნება ზუსტად ისეთივე, როგორც მხოლოდ A ან მხოლოდ B კომპანიის წარმომადგენლობისას, ადვოკატს შეუძლია ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა.

ეთიკის კომისიამ აქვე განმარტა, რომ ეს შესაძლებლობა არ მოიცავს დაპირისპირებულ პირთა (მაგ: მოსარჩელისა და მოპასუხის) ერთი და იმავე საქმეში წარმომადგენლობას ერთი ადვოკატის მიერ.

ინფორმირებული თანხმობის შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც დაცულია კლიენტის ინტერესები და მას აქვს ამგვარი თანხმობის გაცემის უფლება.

კონფლიქტში მყოფ პირთა ერთი და იმავე ადვოკატის მიერ წარმომადგენლობისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს ამ პირთა საერთო ინტერესი და ინფორმირებული თანხმობა. ამასთან, ამ წარმომადგენლობით საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას, იმოქმედოს კლიენტთა ინტერესების შესაბამისად.

დასკვნა:

ადვოკატი რამდენიმე კლიენტის ერთდროული მომსახურებისას ვალდებულია, გამოიჩინოს გულისხმიერება, შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტი ან განსაზღვროს მისი წარმოქმნის საფრთხე. შეკითხვიდან გამომდინარე, A და B კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება. პირველ შემთხვევაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რადგანაც მოსარჩელესა და კლიენტ A-ს შორის დავა უკავშირდება ადვოკატის მეორე კლიენტის - B-ს ინტერესს. მეორე და მესამე შემთხვევები ეხება უშუალოდ B-ს ჩართულობას სასამართლო პროცესში, რაც უკვე არის არა საფრთხე, არამედ აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტისა და მისი წარმოშობის საფრთხის არსებობა ადვოკატს ართმევს შესაძლებლობას, რომ დაპირისპირებული ინტერესების მქონე პირები წარმოადგინოს მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე. ამასთან, ასეთი წარმომადგენლობით საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის მიმართ ნდობასა და ადვოკატის დამოუკიდებლობას, იმოქმედოს კლიენტთა ინტერესების შესაბამისად.⁶⁰

6.9 როგორ უნდა შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატმა მოსარჩელისა და მესამე პირის ინტერესების დაცვისას?

წერილობითი რეკომენდაცია 002/20, 2020 წლის 15 აპრილი ⁶¹

ფაქტები:

სამოქალაქო დავის განხილვისას, მოსამზადებელ სხდომაზე, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა მასზე იმ პირის მიერ გაცემული რწმუნებულება, რომლის

60 კომისიამ საქმეთა ურთიერთდაკავშირების საკითხზე ასევე იმსჯელა წერილობით რეკომენდაციაში 010/17 2017, წლის 04 დეკემბერი: <https://tinyurl.com/eps6wj43> კერძოდ, ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტ „ა“-ს ინტერესებს შპს-ს წინააღმდეგ, რომელიც გახლდათ სააქციო საზოგადოების აქციონერი. იურიდიული მომსახურების შედეგად, კლიენტმა „ა“-მ მიიღო წილი სააქციო საზოგადოებაში. ადვოკატმა დაიწყო ახალი კლიენტის, „ბ“-ს ინტერესების წარმოდგენა ფიზიკურ პირის, „ც“-ს წინააღმდეგ. „ბ“-ს სურდა შპს-ში არსებული „ც“-ს წილის დაყადაღება. კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ნაწილში, ყოფილ კლიენტ „ა“-სა და ახალ კლიენტ „ბ“-ს საქმეები შინაარსობრივად არ არის ერთნაირი ან ერთმანეთთან დაკავშირებული. საადვოკატო მომსახურება ეხებოდა შპს-ს მიერ სააქციო საზოგადოებაში არსებული ქონების დაყადაღებას; შედეგად, კლიენტმა „ა“-მ მიიღო სააქციო საზოგადოებაში არსებული წილი. კლიენტ „ბ“-ს ინტერესების წარმოდგენა უკავშირდება შპს-ში არსებული პარტნიორის - ფიზიკურ პირის, „ც“-ს წილის დაყადაღებას. კლიენტ „ბ“-ს ინტერესთა სახარგებლოდ ადვოკატის ასეთი იურიდიული მოქმედება არ აზიანებს ფიზიკურ პირის, „ა“-ს, როგორც ყოფილი კლიენტის ინტერესებს.

61 <https://tinyurl.com/2tjfkpev>

საქმეში ჩართვასაც აპირებდა მოსარჩელის მხარეს, მესამე პირის სახით და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

სხდომის დასრულების შემდეგ, შესაბამისი შუამდგომლობის ტექსტზე მუშაობისას ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ დასახელებულ პირს ჰქონდა საფუძველი, დამოუკიდებელი მოთხოვნა განეცხადებინა დავის საგანზე და საქმეში ჩართულიყო არა როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, არამედ აღედრა სარჩელი ორივე მხარის მიმართ და საქმეში ჩაბმულიყო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის სახით.

ამ გარემოების შესახებ ადვოკატმა დაუყოვნებლივ აცნობა საქმეში მესამე პირად ჩართვის უფლებამოსილების მქონე პირს და სთხოვა, გაეუქმებინა მასზე გაცემული რწმუნებულება და საკუთარი ინტერესების დასაცავად აეყვანა ახალი ადვოკატი.

სასამართლოსთვის რწმუნებულების წარდგენის გარდა, მესამე პირის ინტერესთა დასაცავად სხვა პროცესუალური მოქმედება ადვოკატს არ ჩაუტარებია.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის ჩართვა საქმეში არ მოითხოვს რაიმე ახალი, საქმის მასალებში არარსებული გარემოების ან მტკიცებულების წარდგენას სასამართლოსთვის. ეს შესაძლებლობა ადვოკატმა გააცნობიერა არა აღნიშნული პირის მხრიდან საქმის რაიმე ახალი გარემოების დასახელების ან მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგ, არამედ საქმეში უკვე არსებული მასალების გაანალიზებისა და შეფასებისას.

შეკითხვა:

ხომ არ წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი, თუ ამ ვითარებაში ადვოკატი გააგრძელებს პირველი მარწმუნებლის (რომლის სახელითაც შეიტანა სარჩელი სასამართლოში) ინტერესთა დაცვას, რა დროსაც ოპონირება მოუწევს საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაბმული მესამე პირის მოთხოვნისათვის?

ანალიზი:

მოცემული ფაქტებით, ადვოკატი სასამართლოში წარმოადგენდა მოსარჩელესა და მესამე პირს. ადვოკატს არ ეკრძალება რამდენიმე პირის წარმომადგენლობა, თუმცა უნდა დარწმუნდეს, რომ მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ანდა მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.⁶²

62 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში №015/10 დარღვევად მიიჩნია ადვოკატის მოქმედება - სამიდან მხოლოდ ერთი კლიენტისთვის გაენია საადვოკატო მომსახურება მას შემდეგ, რაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა. კომისიამ განმარტა: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი

აღნიშნულ რეკომენდაციაში კომისია შეეხო საკითხს, თუ რა სტანდარტით უნდა შეაფასოს ადვოკატმა მნიშვნელოვანი საფრთხე - ერთი შეხედვით (*prima facie*) სტანდარტით, თუ საფუძვლიანი კვლევის სტანდარტით? ეს საფრთხე უფრო მარტივი დასადგენია ერთი საქმისწარმოების ფარგლებში და უფრო რთულია ორ სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ საქმეში.

მოცემული შეკითხვა არ ეხება ადვოკატის მხრიდან საფრთხის კვლევის ვალდებულებას ჰიპოთეტური ფაქტის მიხედვით. ადვოკატმა შესაბამისი შუამდგომლობის ტექსტზე მუშაობისას აღმოაჩინა, რომ არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი. ზოგადად, რა სტანდარტიც უნდა დაადგინოს მომავალში კომისიამ, საფრთხის კვლევის ვალდებულება აკისრია ადვოკატს. ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურება ასეთი კვლევის გარეშე, ინვესს უარყოფით შედეგს, როგორც ადვოკატის, ასევე მისი კლიენტებისა და, შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვისაც, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება, ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას. ამიტომ, ასეთი საფრთხის კვლევის გარეშე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა საადვოკატო მომსახურების მსურველ პირებთან არის აპეკ-ის 6.1 მუხლის დარღვევა ადვოკატის მხრიდან.

აპეკ-ით ცალსახად მოითხოვება ურთიერთობის შეწყვეტა, როდესაც ინტერესები ურთიერთდაპირისპირებულია, და კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ამ კუთხით. ეთიკის კომისიამ N016/18 რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ როდესაც კონფლიქტი უკავშირდება კონფიდენციალობის ხელყოფას ან ნდობის დარღვევას, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ; თუმცა, ისეთი მძაფრად დაპირისპირებული პოზიციების არსებობისას, როგორც აქვთ მხარეებს სასამართლო პროცესში, ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია, ადვოკატმა განახორციელოს თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესები ითვალისწინებს იმ შეუთავსებელ ურთიერთობებს (მოდელური ქცევის წესები 1.7 (ა)), რომელთა არსებობისას, კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია წარმომადგენლობის განხორციელება. კერძოდ, ეს მიუღებელია:

1. თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს;
2. არსებობს მნიშვნელოვანია რისკი, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას

ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს” (პარ. 7.5).

სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“.

აქედან გამომდინარე, ინფორმირებული თანხმობის შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც დაცულია კლიენტის ინტერესები და მას აქვს ამგვარი თანხმობის გაცემის უფლება.

წარმოდგენილ შემთხვევაში შეუძლებელია კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება; ასევე, საადვოკატო მომსახურების შეთანხმების ეტაპიდანვე ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები ჰქონდა არა მხოლოდ მოსარჩელის, არამედ მესამე პირის მიმართაც. შესაბამისად, ადვოკატი უნდა ჩამოშორდეს ორივე პირის დაცვას და აიცილოს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის საფრთხე.

დასკვნა:

თუ ადვოკატს სურს, სასამართლო საქმისწარმოებაში წარმოადგენდეს პროცესის რამდენიმე მონაწილეს, ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ადვოკატი გულისხმიერად უნდა მოეკიდოს ინტერესთა კონფლიქტის კვლევას, თუმცა შესაძლებელია, მისი იდენტიფიცირება საწყის ეტაპზე ობიექტურად შეუძლებელი იყოს, საქმის ზოგი ფაქტის არცოდნის, მტკიცებულებათა უქონლობის, ან სხვა გარემოებათა გამო. თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის შემდგომ, ადვოკატი აღმოაჩენს, რომ სასამართლო დავის მონაწილეთა შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებული იქნება, შეწყვიტოს ყველას წარმომადგენლობა. ინფორმირებული თანხმობის მიღება ყველა კლიენტისგან არ აქარწყლებს ამ ვალდებულებას, სასამართლო პროცესის ფარგლებში არსებული დაპირისპირებიდან გამომდინარე. თუ ადვოკატი საწყის ეტაპზევე გამოიჩინს გულისხმიერებას ინტერესთა კონფლიქტის დადგენის საკითხში, ან ფაქტებისა და ინტერესთა დაუდგენლობის პირობებში მხოლოდ ერთ კლიენტს გაუწევს წარმომადგენლობას სასამართლოში, აირიდებს ყველა კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

6.10 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისას და როგორ უნდა შეაფასოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი საოჯახო დავის შემთხვევაში?

წერილობითი რეკომენდაცია 002/21, 2021 წლის 27 მაისი⁶³

ფაქტები:

საქალაქო სასამართლომ განიხილა დედის სარჩელი მამის მიმართ, რომელშიც მოითხოვდა არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და მამის, როგორც მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვას.

სარჩელის მიზანი იყო დედა-შვილის მოგზაურობისა და გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთ ცხოვრების უფლების მინიჭება, რაზეც მამა არ თანხმდებოდა.

საქმის განხილვისას არასრულწლოვანი (12 წლის) არაერთ ფსიქოლოგთან იყო გასაუბრებებზე; იგი გამოკითხა მოსამართლემაც და დაადგინა, რომ ბავშვსაც სურდა დედასთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა (იგი სრულად უჭერდა დედის სარჩელს მხარს). სასამართლომ დედის სარჩელი დააკმაყოფილა, რასაც საფუძვლად დაედო ფსიქოლოგის დასკვნა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი პოზიცია. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა და ბავშვი დედასთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ. გადაწყვეტილება გასაჩივრდა აპელაციის წესით. სასამართლომ ბავშვი, როგორც დაინტერესებული მხარე, საქმეში ჩააბა მესამე პირად და დასვა საკითხი, რომ დავაში ბავშვის ინტერესების დამცველად ჩართულიყო ადვოკატი.

შეკითხვა:

ასეთ შემთხვევაში, აქვს თუ არა დედის ადვოკატს ბავშვის ადვოკატირების უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ მეურვეობის ორგანოს არ გამოუხატავს საწინააღმდეგო პოზიცია, ბავშვს აქვს ინფორმაცია ადვოკატის საჭიროების შესახებ და სურს, დედის ადვოკატმა დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები.

ანალიზი:

1. ადვოკატის როლი ბავშვის უფლებათა დაცვაში

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია არსებობდეს როგორც არსებულ კლი-

⁶³ <https://tinyurl.com/2xpcz6e>

ენტებს შორის, კლიენტსა და ყოფილ კლიენტს შორის, ან არსებულ კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელიც უკავშირდება ადვოკატს, ასევე ადვოკატსა და არსებულ კლიენტს შორის (პირადი ინტერესთა კონფლიქტი). ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირთა ინტერესების ერთდროულად წარმოდგენა არღვევს პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპს; ამასთან, საფრთხე ექმნება ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით დაცულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს ერთი კლიენტის საზიანოდ და მეორე კლიენტის სასარგებლოდ.

კლიენტისადმი ერთგულების მოვალეობა და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა არსებითი ელემენტია საადვოკატო საქმიანობისთვის. ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს:

1. ვინ არიან კლიენტები;
2. არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე;
3. დასაშვებია თუ არა წარმომადგენლობა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად;
4. თუ დასაშვებია, არსებობს თუ არა კლიენტის ინფორმირებული თანხმობა ამ საკითხზე.

ბავშვის ადვოკატირება ნიშნავს უპირატესად მისი ინტერესებისთვის მოქმედებას და მის მიერ გამოხატული ნების საუკეთესოდ წარმოჩენას მართლმსაჯულების წინაშე, ან სხვადასხვა ორგანოსთან ურთიერთობისას.

ვინაიდან ბავშვის უფლებათა დაცვას განსაკუთრებული, ფრთხილი და გულსხმიერი დამოკიდებულება სჭირდება, ადვოკატები სპეციალიზებულნი უნდა იყვნენ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვას. სსკ-ის 5¹ მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებში მონაწილეობის უფლება ენიჭება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდოკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებულ ადვოკატს.

შესაბამისად, განსაკუთრებით მგრძობიარე საკითხია სასამართლოში საქმისწარმოებისას, მათ შორის, საოჯახო დავის დროს, პროცესის მონაწილე პირთა მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა, მით უფრო, თუ საქმიდან გამომდინარე, საჭიროა ბავშვის წარმომადგენლობა ადვოკატის მხრიდან.

ამ კუთხით, ადვოკატის პროფესიული ეთიკის რეგულაციები არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას, გარდა იმისა, რომ ადვოკატი სპეციალიზებული უნდა იყოს არასრულწლოვნის უფლებათა წარმომადგენლობის საკითხებში. შესაბამისად, ადვოკატმა, ბავშვის ინტერესების დაცვისას (შეკითხვის მიხედვით, ბავშვი საქმეში ჩართულია მესამე პირის სტატუსით) - მათ შორის,

სასამართლოში საქმისწარმოებისას - უნდა გაითვალისწინოს რეგულაციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შესახებ; ასევე, განსაკუთრებული სიფრთხილით იმოქმედოს და შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის წრილში, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების კიბეჩიუმები:

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით:

- ა) ბავშვის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს;
- ბ) გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება;
- გ) მულტიდისციპლინურ მიდგომას იყენებდეს ყველა უწყება, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ.19).

ბავშვის უფლება მის წახმომადგენლობაზე

„ბავშვს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“ (ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 80(1)).

„ბავშვს აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება. სახელმწიფო ბავშვისთვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას, როდესაც მას მოწვეული ადვოკატი არ ჰყავს.“ (ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 74(3)).

2. ბავშვის მიერ გამოხატული ნების მნიშვნელობა და ინტერესთა კონფლიქტი

იმისათვის, რომ შეფასდეს, შექმნის თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ან მის საფრთხეს დედის ადვოკატის მიერ შვილის ინტერესების წარმოდგენა, პირველ რიგში უნდა შეფასდეს ფაქტები.

შეკითხვიდან ირკვევა შემდეგი ფაქტები: სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარე ეტაპზე, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი არის დედა; ბავშვი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საქმესთან დაკავშირებით - მას შეუძლია, გამოხატოს ნება და დააფიქსიროს თავისი სურვილი, თუ ვინ დაიცავს მის უფლებებს; ბავშვი სრულად იზიარებს დედის პოზიციას და მკაფიოდ აფიქსირებს ნებას,

რომ მისი ინტერესები დაიცვას დედის ადვოკატმა, რასაც არ ეწინააღმდეგება მეურვეობის ორგანო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა უნდა შეაფასოს, ამგვარი წარმომადგენლობა დააზიანებს თუ არა რომელიმე კლიენტის ინტერესს. აღწერილი ფაქტები არ იძლევა საკმარის საფუძველს, რომ მოცემული შემთხვევა შეფასდეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, ან მისი წარმოქმნის საფრთხე. დედისა და შვილის ინტერესები ერთმანეთს არ უპირისპირდება და ბავშვი გამომხატავს ნებას, მისი ინტერესებიც დედის ადვოკატმა დაიცვას.

3. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა

ბავშვის ინტერესთა წარმოდგენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტი უნდა შეფასდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, და არა განზოგადებულად. კერძოდ, მართლმსაჯულება განხორციელებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის ინტერესებს. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს, რა იქნება უკეთესი არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად საოჯახო დავაში.

როგორც აღინიშნა, არსებობს ბავშვის ნება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ადვოკატირებისათვის. „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია, ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12; „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ - გაეროს ბავშვთა ფონდი გვ.19).

ბავშვის გამომხატული ნების საფუძველზე დაწყებული ადვოკატირება შემდგომშიც განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა განხორციელდეს, მით უფრო, რომ დავა მიმდინარეობს მშობლებს შორის და ადვოკატის ვალდებულებაა, შეაფასოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ან მისი საფრთხის წარმოქმნის რისკი: კერძოდ, შეუძლია თუ არა მას მიუკერძოებლობის დაცვა ერთდროულად დედისა და ბავშვის ადვოკატირებისას, მათ შორის, დედის ინტერესებისგან დამოუკიდებლად განსაზღვრა, რა იქნება უკეთესი ბავშვისთვის.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული გარემოების შეფასებით იკვეთება, რომ დედისა და ბავშვის საერთო ინტერესი შეიძლება წარმოადგინოს ადვოკატმა, რაც ეფუძნება თავად ბავშვის მიერ გამომხატულ ნებას. თუმცა, მიუხედავად ასეთი

დაშვებისა, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საქმეში არსებული ყველა ფაქტორი, რომლებიც ცნობილია მისთვის და შეიძლება ქმნიდეს ინტერესთა კონფლიქტს ან მისი წარმოშობის საფრთხეს. ამასთანავე, თუ ასეთი დაპირისპირება წარმოიქმნება, ბავშვის ინტერესების დაცვისას ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, შეწყვიტოს ორივე კლიენტის წარმომადგენლობა.

6.11 დასაშვებია თუ არა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ დაცვის განხორციელება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე?

წერილობითი რეკომენდაცია 003/21, 2021 წლის 27 მაისი⁶⁴

ფაქტები:

სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა გამოირიცხება „თუ იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავად ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმომადგენს“ (სსკ-ის მუხლი 60 (ბ) პუნქტი).

დაახლოებით 1 წლის წინათ ადვოკატი იცავდა X-ს, როგორც ბრალდებულს. მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამჟამად ადვოკატს დაევალა Y-ის, როგორც ბრალდებულის ინტერესების დაცვა. დაზარალებული ამ შემთხვევაში არის X - ადვოკატის ყოფილი კლიენტი. Y-ის ინტერესების დასაცავად აუცილებელი გახდა, მიმდინარე გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვება. მათ შორისაა ინფორმაცია X-ის - როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი და ამორალური პიროვნების - დისკრედიტაციისათვის

ადვოკატმა უნდა გამოითხოვოს განაჩენი და სხვა ინფორმაცია, რომელთანაც შეხება ჰქონდა, როგორც X-ის წარმომადგენელს. Y-ის სასამართლო პროცესებზე შემდგომში დაიკითხება X-იც, როგორც დაზარალებული (მოწმე); თავისთავად, კითხვები იქნება მრავალმხრივი, რადგან Y თავს არ ცნობს და მნაშავედ, ედავება ბრალდებას და თვლის, რომ X არ დაუზარალებია.

64 <https://bit.ly/3kOEFnR>

შეკითხვა:

ქმნის თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ანდა მისი წარმოშობის საფრთხეს საქმისწარმოება ყოფილი კლიენტის, როგორც დაზარალებული პირის მიმართ?

ანალიზი:

ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატის ქმედებათა აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ისეთი პრინციპების ფარგლებში, როგორცაა ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის არიდება და კონფიდენციალობის დაცვა.

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს რამდენიმე სახის: კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, კლიენტსა და ადვოკატს შორის, არსებულ და ყოფილ კლიენტებს შორის. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი საფრთხის წარმოქმნის შესაფასებლად, განმსაზღვრელია, რამდენად დასაშვებია ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება არსებული კლიენტის ინტერესებისათვის.

შეკითხვიდან დგინდება, რომ თავდაპირველად ადვოკატი იცავდა X-ის, როგორც ბრალდებულის ინტერესებს, და დაასრულა თავისი საადვოკატო მომსახურება. შემდგომ, სხვა საქმეზე ადვოკატმა დაიწყო Y-ის, როგორც ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენა. დავაში ადვოკატის ყოფილი კლიენტი X ჩართულია, როგორც დაზარალებული.

თავისთავად, მხოლოდ ის გარემოება, რომ ადვოკატმა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ უნდა აწარმოოს საქმე, არ ნიშნავს პროფესიული რეგულაციის დარღვევას, თუმცა ამგვარი წარმომადგენლობისას მან უნდა გაითვალისწინოს ყოფილი კლიენტის წინაშე არსებული ეთიკური ვალდებულებები და განსაზღვროს საფრთხეები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ყოფილი კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგო ქმედებად.

სხვა ეთიკური ვალდებულებებისგან განსხვავებით, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა არ არის დამოკიდებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტაზე; ის განგრძობადია და არ შემოისაზღვრება კონკრეტული დროით. აღნიშნული ვალდებულების უგულებელყოფა არა მხოლოდ კონკრეტულ კლიენტს აყენებს ზიანს, არამედ საფრთხეს უქმნის პროფესიის რეპუტაციასა და მის მიმართ ნდობასაც.

განსახილველ შემთხვევაში, არსებული და ყოფილი კლიენტები მკაცრად დაპირისპირებული მხარეები არიან. შეკითხვაში მითითებულია, რომ X-სთვის საადვოკატო მომსახურების განწვევისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია სასარგებლოა არსებული კლიენტის ინტერესთა დასაცავად. შედეგად, ადვოკატის მოქმედება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ მოიცავს მისგან მიღებული

კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასაც, რომლის გამოყენება ემსახურება ყოფილი კლიენტის პიროვნების დისკრედიტაციას. აღნიშნული არ არის ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ინტერესთა დაპირისპირების მიუხედავად, დაშვებულია წარმომადგენლობის განხორციელება.

დასკვნა:

ვინაიდან ყოფილ და არსებულ კლიენტთა ინტერესები საქმეში ერთმანეთს უპირისპირდება (ბრალდებული და დაზარალებული), დაუშვებელია, ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მის წინააღმდეგ. ეს არ არის ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც, კონფლიქტის მიუხედავად, დაშვებულია წარმომადგენლობა. შედეგად, ადვოკატის ვალდებულებაა, არ განიოს საადვოკატო მომსახურება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, როცა საქმეზე არათუ საფრთხე ექმნება პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, არამედ მეორე კლიენტის ინტერესებისთვის გამოიყენება კონფიდენციალური ინფორმაცია და აშკარად და მიზანმიმართულად ზიანდება ყოფილი კლიენტის ინტერესები.

6.12 როგორ უნდა აირიღოს თავიდან ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატმა, როდესაც „პირველი“ და „მეორე“ კლიენტი მუდღეობი არიან და მათი საქმეები ერთმანეთს უკავშირდება?

წერილობითი რეკომენდაცია 016/18, 2019 წლის 27 მაისი⁶⁵

ფაქტები:


ადვოკატი წარმომადგენლობას უწევდა „ა“-ს (კლიენტი) ორ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში. ამ დავებში „ა“-ს სარჩელები მიმართული იყო მოპასუხე შპს „ბ“-ს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნა იყო ერთ საქმეზე საიჯარო თანხების დაკისრება და მეორეზე ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურება.

ორივე საქმის წარმოება დასრულდა ადვოკატის კლიენტის („ა“-ს) სასარგებლოდ. ამ საქმეებში მოპასუხედ გამოსული კომპანიის - შპს „ბ“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტნიორი იყო მოსარჩელე „ა“-ს მეუღლე (ქმარი).

მოგვიანებით, იგივე ადვოკატი სასამართლოში წარმომადგენლობას გაუწევს „გ“-ს, „ა“-ს მეუღლესა და შპს „ბ“-ს პარტნიორს, ვისი სარჩელიც მიემართება

⁶⁵ <https://tinyurl.com/bj5hnbvj>

შპს „ბ“-ს დირექტორს. „გ“-ს სასარჩელო მოთხოვნაა დირექტორის მიერ ზიანის ანაზღაურება საზოგადოების (შპს „ბ“-ს) სასარგებლოდ.



შეკითხვა:

რამდენად ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსს, თუ პირველი კლიენტის შპს-ს წინააღმდეგ არსებული საქმეების დასრულების შემდეგ, ადვოკატი მეორე კლიენტს წარმომადგენლობას გაუწევს ამავე შპს-ს დირექტორის მიმართ?

ანალიზი:

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას არსებულ კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელსაც უკავშირდება ადვოკატის ინტერესები, პირადად ადვოკატსა და კლიენტს შორის (პირადი ინტერესთა

კონფლიქტი), ან ყოფილ კლიენტსა და არსებულ კლიენტს შორის.⁶⁶

ამერიკის იურისტთა ასოციაციამ მოდელური წესების შესაბამისად განმარტა წარმომადგენლობის დაშვება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში: „ადვოკატის განგრძობადი ეთიკური ვალდებულებაა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, შეაფასოს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმომადგენლობა განახორციელოს მხოლოდ 1.6 მოდელური წესის დაცვით - კლიენტისგან მიღებული ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში (იხ. ამეჩიკის იუჩისგთა ასოციაცია ABA - *The “Confidential Information” Conflict Is It Time For The ABA To Rethink Its Position On Waiver?* by Brian J. Redding; ABA opinion 90-358).

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, რომლის საფუძველზე ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა. ეს ნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპს.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატი წარმომადგენლობას უწევდა „ა“-ს (შემდგომში - „პირველი მოსარჩელე“) შპს „ბ“-სთვის (შემდგომში - „კომპანია“) ფულადი მოთხოვნის დაკისრების საქმეზე. პირველმა მოსარჩელემ დავა მოიგო და კომპანიას მოუწია ზიანის ანაზღაურება მის სასარგებლოდ. ზემოაღნიშნული დავის დასრულების შემდეგ, კომპანიის პარტნიორმა, რომელიც,

66 „ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, ადვოკატმა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი“ (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„ადვოკატმა, რომელმაც კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას წარმოადგინა სხვა კლიენტი, რომლის პოზიცია, ყოფილი კლიენტისგან განსხვავებით, არსებითად სანინააღმდეგოა იმავე ან დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ უნდა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი ყოფილი და ამჟამად არსებულ კლიენტის ინტერესებს შორის. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება დაკავშირებულია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს; ამასთან, ადვოკატმა უნდა აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა“ (იხ. ეთიკის კომისიის 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #023/15).

ეთიკის კომისიამ საქმეთა ურთიერთდაკავშირებიდან გამომდინარე, შეაფასა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა: „განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო მისი პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. შემდეგში ადვოკატი წარმოადგენდა სხვა კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში, რომელიც შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებული იყო. ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ დააყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #092/10).

ამავდროულად, პირველი მოსარჩელის მეუღლეა, დერივატიული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კომპანიის დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული სასამართლო დავები ერთმანეთს უკავშირდება, რადგან მეორე დავის საფუძველი წარმოშვა პირველი დავის კომპანიის საწინააღმდეგოდ დასრულებამ. შედეგად, პირველ დავაზე მიღებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებული იყოს მეორე დავაში, კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისას, უნდა აღინიშნოს, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა კლიენტის საქმის მიმართ: ის ვალდებულია, არ განახორციელოს პროფესიულ ვალდებულებასთან შეუთავსებელი მოქმედებები, მათ შორის, პირველი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამოიყენოს მეორე კლიენტის ინტერესთა სასარგებლოდ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თავდაპირველი კლიენტის საქმეს. შესაძლებელია, საქმეთა შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობით, კლიენტის საქმე შედეგობრივად არ ზიანდებოდეს, თუმცა ახალ საქმეში ადვოკატის ჩართვა საზიანო იყოს კლიენტისთვის, რადგან მან ადვოკატს გაანდო კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ აპკ-ის 4.4. მუხლის დაცვით (ინფორმირებული თანხმობის არსებობისას).

მიუხედავად იმისა, რომ საქმეები ერთმანეთს უკავშირდება, ადვოკატის კლიენტი თავიდან იყო პირველი მოსარჩელე. თუ ადვოკატი ჩაერთვება მეორე დავაში, მისი კლიენტი იქნება - კომპანიის პარტნიორი. კითხვაში მოცემული გარემოებები არ იძლევა შესაძლებლობას, დავადგინოთ, იყო თუ არა კომპანიის პარტნიორის ინტერესი პირველი დავის დასრულება პირველი მოსარჩელის ან კომპანიის სასარგებლოდ. თუმცა, რადგან პირველი მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორი მეუღლეები არიან, ვუშვებთ, რომ მათი ინტერესები თანხმდებიან. მათ შორის რაიმე კავშირის არარსებობისას, ბუნებრივია, კომპანიის პარტნიორი დაინტერესებული იქნებოდა დავის კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტით და შესაძლებელია სხვაგვარი ყოფილიყო რეკომენდაციის შინაარსიც და შედეგიც.

რადგან კონფიდენციალობის ვალდებულება არ შემოისაზღვრება დროით, წარმომადგენლობის დასრულების შემდეგაც, კომპანიის პარტნიორის ინტერესთა დაცვის დაწყებამდე, ადვოკატმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ ექმნება საფრთხე პირველი მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ახალ დავაში პარტნიორის ინტერესთა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად დაცვისას. კლიენტი თავის საქმეზე ინფორმაციას ანდობს ადვოკატს - ეფექტიანი იურიდიული მომსახურების გასაწევად. „კლიენტისათ-

ვის ეს წამახალისებელი ფაქტორია, რომ მოიძიოს იურიდიული დახმარება და სრულყოფილად და გულწრფელად დაამყაროს კომუნიკაცია, ადვოკატს მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე, როგორი უხერხული და სამართლებრივად საზიანოც უნდა იყოს მისთვის“ (იხ. ჯეიმს მოდიგეხრო, ჯოჯი ჩ. ჰაჩისი, „ადვოკატთა პროფესიული გლობალური საკითხები“, თბილისი, 2014, გვ.116).

დავების კავშირი წარმოშობს გონივრულ ვარაუდს, რომ პირველი მოსარჩელისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატს შეიძლება დაეხმაროს მეორე დავაში კომპანიის დირექტორის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ადვოკატის ორი ვალდებულება:

- (1) მოსარჩელის მიმართ კონფიდენციალობის დაცვა (აპეკ-ის 4.1 მუხლი);
- (2) კომპანიის პარტნიორის მიმართ მოქმედება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი დაყენება სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა (აპეკ-ის მე-5 მუხლი).

შედეგად, აპეკ-ის 6.2.ა მუხლის საფუძველზე, ადვოკატს ეკრძალება კომპანიის პარტნიორის წარმომადგენლობა კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ (ზიანის ანაზღაურების მიზნით). თუმცა კონფიდენციალობის დაცვა არ არის ადვოკატის აბსოლუტური ვალდებულება და არსებობს პროფესიული რეგულაციებით დადგენილი გამონაკლისები.

აპეკ-ით გათვალისწინებულია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, როცა არსებობს კლიენტის თანხმობა. ინფორმირებული თანხმობის მიღება გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის უფლებაზე უარის თქმას. შესაბამისად, თუ ადვოკატი მიიღებს მკაფიოდ და ცხადად გამოხატულ ინფორმირებულ თანხმობას პირველი მოსარჩელისგან, აღარ იარსებებს დაპირისპირებული ვალდებულებები პირველი მოსარჩელისა და კომპანიის პარტნიორის მიმართ. ადვოკატს შეეძლება კომპანიის პარტნიორის ინტერესთა საუკეთესოდ დაცვა, მათ შორის, პირველი დავიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებით.

ამერიკის მოდელური წესების თანახმად (Model Rules of Professional Conduct (1.7)), ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას ადვოკატს შეუძლია წარმომადგენლობის განწევა, თუ:

1. იგი აცნობიერებს, რომ ორივე კლიენტს გაუწევს კომპეტენტურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას;
2. ასეთი წარმომადგენლობა კანონით არ იკრძალება;
3. წარმომადგენლობა არ მოიცავს ჩართვას ისეთ სასამართლო დავაში ან სხვა საპროცესო მოქმედებაში, სადაც მხარეები მონიწილადმდეგენი არიან;

4. თითოეული კლიენტი, რომელზეც ინტერესთა კონფლიქტი ახდენს გავლენას, გასცემს ინფორმირებულ წერილობით თანხმობას.

ამერიკის მოდელური წესებისგან განსხვავებით, აპეკ-ის 6.2.(ა) მუხლი არ ითვალისწინებს გამონაკლისს. თუმცა, რადგან ამ ნორმაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კლიენტის მიმართ ვალდებულებები, რომელთაგან ერთი არ არის აბსოლუტური და კლიენტის ინფორმირებული თანხმობით ექვემდებარება გაუქმებას, ეს თავად 6.2.(ა) მუხლს აქცევს არააბსოლუტურ ვალდებულებად, რომელზეც ვრცელდება გარკვეული გამონაკლისები.

ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, ადვოკატმა პირველ მოსარჩელეს გასაგებად უნდა აუხსნას ამ თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგები და ურჩიოს დამოუკიდებელი საადვოკატო რჩევის მიღება გადაწყვეტილების მიღებამდე. სასურველია, თანხმობა გაიცეს იმგვარი ფორმით, რომ მარტივად შეიძლებოდეს მისი შემოწმება (მაგ: მატერიალური ან ელექტრონული ფორმით).

მხოლოდ პირველი მოსარჩელისგან მიღებული ინფორმირებული თანხმობის შეთხვევაში, რომელიც ადვოკატს უფლებას აძლევს, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის პარტნიორის სასარგებლოდ გამოიყენოს ახალ დავაში, ადვოკატი უფლებამოსილია, წარმოადგინოს კომპანიის პარტნიორის ინტერესები დირექტორის წინააღმდეგ.

დასკვნა:

„ა“-ს დავა შპს „ბ“-ს წინააღმდეგ და „გ“-ს დავა შპს „ბ“-ს დირექტორის წინააღმდეგ ერთმანეთს უკავშირდება. ადვოკატის ვალდებულება, „ა“-ს მიმართ დაცვას კონფიდენციალობა, დაუპირისპირდება „გ“-ს მიმართ ვალდებულებას, მისი ინტერესები დააყენოს სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა. შესაბამისად, ასეთ პირობებში, ზოგადი წესით ადვოკატს ეკრძალება „გ“-ს წარმომადგენლობა. ადვოკატს ამის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ა“-სგან მიიღებს ინფორმირებულ თანხმობას პირველ დავასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებაზე იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელი იქნება „გ“-ს ინტერესების კვალიფიციურად დასაცავად, კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპის შესაბამისად.

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც ორ კლიენტს უწევს წარმომადგენლობას სხვადასხვა სადავო ხელშეკრულებაზე, რომლებსაც აერთიანებს ერთი და იგივე „სტანდარტული პირობები“?

6.13 როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც კლიენტთა სხვადასხვა საქმის შედეგები დამოკიდებულია ხელშეკრულებათა ერთნაირი „სტანდარტული პირობების“ ბათილობაზე?

წერილობითი რეკომენდაცია 006/19, 2019 წლის 29 ივლისი⁶⁷

ფაქტები:

ადვოკატი ითხოვს თავის კლიენტსა და ერთ-ერთ პირს შორის დადებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობას. ამავდროულად, იდენტური სტანდარტული პირობები ხელშეკრულებაში უდევს ადვოკატის მეორე კლიენტს, რომელიც არანაირად არ უკავშირდება პირველი კლიენტის დავას, თუმცა პირველი კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება (ანუ იდენტური სტანდარტული პირობების ბათილობის პრეცედენტის დაშვება) შეიძლება უარყოფითად აისახოს მეორე კლიენტის ინტერესებზე.

პირველი კლიენტის წარმომადგენლობას ადვოკატი ახორციელებს სასამართლოში, სადაც ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნაა სტანდარტული პირობების ბათილობა.

მეორე კლიენტს ადვოკატი უწევს ყველა სახის სამოქალაქოსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ მომსახურებას, მათ შორისაა ხელშეკრულებების შედგენა და სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობა.

სტანდარტული პირობების შემთავაზებელი ორგანიზაცია ახორციელებს იმავე საქმიანობას, რასაც მეორე კლიენტი. ამასთან, მეორე კლიენტს ხელშეკრულებაში უდევს იგივე სტანდარტული პირობები, რომელთა ბათილობასაც ითხოვს პირველი კლიენტი ორგანიზაციის მიმართ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე.

შეკითხვა:

წარმოქმნის თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ერთდროულად ორივე კლიენტის წარმომადგენლობა იმ ვითარებაში, როცა ორივე საქმის შედეგი დამოკიდებულია ხელშეკრულებათა „სტანდარტული პირობების“ ბათილობაზე?

ანალიზი:

ადვოკატის მიერ „პირველი“ და „მეორე კლიენტის“ წარმომადგენლობა ქმნის

⁶⁷ <https://tinyurl.com/4tddhasc>

ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს.

ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევს ორ კლიენტს. „პირველი კლიენტი“, როგორც მოსარჩელე, ითხოვს ხელშეკრულებაში არსებული სტანდარტული პირობების ბათილობას ორგანიზაციის წინააღმდეგ; „მეორე კლიენტი“, მსგავსად „პირველი კლიენტის“ მოწინააღმდეგე მხარისა, არის იმავე სტანდარტული პირობების შემთავაზებელი ორგანიზაცია, რომელსაც ადვოკატი უწევს იურიდიულ მომსახურებას ყველა სახის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეზე.

ორივე კლიენტისთვის გასაწევ იურიდიულ მომსახურებათა შინაარსი, საქმეებიდან გამომდინარე, განსხვავდება, თუმცა ერთმანეთს უკავშირდება იმით, რომ როგორც „პირველი კლიენტის“, ასევე „მეორე კლიენტის“ სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილია ერთი და იგივე სტანდარტული პირობები .

წარმოდგენილი ფაქტებიდან ირკვევა, რომ სწორედ ხელშეკრულებებში არსებულმა ერთი და იმავე სტანდარტულმა პირობებმა დააპირისპირა ამ კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს. კერძოდ, „პირველი კლიენტის“ სასარგებლოდ სასამართლო დავის დასრულება დააზიანებს „მეორე კლიენტის“ საქმეს და მის ინტერესებს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან „პირველი კლიენტის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადანყვეტილება „არასასურველად“ პრეცედენტული იქნება „მეორე კლიენტის“ საქმისთვის.

მართალია, ამ შემთხვევაში „პირველი კლიენტის“ მოწინააღმდეგე მხარე სხვა პირია და დავის საგანი პირდაპირ არ უკავშირდება „მეორე კლიენტს“, თუმცა „საერთო“ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შესახებ მიღებულ გადანყვეტილებაზე შედეგობრივად დამოკიდებული გახდება „მეორე კლიენტის“ ინტერესები. ასეთ შემთხვევაში, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ადვოკატის დამოუკიდებლობა ორივე კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას, რადგან, საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, მათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება; შესაბამისად, ერთი კლიენტის ინტერესები დამოკიდებული გახდება მეორე კლიენტის საქმის შედეგზე და საფრთხე შეექმნება ერთ-ერთის ინტერესს.

ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს მსგავსი წარმომადგენლობისაგან, თუმცა ამ შემთხვევაში მას შეუძლია, გააგრძელოს იმ ორგანიზაციის წარმომადგენლობა, რომლის „სტანდარტული პირობების“ ბათილობასაც ითხოვს „პირველი კლიენტი“.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ „პირველი“ და „მეორე კლიენტის“ წარმომადგენლობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს: კერძოდ, შესაძლოა სასამართლომ დააკმაყოფილოს „პირველი კლიენტის“ მოთხოვნა სტანდარტული პირობების ბათილად ცნობაზე, რაც თავისთავად უარყოფით პრეცედენტს შექმნის „მეორე

კლიენტის“ საქმეში. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს „პირველი კლიენტის“ წარმომადგენლობისგან და გააგრძელოს „მეორე კლიენტის“ წარმომადგენლობა, რადგან მათი საქმეები ერთმანეთს პირდაპირ არ უკავშირდება და ერთ საქმეში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება არ იქნება აუცილებელი მეორე კლიენტის ინტერესთა სრულყოფილად დასაცავად.

6.14 შუქლია თუ არა ადვოკატს, სასამართლოში ერთი თანამოსარჩელის ინტერესების წარმოდგენისას, სხვა მარწმუნებლის ნაცვლად განაგრძოს დანარჩენ თანამოსარჩელეთა ინტერესების დაცვა?

წერილობითი რეკომენდაცია 009/19, 2019 წლის 22 ნოემბერი⁶⁸

ფაქტები:

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატი „დ“ აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, რომელშიც წარმომადგენდა ერთ მოსარჩელეს. აღნიშნული საქმე გავრთიანდა მსგავსი კატეგორიის საქმესთან, სადაც დამატებით მონაწილეობდა 12 მოსარჩელე. შესაბამისად, ადვოკატმა „დ“-მ განაგრძო თავის მარწმუნებლის (1 მოსარჩელის) ინტერესების წარმოდგენა, ხოლო დანარჩენებს წარმომადგენდა ადვოკატი „პ“.

პირველ ინსტანციაში საქმის დასრულების შემდეგ, სააპელაციო საჩივრების შეტანის ეტაპზე, ადვოკატ „დ“-ს დაუკავშირდა მითითებული საქმის 4 მოსარჩელე, რომლებიც სარგებლობდნენ ადვოკატ „პ“-ს მომსახურებით. მათ უთხრეს, რომ თავიანთ ადვოკატთან („პ“-სთან) ვერ შეთანხმდნენ სამომავლო ჰონორარზე, რამაც გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა. შესაბამისად, სურდათ, შემდგომ ინსტანციებში საქმისწარმოება მიენდოთ მისთვის.

პოტენციურ კლიენტებს ადვოკატმა „დ“-მ განუმარტა, რომ ჯერ უნდა დაესრულებინათ ურთიერთობა წინა ადვოკატთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა მათთან შეთანხმებას; ასევე, აუხსნა, რომ მათ ქმედებებს არ უნდა მოჰყოლოდა ადვოკატ „პ“-სთან კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ადვოკატ „დ“-ს დაუკავშირდა ადვოკატი „პ“, რომელმაც საკმაოდ უხეში ტონით მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თუ გიღირს ამ ხალხის აყვანა, შენი გადასაწყვეტია, თუმცა იცოდე, რომ ცუდი ხალხია და, ასევე, ისე არ გააკეთო, რომ ეთიკის კოდექსი დაგერღვეს“.

⁶⁸ <https://tinyurl.com/dcnp72u6>

ამ სიტყვებზე ადვოკატმა „დ“-მ უპასუხა, რომ ყველა პრინციპს დაიცავდა, იმ ეტაპისთვის პოტენციურ კლიენტებთან სამართლებრივ ურთიერთობაში არ იყო შესული და, ამ გადანყვეტილების მიღებისთანავე, ცხადია, მასაც დაუკავშირდებოდა, როგორც კოლეგას. გარდა ამისა, ადვოკატ „პ“-ს თქმით, კლიენტებთან უთანხმოება ჰონორარის საკითხს ეხებოდა, თუმცა იქვე დასძინა, რომ ძალიანაც რომ ეთხოვათ, აღარ იქნებოდა მათი წარმომადგენელი. საუბრის დასრულებისას ისევ უხეშად მიმართა ადვოკატ „დ“-ს ფრაზით: „აპელაციამ ი ერთ დარბაზში უნდა ვისხდეთ და მაგაზეც დაფიქრდი“.

შეკითხვა:

ხომ არ დაარღვევს ადვოკატი „დ“ ეთიკის კოდექსს, თუ ზემოაღნიშნულ 4 ფიზიკურ პირს გაუწევს იურიდიულ მომსახურებას და მათ ინტერესებს წარადგენს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში?

ანალიზი:

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ „დ“-ს ქმედებათა აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები შესასწავლია ინტერესთა კონფლიქტისა და კონფიდენციალობის დაცვის კუთხით. კომისიამ ამ ფაქტებში ვერ დაინახა კოლეგიალობის მარეგულირებელ ნორმათა დარღვევა ადვოკატ „დ“-ს მხრიდან.

შესაფასებელია, თავდაპირველ კლიენტთან ერთად დანარჩენ მოსარჩელეთა ინტერესების წარმოდგენა მოცემულ საქმეში ხომ არ შექმნის ინტერესთა კონფლიქტს.

შეკითხვაში აღნიშნული ჰიპოთეტური ფაქტებიდან ჩანს, რომ თანამოსარჩელეთა შორის ინტერესთა დაპირისპირება ამჟამად არ არსებობს და საკმარისი ფაქტები არ არის მოყვანილი იმის შესაფასებლად, შეიძლება თუ არა მომავალში შეიქმნას ასეთი კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ეთიკის კომისია თავის რეკომენდაციაში არ ეხება საკითხს, თუ რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა ამ საფრთხის შესაფასებლად (მაგ: საკმარისია *prima facie*-ის სტანდარტი, თუ საჭიროა საკითხის გულისხმიერი და საფუძვლიანი შემოწმება). შეფასების სტანდარტი შეიძლება უკავშირდებოდეს კონკრეტულ გარემოებებს. ვინაიდან, წინამდებარე შეკითხვაში საკმარისი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი დავის შინაარსზე, თანამოსარჩელეთა ურთიერთკავშირსა და შესაძლო მოთხოვნებზე ერთმანეთის მიმართ, კომისია ვერ განიხილავს ამ რთულ საკითხს *dicta*-ს ფარგლებში. უმჯობესია, ეს დადგინდეს კომისიის პრაქტიკით. თუ ადვოკატის შეკითხვა კონკრეტულად ამ საკითხს შეეხება, სავარაუდოდ, ის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის განსახილველია. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის, კომისია მხოლოდ ხაზს უსვამს ცნობილ გარემოებას, რომ ადვოკატის შესაფასებელია ინტერესთა

კონფლიქტის დადგომის საფრთხე და მისი ალბათობა.

მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იყო თუ არა ასეთი საფრთხის გამორიცხვა, თუკი ინტერესთა კონფლიქტი შემდგომში წარმოიშვება, ადვოკატი იძულებული იქნება, უარი თქვას როგორც პირველ, ასევე შემდგომში შეძენილ კლიენტთა ინტერესების დაცვაზე სასამართლოში.

აპეკ-ის 6.5 მუხლის შესაბამისად, „ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“ ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს ადვოკატის ჰონორარზე, ასევე, არ შედიოდეს თავდაპირველი კლიენტის ინტერესებში. თუმცა, როდესაც წარმომადგენლობა წყდება პროფესიული წესების დაცვით, ეს არ იქნება პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, თუნდაც პირველი კლიენტი ეწინააღმდეგებოდეს ურთიერთობის შეწყვეტას; საკუთარი კომერციული ინტერესი კი ადვოკატის შესაფასებელი საკითხია.

დასკვნის სახით, კომისია აღნიშნავს, რომ თუ თანამოსარჩელეთა შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე, ადვოკატს შეუძლია, წარმოადგინოს რამდენიმე ან ყველა მოსარჩელის ინტერესები.

ადვოკატის შეკითხვიდან გამომდინარე, მას აინტერესებს ქმედების შეფასება კონფიდენციალობისა და კოლეგიალობის პრინციპთა დაცვის კუთხით.

2012 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებამდე, აპეკ-ში მითითებული იყო, რომ „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია, აცნობოს კოლეგას ამ კლიენტისთვის კონსულტაციის განწვეის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების განწვეის დაწყების შესახებ“ (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია). აღნიშნული ნორმა გაუქმდა, რადგან მისი შესრულებით ადვოკატს შეეძლო კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა, კლიენტის მიმართ ვალდებულებებს კი უპირატესი ძალა აქვს კოლეგიალობის პრინციპთან შედარებით (იხ. აპეკ-ის 10.2 მუხლის ახლანდელი რედაქცია).

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის არსია, კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატმა არ გაამჟღავნოს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია, ან არ გამოიყენოს ის სხვა კლიენტის სასარგებლოდ.⁶⁹

⁶⁹ „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეთიკის კოდექსის მოცემული მუხლის წინა რედაქციით, როგორც ეთიკის კომისიის პრაქტიკით გამოვლინდა, ვერ იფარებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემცველი შემთხვევები. ეთიკის კომისიამ, ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი იმგვარად განმარტა, რომ ის არსებითად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე გავრცელდა. ადვოკატს უფლება არ ჰქონდა, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოედგინა ერთი მხარე, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოში მონიშნა დამატებითი მხარის ინტერესები დაეცვა ყოფილი კლიენტის

ადვოკატის დაპირება, რომ პოტენციურ კლიენტებთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისთანავე დაუკავშირდებოდა თავისი კლიენტების ყოფილ ადვოკატს, პრობლემურია განხორციელების კუთხით: ის, რომ კლიენტებმა მიმართეს ადვოკატს და იგი დათანხმდა მათთვის რჩევის მიცემას, შესაძლოა იყოს კონფიდენციალური ინფორმაცია. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 7.1.ბ მუხლის შესაბამისად, ადვოკატმა „არ [უნდა] გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა“. შესაბამისად, თუ ახალი კლიენტები მოითხოვდნენ თავიანთი ვინაობის დაფარვას, ადვოკატი ვერ შეასრულებდა დაპირებას, ხოლო თუ მაინც მიანჯვდიდა ამ ინფორმაციას თავის კოლეგას, დაარღვევდა - კონფიდენციალობის პრინციპს, რომლის დაცვაც მისი უმნიშვნელოვანესი პროფესიული ვალდებულებაა. რადგან საქმე სასამართლოში განიხილება, გარკვეულ ეტაპზე (მაგ: ღია სასამართლო პროცესზე) ადვოკატის ჩართვა გახდება საჭარო, თუმცა მანამდე კლიენტს შესაძლებელია ამ ფაქტის კონფიდენციალურად შენახვა სურდეს.

ადვოკატი შეიძლება არღვევდეს კონფიდენციალობის პრინციპს, რადგან ჰონორარის ოდენობა, მისი გადახდის საკითხები და თუნდაც ფაქტი, რომ კლიენტი არ უხდის ჰონორარს, კონფიდენციალურია. მისი გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ აპკ-ის 4.4(გ) მუხლის წინაპირობების არსებობისას და შესაბამის ფარგლებში. აღნიშნული მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება კოლეგისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებისას. თუმცა, ადვოკატ „პ“-ს ქმედების შეფასება სცდება შეკითხვის ფარგლებს, ამიტომ კომისიამ არ იმსჯელა ამ საკითხზე.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია, საქართველოს სასამართლოში წარმოადგინოს რამდენიმე მოსარჩელე, თუ მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ადვოკატის დაპირება, რომ კლიენტის ყოფილ ადვოკატს აცნობებს მისი საქმეში ჩართვის შესახებ, შესაძლებელია ქმნიდეს კონფიდენციალობის დარღვევის რისკს, თუკი კლიენტი მოითხოვს საქმეში ჩართვაზე ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვას სასამართლო განხილვამდე, ან სხვა საჭარო საპროცესო მოქმედებამდე.

წინააღმდეგ. თუმცა, მუხლის ასეთი ფორმულირებით წარმომადგენლობა შეზღუდული ვერ ექნებოდა, როდესაც ხდებოდა სარჩელის საფუძვლის ან საგნის ცვლილება, ვინაიდან აღნიშნული სარჩელის შეცვლას გულისხმობდა, ან ადგილი ჰქონდა სარჩელის ორივე ელემენტის ცვლილებას, რაც ახალი სარჩელის შეტანაში გამოიხატებოდა“ (იხ. ჟურნალი „ადვოკატი“, N2, ეთიკის კოდექსის კომენტარები, გვ. 21-25; ეთიკის კომისიის საქმიანობა, 2014-2016 წლების პრეცედენტები, რეკომენდაციები, გვ.31).

თავი 7

კოლუმბიის პრინციპი

ადვოკატი ვადებუდია, პატივი სცეს კოლეგებს, ახ შედახოს მათი ღიხსება და დაიცვას პიროფესიული ღიხებუდებები (აპეკ-ის მე-7 მუხდი).

პიროფესიის კოპოპიტიული ახი მოითხოვს ადვოკატთა შოხის ნდობასა და თანამშოომდობაზე დამყაიხებუდ უხითიეხობას მათი კდიენტების სასაიგებდოდ სასამაიხთლო პიროცესების და სხვა კდიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, დაუშვებუდია კდიენტის ინტეიესებზე წინ პიროფესიის ინტეიესების დაყენება (აპეკ-ის 10.2 მუხდი).

7.1 ადვოკატის მიერ კოლუმბისა და მოდავე მხარისადმი მიმართვის ფარგლები

წერილობითი რეკომენდაცია 006/15, 2015 წლის 04 სექტემბერი⁷⁰

ფაქტები:

მედიაციის სესიის მიმდინარეობისას, ადვოკატმა მოპასუხე მხარეს ხმამაღალი ტონით მიმართა სიტყვებით: „შე ტუტუცო, უზრდელო, მატყუარა ... მე ვიცი, შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ...“ მოპასუხე მხარის ადვოკატს კი უთხრა: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და ამიტომ იქცევა ასე; თქვენ შეგყავთ მხარე შეცდომაში; თქვენ არ იცნობთ ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას; გირჩევთ წაიკითხოთ.“

ასეთი რეაქცია გამოიწვია მოპასუხე მხარის მიერ დასმულმა შეკითხვამ: „თქვენ ქმარი გყავთ?“

შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს მოპასუხე მხარის ადვოკატი? რა მექანიზმები არსებობს ადვოკატის შესაჩერებლად და ეკისრება თუ არა ასეთი ქმედებისათვის ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა?

70 <https://bit.ly/3kIHc9a>

ანალიზი:

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის თანახმად, ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან, ასევე, ნებისმიერი სხვა პირთან, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას, იშვიათად ანუ არამუდმივად – არაპერმანენტულადაც კი.⁷¹

შეკითხვაში აღწერილი ქმედებებიდან რიგი გამონათქვამები (მაგ: „შე ტუტუცო“, „უზრდელო, მატყუარა“) სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას. ეს სიტყვები არ ასახავს საადვოკატო საქმიანობას, რადგან არ მიეკუთვნება იურიდიულ, მათ შორის, „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ არცერთ მოქმედებას.

აღნიშნული სიტყვების მთქმელი ადვოკატი თავისი კლიენტის საკითხის განხილვისას იმყოფება სასამართლოს მსგავს ინსტიტუციაში და მის ინტერესებს უნდა წარმოადგენდეს იურიდიულ ფორმატში, თუმცა არცერთი ამ ფრაზათაგანი არ ემსახურება ამ მიზანს. შესაბამისად, ასეთი მოქმედება არ არის საადვოკატო საქმიანობა, ანუ ადვოკატი ამ მომენტში არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს და არ ასრულებს პროფესიულ მოვალეობას.

მითითებული სიტყვები გამოიყენება კონკრეტული პიროვნების დასახასიათებლად და მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისა და შეურაცხყოფისაკენ, ამ ფრაზების მთქმელი ადვოკატის კლიენტის ინტერესებში კი არ შედის მონინაალმდევე მხარის სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესაბამისად, ადვოკატის საქციელი აზიანებს ამ პროფესიისადმი ნდობასა და კლიენტის ინტერესებს, არ შეესაბამება სასამართლოს მსგავს ორგანოში განხილვის წესებს და ხელს უშლის იურიდიულ პროცედურას. როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატი ყვიროდა კიდეც და მონინაალმდევე მხარეს, ანუ მოპასუხეს მიმართა: „შე ვიცი, შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ“. ამ სიტყვების შინაარსი გულისხმობს სავარაუდო უარყოფით მოქმედებას, ზეწოლას ან სხვა სახის ქმედებას მომავალში, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად.

აღნიშნული ასევე არ მიეკუთვნება საადვოკატო საქმიანობას და მიმართულია მონინაალმდევე მხარის ზეწოლისკენ, რომ შეასრულოს ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისგან, რაც, მოსარჩელე მხარის ადვოკატის აზრით, სასარგებლო იქნება მისი კლიენტის ინტერესებისათვის.

ნიშანდობლივია ადვოკატის სიტყვიერი გამოხატვის ფორმა – შესაძლოა, ის არა მხოლოდ მორალურად იყოს მიუღებელი, არამედ კანონსაც არღვევდეს, რაც ერთი ორად ზრდის ადვოკატის პროფესიული ქცევის უარყოფითად შეფასების ხარისხს. საყურადღებოა, მოსარჩელე ადვოკატის მიერ მოპასუხე

71 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 4.5.

ადვოკატის საქმიანობაში ჩარევისა და შეფასების მცდელობა ხმამაღალი ტონით და შემდეგი სიტყვებით: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე“. ეს შეიძლება მიანიშნებდეს, რომ მოსარჩელის ადვოკატს არ აქვს გააზრებული საკუთარი პროფესიის არსი და იურიდიული მოქმედებები. კერძოდ, იგი მოწინააღმდეგე მხარეა, რაც ინტერესებისა და პოზიციების დაპირისპირებასაც გულისხმობს. ამიტომ, მოსაზრებათა შეუთავსებლობის მოლოდინი ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადვოკატს.

ამას ემატება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა, რადგან ეს პრინციპი გულისხმობს სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას. თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარის დამცველი მოქმედებს შეკითხვაში აღწერილი სახით, უფლება აქვს, მოუწოდოს მას, რომ დაიცვას პროფესიული კორექტულობა და სიტყვის თავისუფლების ზღვარი, ასევე, შეახსენოს ადვოკატის მისია და პროფესიული დანიშნულება, რაც არ მოიცავს მოწინააღმდეგე მხარის პიროვნულ შეურაცხყოფას.

ადვოკატი არის ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დამცველი და მის პროფესიულ მიზნებში არ შედის პიროვნების დახასიათება ნებისმიერი სახით. ამიტომ ადვოკატს უფლება აქვს, კოლეგას შეახსენოს, რომ მედიაციის ან სხვა განხილვებისას, სადაც კლიენტთა ინტერესებია წარმოდგენილი, დაუშვებელია, ადვოკატთა კომუნიკაცია მიმდინარეობდეს ადგილობრივი და საერთაშორისო კანონების დარღვევით.

ეს შეიძლება გაკეთდეს განხილვის პროცესში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით, და მოთხოვნილ იქნას (თუ რეგულაცია ითვალისწინებს) განმხილველი ორგანოს კონკრეტული პოზიცია მის განაცხადთან დაკავშირებით. თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები, შეუძლია საჩივრით მიმართოს ეთიკის კომისიას, თუმცა წინასწარ ვერ განისაზღვრება სამართალწარმოების შედეგი. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებულ მტკიცებულებათა და ახსნა-განმარტებათა საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. თუ განმხილველი კოლეგია ზემოხსენებული ადვოკატის მოქმედებას შეაფასებს პროფესიული ქცევის წესების დარღვევად, კოლეგია იმსჯელებს საკითხზე, ადვოკატის მიმართ დისციპლინურ სახდელს გამოიყენებს, თუ ზემოქმედების ღონისძიებას.

დისციპლინუხ სახდელს აქვს თავისი დანიშნულება - ეს არის გაფრთხილება, რომელიც გარკვეული მოქმედების გამეორების შემთხვევაში, იძლევა სიგნალს უფრო მკაცრი სახდელის გამოყენებისათვის;

ზემოქმედების ღონისძიება შედარებით მსუბუქი ფორმაა და დეკლარაციულ-შემეცნებითი ბუნება აქვს. ამაზე მიუთითებს თავად ზომის სახეც – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ადვოკატისადმი, რომლითაც ეთიკის

კომისია აძლევს განმარტებას სწორ მოქმედებათა კრიტერიუმებისა და გონივრული ფარგლების შესახებ.

დასკვნა:

ადვოკატის მხრიდან კოლეგის შეურაცხყოფა, დადასტურების შემთხვევაში, არღვევს ადვოკატებს შორის კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის დაცვის ვალდებულებას. მითითებული ფრაზების („შე ტუტუცო“, „უზრდელო, მატყუარა“) გამოყენება ადვოკატის მიერ სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას და მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისა და შეურაცხყოფისაკენ. ეს სიტყვები არ ასახავს საადვოკატო საქმიანობას. შინაარსი ფრაზისა - „მე ვიცი, შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ“ - გულისხმობს სავარაუდოდ უარყოფითი ქმედებას, ზენოლას ან სხვა სახის მოქმედებას მომავალში, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად. ხმამაღალი ტონით შეფასება - „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე“ - მეტყველებს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მცდელობაზე, რადგან ეს პრინციპი გულისხმობს სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია, სავარაუდოდ დამრღვევს მოუწოდოს, რომ დაიცვას პროფესიული კორექტულობა და სიტყვის თავისუფლების ზღვარი, ასევე, შეახსენოს ადვოკატის მისია და პროფესიული დანიშნულება განხილვის რეგულაციის ფარგლებში. ადვოკატს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს ეთიკის კომისიას. კონკრეტულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებულ მტკიცებულებათა და ახსნა-განმარტებათა საფუძველზე.

7.2 რამდენად ეთიკურია კოლეგისტის მისი კვალიფიკაციის ხარისხზე მითითება დამაკნინებელი ფორმით და მხარეთა თანდასწრებით?

ნერილობითი რეკომენდაცია 013/16, 2016 წლის 18 ნოემბერი⁷²

ფაქტები:

სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ადვოკატმა თავის კოლეგას, რომელიც მოდავე მხარეს უწევდა წარმომადგენლობას, მიმართა შემდეგი ფრაზით: „... იმდენი წელია ადვოკატი ვარ, შენნაირი ბავშვი კი არ ვარ“. ამავე პროცესს ესწრებოდა მოდავე მხარეც და წარმოიქმნა რეალური საფრთხე, რომ კლიენტს გაუჩნდებოდა თავისი ადვოკატის არაკომპეტენტურობის განცდა.

⁷² <https://bit.ly/3rvRLOX>

შეკითხვა:

სასამართლო სხდომაზე, საქმის ზეპირი განხილვისას, ადვოკატის მხრიდან თავისი პოზიციის განსამტკიცებლად და მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტთა გასაბათილებლად, საკუთარ საადვოკატო გამოცდილებაზე აქცენტის გაკეთება და, საპირისპიროდ, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის შესაძლო გამოუცდელიობაზე მითითება (მხოლოდ და მხოლოდ ამ ადვოკატის ასაკის გამო), რამდენად არღვევს კოლეგიალობის პრინციპს?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობისას დაიცვას კანონი და ეთიკის ნორმები, მათ შორის, კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის პროფესიული ვალდებულებები. აღნიშნული გულისხმობს როგორც ერთმანეთის, ისე პროფესიული საქმიანობისა და პოზიციების პატივისცემას, რაც უნდა მიუღებელი იყოს კონკრეტული პოზიცია კონკრეტული ადვოკატისათვის. მსგავს შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია, გამოიყენოს საპროცესოსამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის, სარჩელი და შესაგებელი, სადაც მიუთითებს საკუთარ არგუმენტირებულ პოზიციებს.

ამ შემთხვევაში სახეზეა მიზანმიმართული განცხადება კოლეგის მისამართით, გამოხატული მოწინააღმდეგე მხარისა (კლიენტის) და საკუთარი კლიენტის წინაშე: „... იმდენი წელია ადვოკატი ვარ, შენნაირი ბავშვი კი არ ვარ“. მსგავსი მიმართვა არღვევს კოლეგიალობის პრინციპს, ვინაიდან ადვოკატი თავისი კლიენტის, მოდავე მხარისა და სასამართლოს წინაშე საკუთარ პროფესიულ ღირსებებს აყენებს თავის კოლეგის გამოცდილებაზე მაღლა, კოლეგის პროფესიულ შესაძლებლობებს კი აკნინებს.

დასკვნა:

სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატის მიმართვა კოლეგისადმი - „...იმდენი წელია ადვოკატი ვარ, შენნაირი ბავშვი კი არ ვარ“ - კომისიამ შეაფასა იმ ფაქტის გათვალისწინებით, თუ რა გარემოში და რა დროს მოხდა ეს. კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ ამავე პროცესს ესწრებოდა მხარე, რომლის ადვოკატსაც მიმართა კოლეგამ აღნიშნული ფრაზით და არსებობდა რეალური საფრთხე, რომ კლიენტს გასჩენოდა თავისი ადვოკატის არაკომპეტენტურობის განცდა. მსგავსი განცხადებით ადვოკატი თავისი კლიენტის, პროცესუალური მოწინააღმდეგის კლიენტისა და სასამართლოს წინაშე საკუთარ პროფესიულ ღირსებებს აყენებს კოლეგის გამოცდილებაზე მაღლა, კოლეგის პროფესიულ შესაძლებლობებს კი აკნინებს. თუ ადვოკატი არ ეთანხმება კოლეგის პოზიციას, შეუძლია, გამოიყენოს საპროცესოსამართლებრივი მექანიზმები და შესაბამისი გზით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

თავი 8

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაცვა

ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანახმდება, ხოდესაც ადვოკატს შეეძლო ევახაუდა, რომ შეთანხმებას ედება კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირო, გახდა სავადღებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა (აპეკ-ის მუხლი 8.1).

8.1 ნარმოვობს თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას იურიდიული რჩევის მიცემა სოციალური ქსელის გამოყენებით?

წერილობითი რეკომენდაცია 011/13, 2013 წლის 07 აგვისტო⁷³

შეკითხვა:

თუ ადვოკატი გამოეხმაურა სოციალურ ქსელში დასმულ სამართლებრივ კითხვას და კონსულტაცია გაუწია მისთვის უცნობ ან ნაცნობ ადამიანს, შეიძლება თუ არა ეს შეფასდეს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობად და ნარმოვობა თუ არა ადვოკატს ამ ურთიერთობებზე კანონმდებლობით და ეთიკის კოდექსით დარეგულირებული ვალდებულებები.

ანალიზი:

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი)“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2).

სოციალურ ქსელში სამართლებრივი შეკითხვის განთავსებით ივარაუდება, რომ მის ავტორს სურს კვალიფიციური პასუხის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა კონკრეტულად არ მიემართებოდა რომელიმე ადვოკატს, ეს არ ათა-

73 <https://bit.ly/3Bwx1dY>

ვისუფლებს ადვოკატს პროფესიულ სტანდარტთა დაცვისგან (თუნდაც თავისი ინიციატივით გასცეს პასუხი). სოციალურ ქსელში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას ის მოქმედებს, როგორც ადვოკატის სტატუსის მქონე პირი და მასზე ვრცელდება პროფესიული რეგულაციები. სამართლებრივი კონსულტაციის განწვევის მომენტიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, შესაბამისად, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა, კითხვაზე პასუხის გაცემის დროსაც იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და აპეკ-ის მოთხოვნათა დაცვით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეკითხვის ავტორი ასაჯაროებს თავის სამართლებრივ შეკითხვას, შესაბამისად, ივარაუდება, რომ სურს, საჯაროდ მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია. თუმცა, რეკომენდებულია, ადვოკატმა, რომელიც აპირებს, თავისი ინიციატივით გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია შეკითხვის ავტორს, წინასწარ შეათანხმოს მასთან, რამდენად სურს სამართლებრივ შეკითხვაზე პასუხის საჯაროდ მიღება. შეკითხვის მიხედვით, უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ სამართლებრივი კონსულტაციის მსურველი პირის მიერ სოციალურ ქსელში შეკითხვის განთავსებამ შეიძლება წარმოშვას პირთა იდენტიფიცირების პრობლემა: კერძოდ, ვერ მოხერხდეს მისი ავტორის დადგენა. ასეთ შემთხვევაშიც, ადვოკატს ეკისრება პროფესიული ვალდებულება, სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვაზე სამართლებრივი კონსულტაცია გასცეს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, იმოქმედოს პროფესიული მოვალეობების შესაბამისად და დაიცვას ეთიკის სტანდარტები.

დასკვნა:

სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვაზე სამართლებრივი კონსულტაციის გაცემა ადვოკატის ინიციატივით - მიუხედავად იმისა, ავტორი ნაცნობია თუ არა მისთვის - ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების წინაპირობაა. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, ასეთ შემთხვევაშიც იმოქმედოს პროფესიული მოვალეობებისა და სტანდარტების გათვალისწინებით და კვალიფიციურად გაუწიოს სამართლებრივი დახმარება შეკითხვის ავტორს.

თავი 9

კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედება

ადვოკატმა საქმე უნდა აწახმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წახმომადგენლის ან შესაბამისი ოჩგანოს მიეხ დანიშნული კომპეტენციური პიხის მითითებით, სავადლებუდო დაცვის შემთხვევაში (აპეკ-ის 8.2 მუხდი).

9.1 უნდა გაასაჩივროს თუ არა ადვოკატმა განაჩენი დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, როცა კლიენტთან კომუნიკაცია შეუძლებელია?

ნერილობითი რეკომენდაცია 002/14, 2015 წლის 08 იანვარი⁷⁴

ფაქტები:

დაცვის ორდერისა და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში იცავდა იმ მსჯავრდებულის ინტერესებს, რომლის მიმართაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი. ორდერის მოქმედების ვადად განსაზღვრულია აპელაცია. ეს საქმე სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა პროკურორის საჩივრის საფუძველზე. იგი ითხოვდა გამოყენებული პირობითი მსჯავრის შეცვლას პატიმრობით, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ.

მსჯავრდებული, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვებში, სააპელაციო სასამართლოში კი ჩართული იყო დასკვნითი სიტყვის ეტაპამდე: ის არ დასწრებია ადვოკატის დასკვნით სიტყვას და არ უსარგებლია საბოლოო სიტყვის წარმოქმნის უფლებით. დღეისათვის მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი ადვოკატისთვის უცნობია. შესაბამისად, უცნობია მისი პოზიცია საკასაციო წესით გასაჩივრების თაობაზე.

74 <https://bit.ly/3eJtyPP>

შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ადვოკატი, რომ არ დაარღვიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაცვის უფლება: დასაცავი პირის თანხმობის გარეშე, პირადად გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს განაჩენი (დადგენილი 1-თვიან ვადაში), თუ არ გაასაჩივროს, რათა არ მოუსპოს დაკავების ან გამოცხადების შემთხვევაში გასაჩივრების უფლება?

ანალიზი:

კომისიის განმარტებით, ვინაიდან შეკითხვიდან არ ჩანს, რომ ადვოკატი ახორციელებდა სავალდებულო დაცვას, სიტუაცია უნდა განიხილოს აპეკ-ის 8.2 მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ადვოკატი არ არის ვალდებული, განაჩენი გაასაჩივროს პირადი ინიციატივით, რადგან სახეზე არ გვაქვს სავალდებულო დაცვა. მითითებული გარემოებების მიხედვით, როგორც ორდერის, ასევე იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობა უნდა გაეწია სააპელაციო სასამართლოში და არ ჰქონდა უფლება, დასაცავი პირი წარმოედგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

აპეკ-ის თანახმად, ადვოკატს ამონურული აქვს თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა და არ ეკისრება ვალდებულება, საკუთარი ინიციატივით გააგრძელოს დავა. სსსკ-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს და არ უნდა მოქმედებდეს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში „მითითება“ არ არსებობს, ბრალდებულის „ინტერესებზე“ კი არაფერია ცნობილი. სრულიად დასაშვებია, მას სურდეს, შემდგომში, დაკავების ან გამოცხადების შემდეგ ჰქონდეს გასაჩივრების უფლება, ასეთ დროს ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება კი შეიძლება გახდეს კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგო ქმედება. ამ პირობებით, აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრება იქნება არა უკანონო, არამედ უნებართვო ქმედება, რაც ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

დასკვნა:

თუ ადვოკატისათვის არ არის ცნობილი ინფორმაცია კლიენტის ნებისა და ინტერესის შესახებ, მან არ უნდა იმოქმედოს კლიენტის სახელით. ადვოკატი არ არის ვალდებული, გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან არ აქვს ასეთი მითითება კლიენტისაგან. კლიენტის მიერ რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია, მასთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას განსახორციელებელი მოქმედებები.

შეკითხვაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებში ადვოკატს არ აქვს უზენაეს სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობის უფლებაც, ვინაიდან ორდერი გაცემულია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისათვის. ასევე, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი მსჯავრდებულის ინტერესებს იცავს სააპელაციო სასამართლოში.

თავი 10

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და შესაბამისი განაკვეთის წინასწარ შეთანხმება კლიენ- ტთან

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (აპეკ-ის 8.8 მუხდი.)

10.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა წარმატების ჰონორარის განსაზღვრისას?

წერილობითი რეკომენდაცია 005/20 23.07.2020⁷⁵

ფაქტები:

საკმაოდ ხშირად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული მომსახურების დამკვეთ კლიენტს არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა საადვოკატო მომსახურების თანხის წინასწარ გადასახდელად. ამიტომ, მასთან წერილობითი ხელშეკრულება ფორმდება, იმ დათქმით (სხვა სათანადო პირობების შეთანხმებასთან ერთად), რომ საქმის მოგებისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თანხის რეალურად ამოღების ან ქონების საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში (როცა კლიენტი მოსარჩელეა), ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შემთხვევაში (როცა კლიენტი მოპასუხეა), კლიენტი ადვოკატს გადაუხდის მიღებული ან დაზოგილი თანხის (ქონების საბაზრო ღირებულების) გარკვეულ (მაგ: 10, 20 ან 30) პროცენტს.

შეკითხვა:

ვინაიდან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის (გასამრჯელოს) ოდენობაზე რაიმე მოწესრიგებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და აპეკ-ი

75 <https://bit.ly/3eJ05VT>

არ შეიცავს, ამ ფორმით რისკის განწვევა და საადვოკატო ჰონორარის მიღება (რაც, როგორც წესი, იურიდიული მომსახურების დაწყებიდან 2-3 წლის შემდეგ ხდება) არის თუ არა წარმატების ჰონორარი, და თუ არის, რამდენად შეესაბამება იგი ეთიკურ სტანდარტს?

ანალიზი:

ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების/წარმატების ჰონორარის განსაზღვრის საკითხზე კომისიამ იმსჯელა კეთილსინდისიერების პრინციპისა და ანაზღაურების გამოთვლის წესის ფარგლებში.

ადვოკატის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა, ან საქმის წარმატების დასრულების შემთხვევაში გადასახდელი საზღაურის გამოთვლა ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების საგანია. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელ ნორმებში რაიმე დათქმა ამის შესახებ არ არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია, აღნიშნულ საკითხზე შეთანხმებისას ადვოკატმა დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი. ეს მოიცავს ადვოკატის მიერ გასამრჯელოსა და წარმატების ჰონორარის მკაფიოდ განსაზღვრას და ამ საკითხზე კლიენტის ინფორმირებას.

ეროვნული რეგულაციისგან განსხვავებით, ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი აკონკრეტებს ჰონორარის გონივრული ოდენობის საკითხს - „ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და იყოს სამართლიანი და ზომიერი“ (მუხლი 3.4.1).

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით, ადვოკატს უფლება არ აქვს, აწარმოოს *Pactum Quota de Litis*. ეს ნიშნავს შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც იღებს იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეა და რომლის საფუძველზეც იგი იღებს ვალდებულებას, ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, თანხა იქნება ეს, თუ სხვა სარგებელი, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. *Pactum Quota de Litis* არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული საჰონორარო სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლქვეშ (მუხლი 3.3.)

აპეკ-ის ნორმები არ შეიცავს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მსგავსს რეგულირებას ჰონორარის ანაზღაურების წესთან, მათ შორის, წარმატების ჰონორარის სამართლიანად განსაზღვრასთან მიმართებით, თუმცა იგი ავალდებულებს ადვოკატს, რომ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების გამოთვლის წესი წინასწარ აცნობოს კლიენტს და მისგან მიიღოს ინფორმირებული თანხმობა ამ საკითხზე. შესაბამისად, ადვოკატმა მკაფიოდ და ნათლად უნდა განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების თითოეული ეტაპისთვის გადასახდელი ჰონორარის (მით უფრო, წარმატების ჰონორარის) ოდენობა.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ადვოკატისთვის კლიენტის მიერ გადასახდელ წარმატების ჰონორარზე და ამ ფარგლებში ხაზი გაუსვა კლიენტისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების ძირითადი პირობების ზუსტად და ნათლად განსაზღვრის მნიშვნელობას.⁷⁶

კლიენტის მიერ მიღებული ან დაზოგილი თანხიდან გარკვეული პროცენტის ადვოკატისთვის გადახდა წარმოადგენს წარმატების ჰონორარს. ამ შემთხვევაში, ადვოკატის გასამრჯელოს ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული მოვლენის დადგომაზე: შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს საქმის შედეგს, კლიენტისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემას ან თანხის ამოღებას. სკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით: „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც ის დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“. შესაბამისად, სამომავლოდ გადასახდელ ჰონორარზე მხარეებს შორის შეთანხმება არის პირობადადებული გარიგება, რაც არ ენიშნა დამდგეობა ეთიკურ ვალდებულებებს. ადვოკატის უფლებაა, კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვროს საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის სახე და ოდენობა, მათ შორის, მოითხოვოს წარმატების ჰონორარი.

შედეგად, მნიშვნელოვანია, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების/წარმატების ჰონორარის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, მათ შორის, იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია გასამრჯელოს გადახდის წესსა და პირობებზე. შესაბამისად, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრულობა მნიშვნელოვანია – ამით თავიდან იქნება არიდებული ადვოკატსა და კლიენტს შორის დავა ჰონორარის თაობაზე.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია, განსაზღვროს საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი წარმატების ჰონორარი. ეს შეიძლება გულისხმობდეს საქმის დასრულებით მიღებული ან დაზოგილი თანხიდან გარკვეული პროცენტის გადახდას, თუმცა მისი ოდენობა და გადახდის პირობები ადვოკატმა უნდა განსაზღვროს კლიენტთან შეთანხმებით. მან უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და კლიენტის ინფორმირებული თანხმობით, რაც გულისხმობს, რომ კლიენტს სათანადოდ უნდა განუმარტოს წარმატების ჰონორარის გადახდის წესი და პირობები.

⁷⁶ „ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება, ადვოკატის სამართლებრივი რისკია“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ას-1161-1116-2016).

10.2 რამდენად შეუძლია ადვოკატს განეული საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის უზრუნველყოფა იპოთეკით ან გირავნობით?

ნერილობითი რეკომენდაცია 007/17, 2017 წლის 14 აგვისტო⁷⁷

ფაქტები:

კლიენტი არაკეთილსინდისიერი გადამხდელია, რის გამოც მის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი. კლიენტს სურს, ადვოკატმა მისი ინტერესები დაიცვას სასამართლოში.

კლიენტი და ადვოკატი შეთანხმდნენ, რომ საადვოკატო მომსახურებისთვის კლიენტი სასამართლო ინსტანციების მიხედვით აანაზღაურებდა კონკრეტულ თანხას, ასევე, დავის წარმატებით დასრულების (მოგების) შემთხვევაში, ადვოკატს გადაუხდიდა ჰონორარს - N თანხის ოდენობით (პირობითი გარიგება). კლიენტი ცხოვრობს საზღვარგარეთ - სავარაუდოდ, არალეგალურად - და პერიოდულად იცვლის ადგილსამყოფელ ქვეყანას; ის თავად უკავშირდება ადვოკატს ტელეფონით.

შეკითხვა:

დაარღვევს თუ არა ადვოკატი აპეკ-ით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას, თუ მომსახურების ხელშეკრულებით კლიენტის მიერ გადასახდელი ჰონორარი უზრუნველყოფილი იქნება იპოთეკით ან გირავნობით.

ანალიზი:

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობაზე; ასევე იმაზე, რომ დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტი გადაუხდიდა გარკვეული ოდენობის ჰონორარს.

სკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით: „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე“. მხარეებს შორის დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტის მიერ შესაბამისი ოდენობის ჰონორარის გადახდაზე შეთანხმება არის პირობითი გარიგება.

77 <https://bit.ly/3BqGQu5>

შეკითხვა ეხება კლიენტის მიერ ჰონორარის გადახდის უზრუნველყოფას: კერძოდ, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას, თუ კლიენტისათვის განუული მომსახურების გასამრჯელოს (ჰონორარს) უზრუნველყოფს იპოთეკით ან გირავნობით. შეკითხვის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებებსაც, რომ კლიენტი არაკეთილსინდისიერი გადამხდელია, ხშირად იცვლის ადგილსამყოფელს და მხოლოდ თვითონ უკავშირდება ტელეფონის მეშვეობით.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება უნდა დაიდოს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად. იგი დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (სკ-ის 327-ე მუხლი (I)). მნიშვნელოვანია ჰონორარის ოდენობასა და გადახდის წესზე შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის შემდგომი ურთიერთობისათვის (აპკ-ის 8.8 მუხლის მიხედვით).

კლიენტის მიერ ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მეორე მხარეს (თავის კლიენტს) მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების - იპოთეკის ან გირავნობის გამოყენებით, ადვოკატს შეუძლია, წინასწარ დააზღვიოს რისკები, რომლებიც უკავშირდება კლიენტისგან ჰონორარის მიღებას. ასეთ დროს, ადვოკატს შეუძლია, თავიდან აიცილოს კლიენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის (ჰონორარის გადაუხდელობის) მძიმე შედეგები და ეს არ იქნება ეთიკური ვალდებულების დარღვევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ჰონორარის გადახდის უზრუნველყოფაზე ადვოკატის შეთავაზება მისაღები იყოს კლიენტისათვის. ამის გარეშე ჰონორარის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდება.

კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნულზე შეთანხმებისას, მნიშვნელოვანია, ორივე მხარემ (ადვოკატი და კლიენტი), თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და კანონის ფარგლებში თავისუფალი ნების გამოვლენით, განსაზღვრონ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსი, მათ შორის, საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარის უზრუნველყოფის საკითხი. ამასთანავე, ვინაიდან საქმე ეხება მისაღები გასამრჯელოს (ჰონორარის) უზრუნველყოფას, ეთიკის კომისიის აზრით, უნდა გამოირიცხოს შეთანხმება საურავსა და პირგასამტეხლოზე.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია, განუული საადვოკატო მომსახურებისათვის გადასახდელი ჰონორარი უზრუნველყოფს იპოთეკით ან გირავნობით, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, რითაც იგი არ დაარღვევს ეთიკურ ვალდებულებებს.⁷⁸

⁷⁸ ვინაიდან საკითხი არ იყო განსაზღვრული პრაქტიკით, მასზე იმსჯელა კომისიის სრულმა შემადგენლობამ და, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, იპოთეკით და გირავნობით ჰონორარის უზრუნველყოფის საკითხი დადებითად გადაწყდა. თუმცა, კომისიის წევრის, გ. ტურაბაშვილის ნაწილობრივ თანხმდერი მოსაზრებით, „თავისთავად, ორივე მხარის თანხმობით გამოხატული გა-

10.3 ორი ადვოკატის მიერ საქმისწარმოების შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა, ერთი ადვოკატის ანგარიშზე ჩაირიცხოს საადვოკატო მომსახურების ჰონორარი?

წერილობითი რეკომენდაცია 007/13, 2013 წლის 06 ივნისი⁷⁹

ფაქტები:

ორი ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ერთად. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას კლიენტთან დებს ორივე ადვოკატი - A-ც და B-ც, თუმცა მიღებული ჰონორარი ირიცხება B ადვოკატის ანგარიშზე და საგადასახადოსთან ანგარიშსწორებაც ხდება კანონით დადგენილი წესით. თანხა (ჰონორარი) ადვოკატებს შორის ნაწილდება მათ შორის არსებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე.

შეკითხვა:

არღვევს თუ არა ადვოკატი A ეთიკის ნორმებს, თუ ის B ადვოკატთან ერთად განხორციელებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარს მიიღებს B ადვოკატის ანგარიშზე ჩარიცხვით?

ანალიზი:

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგანზე, მხარეთა უფლება-მოვალეობებზე, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკსა და სხვა დამატებით დათქმებზე, რაც მნიშვნელოვანია საადვოკატო საქმიანობის მთელი პერიოდისთვის. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (მუხლი 3.4.1) მიუთითებს, რომ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და იყოს

რიგება კანონიერია, თუმცა ადვოკატ-კლიენტს შორის გადასახდელი საზღაურის უზრუნველყოფა კლიენტის ქონებრივი საშუალებით, განსხვავებულად უნდა შეფასდეს ეთიკური სტანდარტების დაცვით. სამართალში კონცეპტუალურად არის მიჩნეული, რომ ყადაღა, იპოთეკა, გირავნობა, გირაო და სხვა წარმოადგენენ იძულებით ღონისძიებებს, რამეთუ მხოლოდ ამ მექანიზმების საშუალებით ხდება მხარის იძულება (არა თავისუფალი ნება), ან გადაუხადოს საზღაური ადვოკატს, რომ შეინარჩუნოს უზრუნველყოფილი მისი ქონება, ან მისი ქონება მისივე ნების გარეშე რეალიზებული იქნება ადვოკატის მიერ და რეალიზებულიდან ადვოკატი მიიღებს საზღაურს. აღნიშნული შეუთავსებელია კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობისათვის, რადგან ეს ურთიერთობა სპეციფიკურია ხელშეკრულების ხასიათის გამო, რადგან მისი მხარე პროფესიათა თავისი არსით, რასაც ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვა ჰქვია... ერთი შემთხვევა, რომელიც შესაძლებელია პროპორციული იყოს პროფესიულ ეთიკასთან, ეს არის თავად კლიენტის შეთავაზება, რომ ასეთი ფორმით მოახდენს ადვოკატის საზღაურის გადახდის უზრუნველყოფას...”

79 <https://bit.ly/3kl14vX>

სამართლიანი და ზომიერი.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ჰონორარზე კლიენტის ინფორმირების წესი დაცულია, თუმცა ვინაიდან კლიენტის საქმეს ერთდროულად ორი ადვოკატი აწარმოებს, შესაფასებელია, მათ შორის ჰონორარის განაწილების წესი ხომ არ ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

ადვოკატების მიერ კლიენტის ინფორმირება ჰონორარის მიღების წესზე

ვინაიდან კლიენტს ორივე ადვოკატი უწევს საადვოკატო მომსახურებას წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, მათ კლიენტს უნდა გააცნონ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა და გადახდის პირობები. კლიენტი ორივე ადვოკატის იურიდიული მომსახურების ჰონორარს რიცხავს ერთ-ერთი ადვოკატის ანგარიშზე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, კლიენტსა და ორივე ადვოკატს შორის არსებობდეს მკაფიო, ნათელი და გასაგები წერილობითი ურთიერთშეთანხმება, რომ B ადვოკატის ანგარიშზე დარიცხული ჰონორარი არის ორივე ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება. ეს მათ აარიდებს შესაძლო დავას.

თავისთავად, საადვოკატო მომსახურების მიღების წესზე კლიენტთან შეთანხმებით, ადვოკატებს არ ეზღუდებათ დამოუკიდებლად შეთანხმება კლიენტის მიერ გადახდილი ჰონორარის განაწილებაზე. შესაბამისად, თუ შეკითხვაში აღნიშნული A ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას B-სთან ერთად ახორციელებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, B ადვოკატის ანგარიშზე დარიცხული ჰონორარის განაწილებით A ადვოკატი არ დაარღვევს ეთიკურ ვალდებულებას.

კომისიამ განმარტა, რომ ერთობლივი პასუხისმგებლობით კლიენტის საქმის წარმოებისას, ადვოკატთა შორის ჰონორარი შეიძლება განაწილდეს მათი შეთანხმების შესაბამისად, თითოეულის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად, ან სხვა წესით, თუკი კლიენტი ეთანხმება ჰონორარის ამგვარ განაწილებას.

დასკვნა:

A და B ადვოკატების მიერ კლიენტის ინტერესების ერთობლივად დაცვისას, თუ მათი მომსახურების ჰონორარი ჩაირიცხება B ადვოკატის ანგარიშზე და განაწილდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, A ადვოკატი არ დაარღვევს აპეკ-ის 8.8 მუხლს, იმ პირობით, რომ ორივე ადვოკატის საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებაზე ადვოკატთა შორის შეთანხმება წინასწარ ცნობილი და მისაღები იქნება კლიენტისათვის.

თავი 11

ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმის წესი

ადვოკატმა ახ უნდა ისახეებდეს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გახეობებებში, როგორც კლიენტი უძღუი იქნება, დროულად ისახეებდეს სხვა ადვოკატის იუხიდიუდი დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (აპეკ-ის 8.7 მუხდი).

11.1 რა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა მისი ინიციატივით საქმეზე უარის თქმის შემთხვევაში და როდის უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება?

წერილობითი რეკომენდაცია 008/19, 2019 წლის 22 ნოემბერი⁸⁰

ფაქტები:

კლიენტი აბსურდულ ბრალდებას უყენებს ადვოკატს და ადანაშაულებს, რომ საქმე არ აწარმოა და მიკერძოებულია, აყენებს შეურაცხყოფას (რაც ლახავს მისი, როგორც ადვოკატის სახელსა და რეპუტაციას), ასევე, ამბობს, თითქოს ინფორმაცია არ მიაწოდა საქმეზე, თუმცა კი ტელეფონითა თუ სოციალური ქსელით მუდმივად ინფორმირებული იყო საქმის შესახებ (მისი თხოვნით - *facebook*-ით, ვინაიდან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე განაცხადა, რომ ელექტრონული ფოსტა არ ჰქონდა).

კლიენტი ადვოკატთან მივიდა პრობლემით, თუმცა არ იცოდა, მოპასუხე ვინ იყო. მოპასუხის მოძიებასა და მონაცემთა გარკვევაში ადვოკატმა დიდი დრო და ფინანსები გაიღო. აღმოჩნდა, რომ ვის მიმართაც სარჩელი წარადგინეს, გარდაცვლილა ბოლო პერიოდში და ადვოკატს მოუწია სარჩელის ხელახლა მომზადება, შეტანა და სათანადო მოპასუხის მოძიება.

თავის მხრივ, ამ ყველაფერმა, დროსთან ერთად, ადვოკატის დიდი რესურსი წაიღო - იგულისხმება საჯარო რეესტრში, არქივში და ექსპერტიზაზე სიარული (მაგ: პირადად დაესწრო ექსპერტიზის ჩატარებას, რითაც საფრთხე შეუქმნა თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას); ასევე, არაერთხელ, კლიენტის თხოვნით, არასალოფსე გარემოში შეხვდნენ ერთმანეთს, რადგან კლიენტს არ

80 <https://bit.ly/3hXxYjY>

ჰქონდა დრო მასთან ოფისში მისასვლელად და ა.შ.

საქმის ბოლო მოიცავდა ექსპერტიზის დასკვნის კორექტირებული ვერსიის ჩაბარებას, შემდგომში დაზუსტებული სარჩელის წარდგენას და ამ სარჩელის ორჯერ გაგზავნას მოპასუხისთვის (ვინაიდან არ ბარდებოდა სარჩელი, როგორც წესი), რაც ასევე დროს უკავშირდებოდა.

ადვოკატმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურა განახორციელა, ორჯერ დააზუსტა სარჩელი ექსპერტიზის დასკვნის კორექტირების საჭიროების გამო, რასაც უამრავი პრაქტიკული სირთულე ახლდა (მან საკუთარი ხარჯიც კი გაწია ერთი აქტის მოსამზადებლად და ბაჟის გადასახდელად, რითაც პატივისცემა გამოიჩინა კლიენტის მიმართ). მიუხედავად ამისა, კლიენტი ადვოკატს შეურაცხყოფას აყენებს, კერძოდ, ურეკავს, უყვირის და მიმართავს შეურაცხყოფელი ფრაზებით.

აშკარაა, რომ აპრილის შემდგომ ადვოკატმა ბევრი ზოგადი საკითხის მოგვარება მოასწრო მცირე დროში, თუმცა კლიენტის ახალი ბრალდებებით, მან „შედეგი ვერ დადო საქმეში“ და ადვოკატს „კარგი გადაწყვეტილება ხელში არ უჭირავს“ (ეს მაშინ, როცა გაფრთხილებული იყო, რომ საქმე შეიძლებოდა წლების განმავლობაში გაჭიანურებულიყო).

შედეგად, ადვოკატს არ სურს ამ ადამიანთან თანამშრომლობა და აქვს უფლება, შეუწყვიტოს იურიდიული მომსახურება (ხელშეკრულება გაფორმებულია იურიდიულ კომპანიასთან, რომლის დირექტორიც არის შეკითხვაში აღნიშნული ადვოკატი), ვინაიდან მას დიდი (საკმარისზე მეტიც კი) დრო აქვს ახალი ადვოკატის ასაყვანად - ჯერ ბოლო დაზუსტებული სარჩელი მოპასუხეს არც კი ჩაბარებია სასამართლოდან.

კლიენტს მომსახურების საფასური გადახდილი აქვს სრულად. ამ თანხიდან მატერიალურ ხარჯებზე (სანავის, ასლების გამოთხოვისა და სხვა ტექნიკური საკითხებისთვის) ნახევარზე მეტი ადვოკატს უკვე გახარჯული აქვს; ამას ემატება ადვოკატის ინტელექტუალური შრომა (სარჩელის სამჯერ დაზუსტება, ვინაიდან კლიენტმა მოპასუხის/მეზობლის სახელი და გვარიც კი არ იცოდა), ექსპერტებთან არაერთი გასაუბრება და მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც საჭიროა საქმისწარმოებისთვის.

შეკითხვა:

ამ შემთხვევაში, როგორ უნდა გამოიყენოს ადვოკატმა თავისი უფლებამოსილება და შეწყვიტოს კლიენტთან თანამშრომლობა კანონის სრული დაცვით?

ანალიზი:

ეთიკის კომისიამ 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ

საქმეზე 026/17 იმსჯელა საკითხზე, თუ რამდენად დაიცვა ადვოკატმა „გონივრული ვადა“ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე. გონივრული ვადის შეფასებისას, კომისიამ გაითვალისწინა დრო, რომელიც საკმარისია კლიენტის მიერ ახალი ადვოკატის მოსაძიებლად და ამ ადვოკატის მიერ საქმის გასაცნობად. „ორივე ფაქტორის გათვალისწინება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ახალი ადვოკატის ჩართულობისა და საქმის გაცნობის მოტივით სხდომის გადადება არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას, ეს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილებაა. შესაბამისად, რისკი, რომ სასამართლომ ამ მოტივით არ გადადოს სხდომა, ყოველთვის არსებობს. აქედან გამომდინარე, ეს რისკი, რომელმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კლიენტის ინტერესებს და შეუზღუდოს დაცვის უფლებით სარგებლობა, ადვოკატმა არ უნდა განიოს... კომისიამ მიიჩნია, რომ სამდღიანი ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის ინიციატივით სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის დადგენილ გონივრულ ვადად.“

ჰიპოთეტურად, მომსახურება წყდება კლიენტის საქმის სასამართლოში წარმოების ეტაპზე. კერძოდ, კლიენტის დაზუსტებული სარჩელი უნდა ჩაბარდეს მოპასუხეს.

სწორედ კლიენტის საქმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი გონივრული ვადის განსაზღვრა, რომ ახალი ადვოკატი საქმეში ჩაერთოს კლიენტის ინტერესთა დაუზიანებლად.

ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, საქმე მარტივ კატეგორიას მიეკუთვნება, თუ რთულს - ეს ერთ-ერთი ინდიკატორია ახალი ადვოკატის აყვანამდე გონივრული ვადის განსაზღვრისთვის:

როდესაც საქმე მარტივი კატეგორიისაა, შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, სულ მცირე, 2 კვირა პროცესის დღემდე ან სხვა საპროცესო მოქმედებამდე. ეს დრო საჭიროა კლიენტის მიერ ახალი ადვოკატის მოსაძიებლად და ახალი ადვოკატის მიერ საქმის გასაცნობად.

რთული კატეგორიის საქმეებში შედარებით დიდი პერიოდი დასჭირდება როგორც ახალი ადვოკატის მოძიებას, ისე მის მიერ საქმის გაცნობას.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გონივრული ვადა უნდა შეფასდეს საქმის სირთულის, საქმეზე მოპოვებული მასალის მოცულობის, კლიენტის გათვითცნობიერებულობის, საქმისწარმოების ეტაპის და სხვა გარემოებების მიხედვით. რთული კატეგორიის საქმეებში ეს შეიძლება 2 თვეც იყოს, ან კანონში განსაზღვრული მცირე საპროცესო ვადები არ იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ ადვოკატმა უარი უთხრას კლიენტს კერძო, სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის წარდგენაზე.

მომსახურების შეწყვეტისას გასათვალისწინებელია საქმის მასალების დაბრუნების, ჰონორარისა და განუული ხარჯების საკითხი:

მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატმა მასთან არსებული საქმის მასალები არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა დაუბრუნოს კლიენტს, რათა არ დაზიანდეს მისი ინტერესები და ხელი შეეწყოს ახალი ადვოკატის მიერ საქმის გაცნობას.⁸¹

კომისია ითვალისწინებს ჰიპოთეტურ ფაქტს, რომ ადვოკატს მიღებული აქვს შეთანხმებული ჰონორარი კლიენტისგან⁸², თუმცა მან, იურიდიული მომსახურების გარდა, განია სხვა ხარჯებიც (საწვავის, ასლების გამოთხოვის, ქსეროქსის, ექსპერტიზაზე სიარულისა და სხვა ტექნიკური საკითხებისთვის). შეკითხვიდან არ ჩანს, ადვოკატს წინასწარ აქვს თუ არა მიღებული სრულად განსახორციელებელი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და, შესაბამისად, საქმისწარმოების რომელ ეტაპზე შეწყდა მომსახურება.

ვინაიდან მომსახურება სრულად არ განხორციელებულა, თუ ადვოკატს წინასწარ აქვს მიღებული მთლიანი ჰონორარი და ურთიერთობა შეწყდა, იგი ვალდებულია, გამოუმუშავებელი ჰონორარი დაუბრუნოს კლიენტს, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება შეწყვეტის ინიციატორი.

პროფესიული ვალდებულებების ზუსტად შესასრულებლად, ადვოკატმა წინასწარ უნდა შეატყობინოს ხარჯებზე ინფორმაცია კლიენტს და მისგან აიღოს თანხმობა, ხარჯის განევის შემდეგ კი წარუდგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული წინაპირობების დაცვის გარეშე, ადვოკატი ვერ მოსთხოვს კლიენტს ხარჯის ანაზღაურებას, თუ კლიენტი შემდგომში თანხმობას არ განაცხადებს ამაზე. სხვა შემთხვევაში, ადვოკატი იქნება აპეკ-ის 8.6 და 8.12 მუხლების დარღვევის საფრთხის წინაშე. ის ვერც აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი წესით გამოქვითავს ასეთ ხარჯს უკვე გადაცემული ავანსიდან.

რეკომენდებულია, ჰონორარიც განისაზღვროს ისეთი წესით, რომ საქმისწარმოების შეწყვეტისას არ იყოს სადავო, რამდენი გამოიმუშავა ადვოკატმა უკვე გაწეული მომსახურებით. წარმოდგენილი ჰიპოთეტური ფაქტები არ იძლევა კონკრეტული დასკვნის გაკეთების საშუალებას. ყველაზე ნაკლებ დავას ინვესტს ადვოკატის მიერ დახარჯული დროის მიხედვით ანაზღაურება (საათობრივად

81 „ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნას გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობი იქნება“ (იხ. ეთიკის კომისიის 2012 წლის 13 დეკემბრის N047/12 გადაწყვეტილება).

82 უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბერს საქმე დს-შ/17-16 განმარტების შესაბამისად, „როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს, მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას ინვესტდეს კლიენტში“.

ან დღიურად).

სხვა შემთხვევაში, შეიძლება განისაზღვროს ეტაპობრივი ანაზღაურება, მტკიცებულებათა მოპოვების, სარჩელის მომზადების, სასამართლოსთვის მომზადების, არსებითი განხილვისა და უფრო დეტალური ეტაპების მიხედვითაც. სხვაგვარად, შესაფასებელი იქნება განუვლი სამუშაოსა და გადახდილი ჰონორარის პროპორციულობა, რასაც კომისია აშკარა შეუსაბამობის სტანდარტით შეაფასებს.

უმჯობესია, ადვოკატმა დეტალურად განეროს მისი მომსახურებისა და მისაღები ჰონორარის საკითხი. ეს იძლევა როგორც სამოქალაქო სასამართლებრივი, ისე დისციპლინური დავების არიდების საშუალებას.

ადვოკატმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების სტანდარტულ პირობებში გადახდილი თანხების დაუბრუნებლობაზე შეთანხმება ბათილია აპეკ-ით დადგენილი რეგულაციისთვის.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია თავისი მომსახურების შეწყვეტა, როდესაც კლიენტს აქვს საკმარისი დრო ადვოკატის ასაყვანად. მარტივი კატეგორიის საქმეებზე გონივრული ვადა შეიძლება იყოს 2 კვირა, თუმცა რთული კატეგორიის საქმეებზე გაცილებით მეტი დრო გახდეს საჭირო, რაც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესრულებული სამუშაოს პროპორციულად მიღებული ჰონორარის გამოსათვლელად, რეკომენდებულია, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ჰონორარის ოდენობა განისაზღვროს სამუშაო დროის მიხედვით, ან მომსახურების ყოველი კონკრეტული ეტაპისთვის. ეს მხარეებს თავიდან ააცილებს შესაძლო დავებს.

თავი 12

ანაზღაურების გადახდა ნებისმიერი პირისთვის, რომ კლიენტთან პირადად მას გაუნიოს რეკომენდაცია

ადვოკატს ახა აქვს უფლება, გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი ჰეკომენდიხებისათვის. ამ აკჩადვის დახლვევად ახ ჩაითვლება, თუკი უხთ საადვოკატო ბიუხოში მომუშავე ადვოკატი საკუთაჰი ანაზღაუხების ნაწილს გადასცემს ამ ბიუხოში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასუდ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდხეს (აპეკ-ის 8.10 მუხდი).

12.1 ეთიკურია თუ არა საზღაურის გადახდა უცხოური საადვოკატო ბიუროს საერთაშორისო ბრენდის სახელის გამოყენებისთვის

ნერილობითი რეკომენდაცია 011/16, 2016 წლის 16 სექტემბერი⁸³

ფაქტები:

ქართული და უცხოური საადვოკატო ბიუროები აფორმებენ სალიცენზიო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ქართული ბიურო საერთაშორისო ბრენდით განახორციელებს საადვოკატო მომსახურებას. ამისთვის იგი შემოსავლის გარკვეულ პროცენტს გადაუხდის უცხოურ საადვოკატო ბიუროს. ეს პროცენტი შეიძლება განსხვავდებოდეს: უფრო მაღალი იყოს, როცა შემოსავალი გენერირდება უცხოური საადვოკატო ბიუროს კლიენტისგან.

შეკითხვა:

ხომ არ ეწინააღმდეგება აპეკ-ის 8.10 მუხლს ქართული საადვოკატო ბიუროს მიერ სალიცენზიო ხელშეკრულების დადება ერთგვაროვანი სალიცენზიო პროცენტით?

83 <https://bit.ly/2UyBegE>

ანალიზი:

აპეკ-ის 8.10 მუხლი არეგულირებს ურთიერთობას კონკრეტულ ადვოკატსა და პირს შორის. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელსაც ადვოკატმა არ უნდა გადაუხადოს რაიმე სახის გადასახადი პირადად მისი რეკომენდირებისთვის.

ამ შემთხვევაში ორივე მხარეს წარმოადგენს საადვოკატო ბიურო და მათ შორის შეთანხმების შეფასება არ რეგულირდება აპეკ-ის 8.10 მუხლით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ქართული ბიუროს სახელით მოქმედებენ ადვოკატები და, ამ მხრივ, შეიძლება საკითხის ნორმის ფარგლებში შეფასება. კერძოდ, ქართულ და უცხოურ საადვოკატო ბიუროებს შორის ზემოაღნიშნული შეთანხმება არის ფრენშაიზინგი, რომელიც, სკ-ის 607-ე მუხლის მიხედვით, განმარტებულია, როგორც „გრძელვადიანი ურთიერთობა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით, ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას“.

ქართული საადვოკატო ბიურო ფრენშაიზის მიმღები კომპანიაა, რისთვისაც იკისრა ვალდებულება, გადაეხადა საზღაური საერთაშორისო ბრენდის გამოყენების უფლებისთვის. აღნიშნული შეთანხმება არის ფრენშაიზინგი, რაც არ რეგულირდება აპეკ-ის 8.10 მუხლით.

აპეკ-ის 8.10 მუხლის მიზანია, შენარჩუნდეს საადვოკატო საქმიანობის მაღალი სტანდარტი და აიკრძალოს ადვოკატის მიერ კონკრეტული პირისთვის საზღაურის გადახდა პირადად მისი რეკლამირების მიზნით. შესაბამისად, ეს მუხლი ეხება აქტიური ქმედების შედეგად კონკრეტული ადვოკატის რეკომენდირებას, ზემოაღნიშნული შეთანხმებისგან განსხვავებით, რომლის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება საერთაშორისო ბრენდის გამოყენების უფლება და, აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოურ ბიუროს ერიცხება საზღაური.

დასკვნა:

აპეკ-ის 8.10 მუხლი ირღვევა იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადვოკატი გადასახადს გადაუხდის პირს, რომელმაც პირადად გაუწია რეკომენდაცია. ამ მუხლით არ რეგულირდება ქართული საადვოკატო ბიუროს მიერ საზღაურის გადახდა საერთაშორისო ბრენდის სახელის გამოყენებისთვის. ეს უკანასკნელი გახლავთ ფრენშაიზინგი, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული შეთანხმება.

თავი 13

კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმახთებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვადებუდია, კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგაჩიშგება (აპკ-ის მუხლი 8.13).

13.1 რატომ არის მნიშვნელოვანი ადვოკატის ერთობლივი ან ნომინალური მფლობელობის სავრეგირებული ანგარიშის არსებობა და რა ეთიკური წესები უნდა გაითვალისწინოს ადვოკატმა?

წერილობითი რეკომენდაცია 010/19, 2019 წლის 04 ნოემბერი⁸⁴

შეკითხვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 7 დეკემბრის N267/04 ბრძანების საფუძველზე, ადვოკატს გახსნილი აქვს ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში.

რა პროფესიული ეთიკური ფარგლებია დადგენილი ადვოკატისთვის ამ ანგარიშის გამოყენებისა და მასზე ფინანსური ტრანზაქციის განხორციელებისას და რით რეგულირდება ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ან სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გამოყენება?

რა წინაპირობები უნდა დაიცვას ადვოკატმა ნომინალური მფლობელობის ერთობლივი და სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გამოყენებისას, რათა არ დაირღვეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა?

84 <https://bit.ly/3eKvKGv>

ანალიზი:

აპკ-ის 8.13 მუხლი შეესაბამება ადვოკატთა საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.8 მუხლის („კლიენტის ფონდები“) 3.8.1 პუნქტის თანახმად: თუ ადვოკატი საკუთარი პრაქტიკის განმავლობაში ნებისმიერ დროს მფლობელობაში მიიღებს თანხებს თავისი კლიენტის ან მესამე მხარის სახელით (შემდგომში „კლიენტის ფონდები“), სავალდებულოა, რომ: 3.8.1.1 აღნიშნული თანხები ყოველთვის საბანკო ანგარიშზე ან მსგავს დაწესებულებაში ინახებოდეს, საჯარო დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ. ადვოკატის მიერ მიღებული ყველა ასეთი თანხა ამგვარ ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი დათანხმდება თანხების სხვაგვარად განკარგვას. 3.8.1.2 ნებისმიერი ანგარიში, რომელზეც ადვოკატის სახელით კლიენტის თანხები ინახება, სათაურში ან დანიშნულებაში უნდა მიუთითებდეს, რომ თანხები ინახება კლიენტის ან ადვოკატის კლიენტების სახელით. 3.8.1.3 ნებისმიერი ანგარიში, რომელზეც კლიენტის თანხები ადვოკატის სახელით ინახება, ყოველთვის უნდა მოიცავდეს თანხას, რომელიც არ არის ადვოკატის მიერ შენახული კლიენტთა თანხების სრულ ოდენობაზე ნაკლები.

ეთიკის კომისიის განმარტებით, მინდობილი თანხები კლიენტის საკუთრებაა და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მათი განკარგვა, რასაც აუცილებლად უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (იხ. აპკ-ის მუხლი 8.12). ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს ისინი პირად ფულად სახსრებთან ერთად. ამავე ნორმაში მითითებულია ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი თანხების კეთილსინდისიერად მართვას. ამ ნორმის არსი ის არის, რომ ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულებები არ გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ სახსრებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი.⁸⁵

85 ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე 098/17. ეთიკის კომისიის განმარტებით, „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც მის ქონებას არ შეადგენს. მას შემდეგ, რაც კლიენტი ადვოკატს ფულად თანხას მიანდობს, მას უჩნდება ვალდებულება, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, წერილობითი ხელშეკრულების თანახმად კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. თუ თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო - მნიშვნელობა არ აქვს, სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო - პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ადვოკატი პასუხისმგებელია, შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხისა თუ სხვა ქონების უკლებლივ დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე გააკეთოს ეს, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, ასევე თავიდან აირიდოს მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართება.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 28 იანვარს Nდს-შ/5-14 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილით დადგენილი სტანდარტის ზედმიწევნით დაცვა განაპირობებს კლიენტის ნდობას ადვოკატისადმი, როგორც ფულადი სახსრების მართვის, ისე პროფესიული ნიშნით. მითითებულ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა კი, კლიენტის ინტერესთა მაღალი ხარისხით წარმოჩენასთან ერთად, განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხსაც კლიენტსა და მისი ინტერესების დამცველს შორის.

აღნიშნული ფორმის ურთიერთობა განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტიანობას. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 7 დეკემბრის N267/04 ბრძანება, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებაში „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, ადვოკატებისთვის ითვალისწინებს ნომინალური მფლობელობის ორ ანგარიშს: ერთობლივსა და სეგრეგირებულს (ბრძანების პირველი მუხლის „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები). საკითხის რეგულირების მიზანია ადვოკატისა და კლიენტის ფინანსური ანგარიშების გამიჯვნა: თუ კლიენტი ადვოკატს სამართავად გადასცემს თავის კუთვნილ თანხებს, ადვოკატი ვალდებულია, იგი განათავსოს ცალკე ანგარიშზე, თავისი პირადი სახსრებისგან დამოუკიდებლად.

ერთობლივ და სეგრეგირებულ ანგარიშებს ძირითადად განასხვავებს ის, რომ ერთობლივი ანგარიშის შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას ყველა მსგავსი კლიენტის ერთიანი ანგარიში, სეგრეგირებულის დროს კი ანგარიში იხსნება მხოლოდ ერთი კონკრეტული კლიენტისათვის.

ინსტრუქციის მე-5 მუხლის 1-4 პუნქტების თანახმად:

1. „ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.
2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია, ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.
3. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი.
4. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის/მონაწილის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე“.

შესაბამისად, ნომინალურ ანგარიშზე განთავსებული თანხის განკარგვის სა-

კითხს წყვეტს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით.

ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განსათავსებელი თანხა არ უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული მომსახურების საბლანოს განკარგვას.

ადვოკატი უფლებამოსილია, მიიღოს ფულადი თანხა ხელშეკრულებაში მითითებული დავალების შესასრულებლად. ფული უნდა შეიტანოს ნომინალურ ანგარიშზე, უნაღდო ანგარიშსწორებით.

თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ თანხა უნდა მიიღოს ნომინალურ ანგარიშზე განსათავსებლად, პროფესიულ სტანდარტთა დაცვისათვის, ადვოკატმა და კლიენტმა, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გარდა, უნდა შეადგინონ დავალების ხელშეკრულება ფულადი სახსრების მიბარება-განკარგვის შესახებ, სადაც აღინიშნება: შედგენის ადგილი და თარიღი, ფულის გადამცემის სრული რეკვიზიტები, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, მიღების საფუძველი და მიმღები სუბიექტის რეკვიზიტები. თანხა ადვოკატს უნდა მიეზღოს კონკრეტული ვადით. ადვოკატმა ხელშეკრულების ასლი უნდა გადასცეს კლიენტს და თავისი ეგზემპლარი შეინახოს არქივში. ფულადი თანხა შეიძლება დაუბრუნდეს კლიენტს, მის მემკვიდრეს, ან თანხის ადვოკატისთვის გადაცემისას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირს.

თანხის დაბრუნების შემთხვევაში, უნდა შედგეს ოქმი თანხის დაბრუნების შესახებ და თანხა კლიენტს გადაეცეს უნაღდო ანგარიშსწორებით. ოქმში უნდა აღინიშნოს: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი, თანხის მიმღების სრული რეკვიზიტები და თანხის ოდენობა. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ ადვოკატმა და თანხის მიმღებმა. ადვოკატი უფლებამოსილია, უარი თქვას კლიენტის თანხის მიღებაზე.

დასკვნა:

ამჟამად საქართველოს საბანკო კანონმდებლობა და მომსახურება უზრუნველყოფს ადვოკატთა საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკას (პროფესიულ სტანდარტთა შესაბამისად) და ადვოკატებს აქვთ საშუალება, რომ კლიენტის მინდობილი თანხები ცალკე ანგარიშზე აღრიცხონ. ამით ადვოკატი, ერთი მხრივ, ასრულებს პროფესიის რეგულირებისთვის მნიშვნელოვან სტანდარტს და, მეორე მხრივ, უფრთხილდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესს, ვინაიდან კლიენტის თანხები, გამოსაყენებელი ტრანზაქციებისთვის, ამ ფორმით დაცული იქნება ადვოკატთან. გარიგებებისთვის ადვოკატების მიერ ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობა ხელს უწყობს ტრანზაქციების უსაფრთხოებასა და სიმარტივეს. ასევე შესაძლებელია ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის თავიდან აცილება.

13.2 რა წინაპირობები უნდა დაიცვას ადვოკატმა კლიენტის ქონების მინდობით მიღებისას?

წერილობითი რეკომენდაცია 001/21, 2021 წლის 23 მარტი⁸⁶

ფაქტები:

კლიენტი აცნობებს ადვოკატს, რომ სურს გარკვეული ფულადი სახსრების მიწოდება კონკრეტული დანიშნულებით. კერძოდ: ვინაიდან კლიენტი არის მძიმედ ავად და, ამასთან, აქვს პრობლემები სამართალდამცველ ორგანოებთან, მისი გარდაცვალების ან ქვეყნიდან იძულებით წასვლის შემთხვევაში, ადვოკატმა მინდობილი ფულადი სახსრები უნდა გადასცეს კლიენტის მეუღლეს.

მნიშვნელოვანია, რომ კლიენტსა და ადვოკატს აქვთ ხანგრძლივი პროფესიული ურთიერთობა და, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ ნდობაც.

შეკითხვა:

შეიძლება თუ არა, აპეკ-ის 8.13 მუხლიდან და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადვოკატმა კლიენტთან დადოს მინდობისა და დავალების ხელშეკრულება?

ანალიზი:

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებათა აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია კლიენტის თანხების განკარგვის მარეგულირებელი ნორმით.

კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მიბარება არ არის ტრადიციული საადვოკატო საქმიანობა, როგორცაა წარმომადგენლობის განხორციელება და იურიდიული რჩევის მიცემა. თუმცა, რადგანაც უკვე ჩამოყალიბებულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, კლიენტის მხრიდან ქონების მინდობა რეგულირდება აპეკ-ის 8.13 მუხლით.

შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტისგან მინდობილი ფულადი სახსრები შეინახოს თავისი ქონებისგან განცალკევებით და კეთილსინდისიერად მართოს, რაც მოიცავს უსაფრთხოდ შენახვასაც (მაგ: ბანკში). საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად, ადვოკატებს აქვთ ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ან სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება. შედეგად, მინდობილი სახსრები უნდა განთავსდეს სეგრეგირებულ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე. კლიენტის თანხების მიღება-გა-

⁸⁶ <https://bit.ly/36UFZUk>

ნკარგვის სპეციალური წესების არსებობა მნიშვნელოვანია სწორედ მათი კეთილსინდისიერად მართვისთვის. „ადვოკატის საბანკო ანგარიში შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიმინალური ფულის საფინანსო სისტემაში განთავსების, შენახვის და მოძრაობისთვის... ამ გარემოებების გათვალისწინებით, საადვოკატო მომსახურების სფეროში ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო-დაბალი, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი - როგორც დაბალი“ (იხ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის ანგარიში საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებაზე). ადვოკატის ვალდებულებაში ასევე შედის კლიენტისთვის, მოთხოვნისამებრ, ანგარიშგების მიწოდება.

შედეგად, კლიენტის თანხები უნდა განთავსდეს სპეციალურად გახსნილ ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებულ ანგარიშზე, რაც მოიცავს კლიენტისთვის, მოთხოვნისამებრ, ანგარიშგების მიწოდებას.

კლიენტისგან მიღებული მითითებები, რომლებიც შეეხება მინდობილი ფულადი სახსრების განკარგვას ადვოკატის მიერ, ექვემდებარება კანონიერების პრინციპს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის პირველი პრინციპია კანონიერება, რომელსაც, ყველა სხვა პრინციპთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება. „თუ ადვოკატი კლიენტს შესთავაზებს მოჩვენებითი და სხვა კანონსაწინააღმდეგო გარიგებების დადებას, თუნდაც საადვოკატო მომსახურების ფარგლებს გარეთ, კლიენტს შეიძლება დაეკარგოს ნდობა ადვოკატის მიმართ და გაუჩნდეს ეჭვი, რომ მისი მომსახურებისას ადვოკატი დაარღვევს კანონიერების პრინციპს. შედეგად, აღნიშნული პროფესიისათვის დამაზიანებელი იქნება“ (დისციპლინური საქმე N082/18 20.02.2019, პარ. 5.6).⁸⁷

შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა მიიღოს მითითება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. კლიენტის სიცოცხლეში, მისი მითითებით, ადვოკატს შეუძლია, მინდობილი ფულადი სახსრები გადასცეს მის მეუღლეს ან ნებისმიერ სხვა პირს. კლიენტის გარდაცვალების შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წყდება და ადვოკატზე გაცემული მინდობილობა უქმდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 10(დ) მუხლის შესაბამისად. შედეგად, ადვოკატი ვალდებულია, მინდობილი ფულადი სახსრები გადასცეს არა კონკრეტულ პირს, არამედ სამკვიდროს მმართველს, ან განკარგოს ისინი სამკვიდრო მონუმობის შესაბამისად. კლიენტის მითითება, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში ადვოკატმა მინდობილი თანხები გადასცეს კლიენტის მეუღლეს, ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ სამკვიდრო სამართალს.

დავის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატის მიერ მტკიცების ტვირთის ასა-

87 „კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მოიწონოს ადვოკატის ქცევა, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას, კლიენტისათვის სასურველი შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს“ (სააევკ საქმე N157/13 20.02.2013 პარ. 6.6).

წევად, რეკომენდებულია, კლიენტის მითითებები გაფორმდეს წერილობით. დამატებით, შესაძლებელია კლიენტის ხელმოწერის დამონება სანოტარო წესითაც, თუმცა საბოლოოდ ეს ადვოკატმა უნდა გადაწყვიტოს, შესაძლო რისკების შეფასების შემდეგ.

შემდეგი საკითხი, რომელიც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ საადვოკატო საქმიანობასთან დაუკავშირებელი ქონების მინდობით მიღებისას, არის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობა:

1. ადვოკატმა უნდა შეაფასოს, ხომ არ ეწინააღმდეგება მისი, როგორც კონკრეტულ საქმეში კლიენტის ადვოკატის და მინდობილი თანხების მმართველის როლები ერთმანეთს;
2. მიღებული ქონების შენახვა-განკარგვის მითითება ან ბენეფიციარის პიროვნება ხომ არ შეაფერხებს რაიმე სახით კლიენტის ინტერესების წარმოდგენას.

თუ ადვოკატს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, მას შეუძლია, შენახვის მიზნით მიიღოს კლიენტის ქონება და კანონთა შესაბამისი მითითებებით განკარგოს ის. სხვა შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია, კლიენტს ურჩიოს სხვა პირის, მათ შორის, ნოტარიუსის მომსახურებით სარგებლობა, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს ქონების დეპონირებას.

დამატებით გასათვალისწინებელია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 3.2.(ე) და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ზ) მუხლების მოთხოვნები, რომლებიც ადვოკატს ავალდებულებს, ტრასტის შექმნისას საეჭვო გარემოებების არსებობა აცნობოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ან ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. თუმცა, რადგან შეკითხვა ამ საკითხს არ ეხება, მას დეტალურად არ შევხებით.

დასკვნა:

თუ კლიენტი ადვოკატს შესთავაზებს ფულადი სახსრების მინდობას, ადვოკატმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ ქმნის ეს ინტერესთა კონფლიქტს მის დამატებით როლთან, ან სახსრების ბენეფიციართან. ადვოკატმა ასევე უნდა შეამოწმოს კლიენტის მითითების შესაბამისობა კანონთან. როცა ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს და მითითება შეესაბამება კანონს, ადვოკატს შეუძლია მინდობილი პირის ფუნქციის შესრულება, მათ შორის, კლიენტის სიცოცხლეში ქონების ნებისმიერი პირისთვის გადაცემა, თუკი სარწმუნოდ შეიტყობს შესაბამისი წინაპირობების დადგომას. უმჯობესია, მითითება წერილობითი ფორმით გაიცეს, რასაც უტოლდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება. ეს შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს კომერციული ბანკის მიერ სეკრეტირებული ანგარიშის გახსნისას. კლიენტის გარდაცვალების შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის მეუღლის ან რომელიმე კონკრეტული

პირისათვის მინდობილი თანხების გადაცემა ეწინააღმდეგება კანონს. ასეთ დროს ადვოკატმა კლიენტის ქონება უნდა გადასცეს სამკვიდრო მმართველს, ან იმოქმედოს სამკვიდრო მონაწილის შესაბამისად.

თავი 14

პროფესიული საქმიანობის რეკლამირება

ადვოკატი უფლებამოსილია, განახოციდოს საკუთარი საქმიანობის ხეკლამიება იმ პიხობით, ხომ გავხცელებუდი ინფოხმაცია სწოხია და ახ ახის შეცდომაში შემყვანი, დაცუდია პიოფესიის ძიხუედი ფასეუდობედი და პიხდაპიხ ან იხიბად ახ მიუთითებს კონკუხენცზე ან მის მომსახუხეებზე (აპეკ-ის 8¹ მუხედი).

14.1 ნარწერა „ადვოკატი (სახელი, გვარი)“, დამატე-ბითი აღნიშვნით - „ყოფილი მოსამართლე“ - ხომ არ არღვევს პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესს?

წერილობითი რეკომენდაცია 001/13, 2013 წლის 19 აპრილი⁸⁸

ფაქტები:

სადვოკატო ბიუროს შენობის გარე ფასადზე განთავსებულია სარეკლამო აბრა, ნარწერით „ადვოკატურა“ (ხსენებული აბრით სარგებლობენ ბიუროს ადვოკატები, ასევე, ბიუროსაგან დამოუკიდებლად ამავე შენობაში მომუშავე ადვოკატები, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა საქმიანობაში უპირატესობის აღსანიშნავად განათავსა მეორე აბრაც: „ადვოკატი (სახელი, გვარი)“, დამატებითი ნარწერით: „ყოფილი მოსამართლე“.

შეკითხვა:

ნარწერა აბრაზე - „ადვოკატი (სახელი გვარი), ყოფილი მოსამართლე“ - არღვევს თუ არა რეკლამირების ეთიკურ სტანდარტს?

88 <https://tinyurl.com/t7urzzwh>

ანალიზი:

ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება სარეკლამო აბრის გამოყენებით

ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირებისას უნდა დაიცვას აპკ-ის 8¹ მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი; ასევე, ადვოკატის საქმიანობას რეკლამა უნდა გაეწიოს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად.

რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატსა ან ამ ადვოკატის მომსახურებაზე.

აღნიშვნის ღირსია ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ადვოკატი უფლებამოსილია, საზოგადოებას შეატყობინოს თავისი საქმიანობის შესახებ, იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით.“

ადვოკატი უნდა საქმიანობდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირებაც სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს.

შეკითხვის მიხედვით, საადვოკატო ბიუროს საქმიანობას მოიცავს ერთი აბრა, წარწერით „ადვოკატურა“, ხოლო მის ქვემოთ განთავსებულია დამატებითი აბრა, წარწერით „ადვოკატი, სახელი, გვარი, ყოფილი მოსამართლე“.

იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად დაცულია ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები აპკ-ის შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, არის თუ არა შეკითხვაში აღნიშნული აბრები რეკლამის სახეობა.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.1 მუხლის მიხედვით, რეკლამა განმარტებულია, როგორც „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში - საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“.

შეკითხვაში აღნიშნული ორივე წარწერა გაკეთებულია აბრებზე, რომელთა მიზანია ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირება. კერძოდ, შენობის გარე ფასადზე აბრების განთავსება წარწერებით „ადვოკატურა“ და „ადვოკატი

(სახელი, გვარი) ყოფილი მოსამართლე“, გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ წარწერა ჩაითვალოს რეკლამად, აბრა უნდა განთავსდეს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში აღნიშნული წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც: „ეკონომიკური აგენტის (მწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დამორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც“.

ასევე დაცული უნდა იყოს რეკლამის განთავსების წესი ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-8 პუნქტებით“.

თუ შეკითხვაში აღნიშნული წარწერები განთავსებულია „რეკლამის შესახებ“ კანონის შესაბამისად, შემდეგ უკვე შეიძლება შეფასდეს ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მიხედვით.

შეკითხვაში მოცემული პირველი აბრა, წარწერით „ადვოკატურა“, მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ ამ შენობაში განთავსებულია საადვოკატო ბიურო. შესაბამისად, აბრის წაკითხვის შემდეგ, არსებობს მოლოდინი, რომ იურიდიული კონსულტაციის მსურველს შეუძლია მიმართოს აღნიშნულ ბიუროს. თუმცა, წარწერა „ადვოკატურა“ ზოგად ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ რეკომენდებულია, საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი, და მისი საქმიანობა არ გამოიხატოს გვარეობითი ცნებით („ადვოკატურა“) - საყოველთაოდ გამოყენებული/დამკვიდრებული ტერმინით საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.

მეორე წარწერიდან მკითხველი იგებს არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობას, არამედ დამატებით ინფორმაციას, რომ ადვოკატს აქვს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება. ორივე რეკლამის შედარებისას შესაძლოა ყურადღება მიიქციოს იმ წარწერამ, სადაც მითითებულია კონკრეტული ინფორმაცია ადვოკატზე, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ პირი ამ აბრების წაკითხვის შემდეგ უპირატესობას აუცილებლად იმ ადვოკატს მიანიჭებს, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება აქვს: შესაძლოა, საადვოკატო მომსახურების მსურველისთვის მიუღებელი იყოს იურიდიული კონსულტაციის გაწევა ადვოკატისგან, რომელიც ყოფილი მოსამართლეა.

თუ მეორე აბრის წარწერაზე აღნიშნულ პირს მართლაც აქვს მოქმედი ადვოკატის სტატუსი და იგი ნამდვილად იყო მოსამართლე, დაცული იქნება აპეკ-ის

8¹ მუხლის მოთხოვნები: გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

რამდენად დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და ხომ არ მიუთითებს პირდაპირ ან ირიბად კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე?

დამატებითი აბრა განთავსებულია იმ აბრის ქვემოთ, რომელსაც აწერია „ადვოკატურა“. განსახილველია საკითხი, ხომ არ შეიცავს წარწერა „ყოფილი მოსამართლე“ ირიბ მითითებას ამ საადვოკატო ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატთა საქმიანობაზე - კერძოდ, ხომ არ მიანიშნებს/ქმნის ილუზიას, რომ ბიუროში მომუშავე კოლეგებთან შედარებით, ყოფილი მოსამართლე უფრო გამოცდილი და პროფესიონალია.

როგორც აღინიშნა, ადვოკატმა დამატებით აბრაზე მიუთითა კონკრეტული ინფორმაცია თავის პროფესიულ გამოცდილებაზე, რისი უფლებაც ჰქონდა და რაც არ გულისხმობს ირიბ მითითებას ამ საადვოკატო ბიუროში მომუშავე სხვა კოლეგების იურიდიულ მომსახურებაზე. დამატებით აბრაზე განთავსებული წარწერა არის ერთგვარი ინფორმაცია ადვოკატზე, წარმოდგენილი გარე რეკლამის სახით, რომელიც, ადვოკატის აზრით, მომგებიანია მისი წარმატებული საქმიანობისთვის.

დასკვნა:

თუ საადვოკატო ბიუროს საქმიანობა აღნიშნულია ერთ აბრაზე წარწერით „ადვოკატურა“ და იქვე, მეორე აბრაზე განთავსებულია ამავე ბიუროში მომუშავე ადვოკატის სახელი, გვარი და წარწერა „ყოფილი მოსამართლე“, არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის 8¹ მუხლი: აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობას, ასევე, მის პროფესიულ გამოცდილებას, და ამ ადვოკატის რეკლამირების ერთ-ერთი საშუალებაა (გარე რეკლამის განთავსებით პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ინფორმაციის მიწოდება მის შესახებ). თუმცა, რეკომენდებულია, საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი, და საქმიანობის აღნიშვნა არ გამოიხატოს გვარეობითი ცნებით („ადვოკატურა“) - საყოველთაოდ გამოყენებული/დამკვიდრებული ტერმინით საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.

14.2 დაცულია თუ არა პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესი შემდეგი სარეკლამო ტექსტის გამოყენებით: „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და დაგეხმარებით“?

წერილობითი რეკომენდაცია 016/13, 2013 წლის 27 სექტემბერი⁸⁹

შეკითხვა:

არღვევს თუ არა ეთიკურ ნორმას ადვოკატი, როცა პროფესიული საქმიანობის სარეკლამო ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

„გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და დაგეხმარებით“.

ანალიზი:

ადვოკატმა, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას უნდა დაიცვას აპკ-ის 8¹ მუხლით დადგენილი პირობები: კერძოდ, გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატზე ან ამ ადვოკატის მომსახურებაზე.⁹⁰

ადვოკატის მიერ გამოყენებული ტექსტი - „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და დაგეხმარებით“ - **აკმაყოფილებს რეკლამის შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:**

(1) ტექსტი შეიცავს ინფორმაციას მომსახურებაზე, ფიზიკურ პირზე

⁸⁹ <https://tinyurl.com/3ca55rde>

⁹⁰ „ადვოკატი უფლებამოსილია, საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით“ (ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსი, მუხლი 2.6.1).

რეკლამის ცნებას განსაზღვრავს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რეკლამა არის „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“ (დამატებით, იხ. წერილობითი რეკომენდაცია 007/17, 2017 წლის 14 აგვისტო: <https://tinyurl.com/zsyztv54>).

- (შეკითხვის შესაბამისად - კონკრეტულ ადვოკატზე);
- (2) გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისთვის;
 - (3) მიემართება მომსახურებისადმი ინტერესის ფორმირებასა და რეალიზაციის ხელშეწყობას.⁹¹

იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად დაცულია ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, უნდა გაირკვეს, საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას მითითებული ტექსტის გამოყენებით, დაცულია თუ არა აპეკ-ის 8¹ მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ:

- (1) გავრცელებული ინფორმაცია სწორია;
- (2) პროფესიის ძირითადი ფასეულობები დაცულია;
- (3) ტექსტი არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

ნიშნავს თუ არა სარეკლამო ტექსტი საქმეზე გარანტიის მიცემას?

რეკლამის მიხედვით, ადვოკატი პოტენციურ კლიენტებს ჰპირდება უიმედო ვალების ამოღებაში დახმარებას. შესაბამისად, სარეკლამო ტექსტი მხოლოდ მაშინ იქნება შეცდომაში შემყვანი, თუ ადვოკატი არ გაუწევს კლიენტებს სამართლებრივ დახმარებას ასეთ საქმეებზე. იგი სარეკლამო ტექსტში მომხმარებელს არ ჰპირდება გარანტირებულ დამაკმაყოფილებელ შედეგს.

შეკითხვაში მოცემული გარემოებებიდან არ ჩანს ფაქტი, რომ ადვოკატმა კლიენტს უარი უთხრა სამართლებრივ დახმარებაზე. შესაბამისად, სავარაუდოდ, დაცულია საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისთვის ეთიკის კოდექსის 8¹ მუხლით განსაზღვრული პირველი წესი.

საქმიანობისა და მისი რეკლამირებისას, ადვოკატი ვალდებულია, იცავდეს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს. შეკითხვაში მითითებული ტექსტის გავრცელებით, ადვოკატი არ არღვევს ამ ფასეულობებს, ვინაიდან მსგავსი რეკლამით არ ირღვევა საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები. სარეკლამო ტექსტის მიხედვით, ადვოკატი არ ჰპირდება გარანტირებულ შედეგს და მიუთითებს მხოლოდ სამართლებრივ დახმარებაზე უიმედო ვალების ამოღებასთან დაკავშირებით, რაც არ გულისხმობს, რომ კლიენტისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი აუცილებლად დადგება.

რეკლამა შეიცავს ზოგად მითითებას უიმედო ვალებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და არ მიუთითებს, რომ რომელიმე ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განევის მიუხედავად, მხარისათვის სასარგებლო შედეგი არ დამდგარა („გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში?“), შესაბამისად, ის არ მიუთითებს კონკურენტსა ან მის მომსახურებაზე. აქედან გამომდინარე, დაცულია ეთიკის კოდექსის 8¹ მუხლით განსაზღვრული მესამე წესიც.

⁹¹ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.1

დასკვნა:

ადვოკატის მიერ შემდეგი შინაარსის სარეკლამო ტექსტის გავრცელებით - „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და დაგეხმარებით“ - არ ირღვევა აპეკ-ის 8¹ მუხლი, რომელიც არეგულირებს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებას. ეს ტექსტი არ არის შეცდომაში შემყვანი, არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს და არ მიუთითებს კონკურენტს ან მის მომსახურებაზე.

14.3 ადვოკატის სოციალური მედიაპარკეტიონგი

წერილობითი რეკომენდაცია 016/14, 2015 წლის 06 იანვარი⁹²

შეკითხვა:

ერთ-ერთი საადვოკატო ფირმის Facebook გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსის განცხადებები:

„ჩა გავაკეთოთ ბანკთან პირობებების დროს? პიჩვედ ჩივში, მოგვმართეთ ჩვენ. ჩვენ ზუსტად ვიცით, ჩივის უფლება აქვს ბანკს კანონით. ჩვენ ვიცით, ჩა ტიპის ხელშეკრულებები ფორმდება ბანკთან სესხების დროს და ჩოგოჩია იპოთეკის ხელშეკრულებები. შესაბამისად, ჩვენ ვიცით ის წესები, რომელთა დაცვით შეუძლია მოითხოვოს ბანკმა ხელშეკრულებების შესხულება.“

„ჩვენი გუნდი დეტალურად შეისწავლის საქმეს, თუ აუცილებელია, დამატებით შეაგხოვებს მტკიცებულებებს, დაიწყებს მოდაპაჩაკებებს მოპასუხე მხარესთან და მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, რომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი.“

„საუკეთესო იუხისტები“.

„ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათლებით, ჩა ფინანსური დავების მოგების საწინდარი.“

„თუ გჭირდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში.“

„The best lawyers of Georgia“

„თქვენს ინტერესებს დაიცავენ პიროვნობრივი იუხისტები, რომლებიც თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან.“

92 <https://tinyurl.com/wkmf4y99>

რამდენად დაცულია აღნიშნული განცხადებების სოციალურ ქსელში გამოქვეყნებით პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესი?

ანალიზი:

აპკ-ის 8¹ მუხლი ადვოკატს ავალებს, რომ საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას გაავრცელოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია.⁹³

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის შეკითხვაში მოყვანილი შემდეგი ფრაზები – „...პიხვედ ხიგში, მოგვმახთეთ ჩვენ...“; „ჩვენი გუნდი მოამზადებს სასამაჰთლო სტრატეგიას, ხომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინააღმდეგო“, „საუკეთესო იუხისგები“, „ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათებით, ხაც ფინანსური დავების მოგების საწინააღმდეგო“, „თუ გჭიხებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში“, „The best lawyers of Georgia“, „თქვენს ინტერესებს დაიცავენ პროფესიონალი იუხისგები, ხომლებიც, გახდა იმისა, ხომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები ახიან...“ – უსაფუძვლოდ პრეტენზიულია, ვინაიდან შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რომლებითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი მიიჩნევა საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში.

მითითებული ფრაზები შეიცავს პოტენციურ კონკურენტებზე ინფორმაციას, რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი, და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმოჩენას სხვაზე უკეთესად. ზემოხსენებული ფრაზებით ილახება აპკ-ით დაცული სიკეთე.

ნებისმიერ ადვოკატს უფლება აქვს, თავი საუკეთესოდ მიიჩნიოს, მაგრამ ეს სუბიექტური შეფასება საკუთარი თავის რეკლამირებისას პოტენციურ კლიენტებს (მომხმარებლებს) არ უნდა შესთავაზოს ობიექტური საფუძვლის მქონე ინფორმაციად.

ვინაიდან მითითებული ფრაზეოლოგია არ შეიცავს ინფორმაციას, რომ ეს არის რეკლამის გამავრცელებელი ადვოკატისა თუ ადვოკატთა ჯგუფის სუბიექტური

⁹³ სოციალურ მედიას, სხვა სფეროების მსგავსად, თავისი აქტიური როლი აქვს ადვოკატის საქმიანობაშიც. დღეს ადვოკატები პროფესიული საქმიანობის რეკლამირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინპლატფორმას (როგორცაა Facebook, LinkedIn, Twitter და ბლოგინგის ვებბაიტებს). შედეგად, სოციალური მედიის გამოყენება უფრო აქტუალურს ხდის მსჯელობას ინტერნეტსივრცეში ეთიკურ ვალდებულებათა დაცვის სტანდარტებზე, კერძოდ: რა სპეციფიკა ახასიათებს ონლაინსივრცეს; როგორ უნდა გაიმიჯნოს სოციალურ მედიაში ადვოკატის პირადი და პროფესიული სივრცე; ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების საკითხი; კონფიდენციალობის დაცვის თავისებურება; როგორი უნდა იყოს პროფესიული საქმიანობის რეკლამირების ფორმა და შინაარსი; (დამატებით იხ. EPIQ Company-ის სტატია Social media ethical obligations for lawyers, ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესების 7.1 და 7.2 წესის მიხედვით: <https://tinyurl.com/24n7nsut>)

აღქმა საკუთარი პროფესიული თვისებების შესახებ (მაგ: „ჩვენი აზრით“, „მიგვაჩნია, რომ“ და ა.შ.), უნდა ჩაითვალოს, რომ მისი მიზანია, მომხმარებელმა გავრცელებული ინფორმაცია აღიქვას ობიექტურ სიმართლედ, რაც, ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, უნდა ჩაითვალოს აპკ-ის 8¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევად.

პროფესიული რეკლამირების წესი შეიძლება ზოგადად დაარღვიონ იურიდიული ფირმის ხელმძღვანელმა ან პარტნიორმა ადვოკატებმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსებაზე.

დასკვნა:

თუ იურიდიული ფირმის Facebook გვერდზე მოყვანილია ფრაზები: „...პიხვედ ხიგში მოგვმახთეთ ჩვენ...“, „ჩვენი გუნდი მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, ხომედიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი“, „საუკეთესო იუხისგები“, „ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათებით, ხაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია“, „თუ გჭიხდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში“, „The best lawyers of Georgia“, „თქვენს ინტეხესებს დაიცავენ პროფესიონალი იუხისგები, ხომედიც, გახდა იმისა, ხომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები აჩიან...“, შესაძლოა დაირღვეს რეკლამირების წესი. 8¹ მუხლის მიხედვით, ადვოკატის საქმიანობაზე გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი, ასევე, პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე. შეკითხვაში აღნიშნული ფრაზები, კომისიის მოსაზრებით, არღვევს ეთიკურ სტანდარტს, რადგან მიუთითებს ადვოკატთა გარკვეული ჯგუფის საუკეთესოობაზე; ეს მაშინ, როდესაც შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რომლებითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი მიიჩნევა საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში. ასევე, მითითებული ფრაზები შეიცავს ინფორმაციას პოტენციურ კონკურენტებზე (რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი) და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმორჩენას სხვაზე უკეთესად.

14.4 დასაშვებია თუ არა, სასამართლოს ფოიეში მოძრაობა ეკრანზე სარეკლამო რგოლებში მონაწილეობა დასაშვებია?

წერილობითი რეკომენდაცია 007/13, 2013 წლის 06 ივნისი⁹⁴

შეკითხვა:

სასამართლოს შენობის ფოიეში (კანცელარიის სიახლოვეს, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს) განთავსებულ ეკრანზე საინფორმაციო ან სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს ერთი კონკრეტული ადვოკატი - საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და პროფესიული უპირატესობის ხაზგასასმელად. არღვევს თუ არა ეს პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესს?

ანალიზი:

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების ძირითადი პრინციპები:

ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირებისას უნდა დაიცვას აპეკ-ის 8¹ მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი;⁹⁵

- ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად;
- რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატზე ან ამ ადვოკატის მომსახურებაზე.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 3 (1) მუხლით რეკლამა განმარტებულია, როგორც „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში - საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“.

იმისათვის, რომ შეფასდეს ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესების

⁹⁴ <https://tinyurl.com/r9bbudfr>

⁹⁵ ადვოკატი უფლებამოსილია, საზოგადოებას შეატყობინოს თავისი საქმიანობის შესახებ, იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, ასევე, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით (ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპული ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსი, მუხლი 2.6.1).

დაცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, აღნიშნულ სარეკლამო რგოლში მონაწილეობა რამდენად არის რეკლამის სახეობა.

ამისათვის უნდა განვიხილოთ ორი ვარიანტი: თუ ეკრანზე გავა ე.წ. სასამართლოს რეკლამა, რომლის მიზანია სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისთვის გაცნობა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებსაიტზე <http://tcc.gov.ge/> განთავსებული რეკლამა) და ამ რეკლამაში გამოჩნდება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი, როგორც რომელიმე სასამართლო პროცესის მონაწილე ან სსკ-ით გათვალისწინებული მოქმედების განმახორციელებელი, ეს არ ჩაითვლება მის რეკლამად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში დარღვეულად არ მიიჩნევა აპეკ-ის 8¹ მუხლი.

თუ სასამართლოს შენობის ფოიეს ნაწილში (კანცელარიის სიახლოვეს, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს) განთავსებულ ეკრანზე გავა კონკრეტული საადვოკატო ბიუროს/ადვოკატის რეკლამა, რომელიც ხაზს უსვამს მის პროფესიულ უპირატესობას სხვა ბიუროებთან/ადვოკატებთან შედარებით, შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს აპეკ-ის 8¹ მუხლი (საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება პირდაპირ ან ირიბად არ უნდა მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე). თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო სამსახურის განმარტებით, ამ ეკრანებზე დაუშვებელია რაიმე სახის პროდუქციის ან საქმიანობის რეკლამირება. შესაბამისად, ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება.

დასკვნა:

თუ სასამართლოს შენობის ფოიეს ნაწილში (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს) განთავსებულ ეკრანზე გავა ე.წ. სასამართლოს რეკლამა, რომლის მიზანია სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობა, ამ რგოლში ადვოკატის მონაწილეობა არ ჩაითვლება მის რეკლამად; თუ აღნიშნულ ეკრანებზე გავა კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მომსახურების რეკლამა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს აპეკ-ის 8¹ მუხლი. თუმცა, მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება, ვინაიდან სასამართლოში დაუშვებელია რაიმე სახის საქონლის ან მომსახურების რეკლამირება.

14.5 რამდენად მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიული საქმიანობის რეკლამა იყოს სწორი და არა შეცდომაში შეყვანი?

წერილობითი რეკომენდაცია 014/13, 2013 წლის 06 სექტემბერი⁹⁶

შეკითხვა:

იურიდიული ფირმა სატელევიზიო რეკლამაში, *facebook*-ზე, გაზეთებში და სავიზიტო ბარათზე მიუთითებს, რომ მათი შპს არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა, რაც არ შესაბამეობა სიმართლეს.

სარეკლამო ტექსტი: „*თუ გსუხთ კვადიფიციუხი ადვოკატების მომსახუხება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ გსუხთ უიმედო ვადების ამოღება, მოგვმართეთ ჩვენ. ტედ. --- სახითაშოხისო იუხიდიული ფიხმა ---*“.

ამ ტექსტის ფონზე სატელევიზიო რეკლამაში ასახულია დამფუძნებლისა და კომპანიაში მომუშავე სხვა იურისტების ფოტოები, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ არიან. ირღვევა თუ არა ეთიკური ვალდებულებები ასეთი სარეკლამო ტექსტის გამოყენებით?

ანალიზი:

სარეკლამო ინფორმაცია ადვოკატის საქმიანობის შესახებ უნდა იყოს სწორი; მას არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში საზოგადოება და პოტენციური კლიენტები.⁹⁷

ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის რეკლამირების წესის დაცვა გულისხმობს მის მოქმედებას კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.⁹⁸

იურიდიული ფირმის მიერ გავრცელებული ტექსტი - „*თუ გსუხთ კვადიფიციუხი ადვოკატების მომსახუხება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის*

⁹⁶ <https://tinyurl.com/2rjxj9k>

⁹⁷ „ადვოკატი უფლებამოსილია, საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შეყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით“ (იხ. ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის მუხლი 2.6.1).

⁹⁸ „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე, საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“ („რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.1)

საქმეებზე, თუ გსუხთ უიმედო ვადების ამოღება მოგვმახთთ ჩვენ. გედ. ----. სა-
ეხთაშორისო იუხიდიუდი ფიხმა „---“ - არის რეკლამა „რეკლამის შესახებ“ საქა-
რთველოს კანონის 3.1 მუხლის მიხედვით, ვინაიდან ავრცელებს ინფორმაციას
მომსახურებაზე და ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, გამიზნულია პირთა განსა-
ზღვრული წრისთვის და ემსახურება საქონლისადმი ინტერესის ფორმირებასა
და რეალიზაციის ხელშეწყობას.

რა ელემენტს უნდა შეიცავდეს იურიდიული ფირმის საქმიანობა, რომ მას ენოდოს საერთაშორისო?

კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს საერთაშორისო იურიდიული ფირმის
ცნებას, თუმცა, გონივრული განმარტებისა და არსებული პრაქტიკის მიხედვით,
იურიდიული ფირმა შეიძლება იყოს საერთაშორისო, როცა: კომპანიას სხვა-
დასხვა ქვეყანაში აქვს გახსნილი ფილიალი; მისი დამფუძნებელია უცხოური
იურიდიული ფირმა; ფირმაში მუშაობს ადვოკატი, რომელსაც საქართველოს
ფარგლებს გარეთ აქვს იურიდიული პრაქტიკის განხორციელების უფლებამო-
სილება; ფირმის საქმიანობაში სხვა სახით არის მოცემული უცხოური ელემე-
ნტი, რომელიც უკავშირდება საადვოკატო მომსახურების გაწევას. ამასთან, გა-
სათვალისწინებელია, როგორ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობაში
ტერმინი „საერთაშორისო“: საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის განმარტე-
ბით, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის⁹⁹ შემოსავლის უმეტესი ნაწილი
უნდა უკავშირდებოდეს უცხოეთის წყაროს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა,
რომ კანონმდებელი პირდაპირ არ განსაზღვრავს საერთაშორისო იურიდიული
ფირმის ცნებას, ტერმინ „საერთაშორისოს“ უკავშირებს უცხოური ელემენტის
არსებობას, რაც კონკრეტული საერთაშორისო კომპანიისთვის გამოიხატება
შემოსავლის წყაროს სახით. აპეკ-ის 8¹ მუხლის შესაბამისად, საადვოკატო
საქმიანობასთან დაკავშირებული უცხოური ელემენტის არარსებობისას, სა-
რეკლამო ტექსტში იურიდიული ფირმის საერთაშორისო იურიდიულ ფირმად
მოხსენიება შეიძლება არღვევდეს საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების
წესს.

რეკლამირების წესი შეიძლება ზოგადად დაარღვიონ იურიდიული ფირმის
ხელმძღვანელმა ან პარტნიორმა ადვოკატებმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვე-
ტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსებაზე; ასევე, იმ
ადვოკატმა, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ეწევა აღნიშნულ იურიდიულ
ფირმაში და, მიუხედავად იმისა, რომ იცის რეკლამის არათავისებობის შესახებ,
არ მიუღია გონივრული ზომები ამ დარღვევის შესაწყვეტად (პირდაპირ ან
ირიბად სარგებლობს რეკლამაში საერთაშორისო იურიდიულ ფირმად მითი-
თებული კომპანიის სახელით).

⁹⁹ „1. საერთაშორისო კომპანია არის საქართველოს სანარმო, რომელიც საქართველოს მთავრობის
დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს და შემოსავალს მხოლოდ ამ საქმი-
ანობიდან იღებს. 2. პირს საერთაშორისო კომპანიის სტატუსს ანიჭებს საქართველოს მთავრობა“
(საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 23-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტები).

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დამოკიდებული იყოს შემდეგ საკითხებზე: რეკლამის შედეგად ადვოკატის მიერ მიღებული სარგებელი, ადვოკატის ჩართულობა რეკლამაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადვოკატის მიერ მიღებული ზომები ფირმის ხელმძღვანელებისთვის რეკლამის არაეთიკურობაზე ინფორმაციის მისაწოდებლად და ა.შ.

დასკვნა:

თუ იურიდიული ფირმა ავრცელებს ტექსტს, რომელიც რეკლამის სახეობაა და საადვოკატო ბიუროზე არასწორ ინფორმაციას შეიცავს (მაგ: მითითებულია, რომ ეს არის საერთაშორისო ფირმა, თუმცა მის საქმიანობაში არ არის რაიმე სახით მოცემული უცხოური ელემენტი), ირღვევა საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების წესი. გადაცდომა შეიძლება ჩაიდინოს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელმა ან პარტნიორმა ადვოკატმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მსგავსი რეკლამის განთავსებაზე; ასევე, იმ ადვოკატმა, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ეწევა აღნიშნულ იურიდიულ ფირმაში და, მიუხედავად იმისა, რომ იცის რეკლამის არაეთიკურობის შესახებ, არ მიუღია გონივრული ზომები ამ დარღვევის შესაწყვეტად.

14.6 რამდენად მიზანშეწონილი და რეკომენდებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება ადვოკატის საბიუჯეტო ფურცელზე - ე.წ. ბლანკზე, ბეჭედსა და მსგავს ატრიბუტებზე?

წერილობითი რეკომენდაცია 018/13, 2013 წლის 18 ნოემბერი¹⁰⁰

შეკითხვა:

შეიძლება თუ არა, ადვოკატმა ბლანკსა და ბეჭედზე გამოიყენოს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო?

ანალიზი:

ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც სამართლის კონკრეტული, დამოუკიდებელი სუბიექტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საკუთარ მაიდენტიფიცირე-

¹⁰⁰ <https://tinyurl.com/rckzkjzw>

ბელ საშუალებად იყენებს ასოციაციის სიმბოლიკას. სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.¹⁰¹ სწორედ ამ სიმბოლიკის ნაწილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო, რომელიც ასოციაციის კუთვნილებაა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება კანონით არ იკრძალება.

შეკითხვაში დასმულ საკითხზე არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ იმსჯელა, რამდენად მიზანშეწონილი და რეკომენდებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე - ე.წ. ბლანკზე, ბეჭედასა და მსგავს ატრიბუტებზე, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებზე ლოგოს გამოყენების შეზღუდვის საფუძველი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის აუცილებელი პირობაა, ადვოკატი განეზრიანებული იყოს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. მიუხედავად ამისა, ასოციაცია განიხილება, როგორც სამართლის კონკრეტული სუბიექტი, და არ არის მასში განეზვიანებულ პირთა კუთვნილება. ადვოკატი და საადვოკატო ბიურო დამოუკიდებელი სუბიექტები არიან და არ შეიძლება გაიგივდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, ლოგოს გამოყენების შემთხვევაში კი მესამე პირებს შეიძლება დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს ასოციაცია და არა კონკრეტული ადვოკატი.

ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება ბლანკზე, ბეჭედასა და მსგავს ატრიბუტებზე შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, რომ კონკრეტული ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო გაიგივდება ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატი აღიქმება ასოციაციის იურისტად. აღნიშნული ატრიბუტიკა გამოიყენება კლიენტებთან, სასამართლოსა და ყველა შესაძლო ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობისას.

შესაბამისად, რეკომენდებულია, ადვოკატის საიდენტიფიკაციო ნიშნები მკაფიოდ განსხვავდებოდეს ასოციაციის ნიშნებისგან. პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამ შემთხვევაში არ ენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს კეთილსინდისიერი მიზნით გამოყენების დროსაც არსებობს მესამე პირთა შეცდომაში შეყვანის საფრთხე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო შეიძლება ახორციელებდეს სხვადასხვა სახის მოქმედებას, რომლებიც არ უკავშირდება კლიენტის წარმომადგენლობას (მაგ: გასცემდეს გარკვეულ ცნობას, რომელიც შეიძლება აღიქმებოდეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ ცნობად).

101 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 12. 2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

კორპორატიული ინტერესის მნიშვნელობა

ეთიკის კომისიის განმარტებით, დისციპლინური გადაცდომა იმ ადვოკატის მხრიდან, რომელიც იყენებს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს, უფრო მეტად აზიანებს ასოციაციის პატივს, ღირსებასა და სანდოობის ხარისხს, ვიდრე მსგავსი ქმედების ჩადენა სხვა ადვოკატის მიერ. კორპორატიული ინტერესი ორივე შემთხვევაში არსებობს, თუმცა, ვინაიდან ლოგოს გამოყენებისას ადვოკატი შეიძლება შეცდომით აღიქმებოდეს ასოციაციის წარმომადგენლად და იურისტად, საფრთხის ხარისხი უფრო მაღალია.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე

ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო, რომელიც თავის საიდენტიფიკაციო საშუალებებზე იყენებს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს, შეიძლება სარგებლობდეს სანდოობის უფრო მაღალი ხარისხით, რადგან აღიქმება ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოქმედ პირად. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთიან სტანდარტებს უწესებს მის წევრებს. შესაძლოა, კონკრეტული ადვოკატი თუ საადვოკატო ბიურო, ასოციაციის ლოგოს გამოყენების შედეგად, სარგებლობდეს უსაფუძვლო უპირატესობით. ადვოკატი კორპორაციის სიმბოლიკას იყენებს ინდივიდუალური მიზნებისა და გადანყვეტილებებისთვის, შესაბამისად, სარგებლობს მისი ავტორიტეტით, რაც გავლენას ახდენს პოტენციურ კლიენტზე.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას ითვალისწინებს პრაქტიკაში არსებულ შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული ადვოკატი თუ საადვოკატო ბიურო ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს ათავსებს თავის სატიტულო ფურცელზე, ან ბანერზე (მაგ: საინფორმაციო ბრიფინგის გამართვისას), ანდა საიდენტიფიკაციო მონაცემებში იყენებს ასოციაციის იურიდიულ მისამართს და სხვა. ასეთ შემთხვევებს ხშირად შეჰყავს შეცდომაში გარკვეული პირები, რომლებმაც კონკრეტული ადვოკატი თუ საადვოკატო ბიურო შეიძლება გააიგივონ ადვოკატთა ასოციაციასთან. შესაბამისად, შესაძლოა, ბლანკზე აღინიშნოს, რომ პირი არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მიეთითოს ადვოკატის სიითი ნომერი და მისამართი, თუმცა მან არ უნდა გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო და არ უნდა შექმნას მესამე პირთა შეცდომაში შეყვანის ან მისი ასოციაციასთან გაიგივების საფრთხე.

დასკვნა:

ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მხრიდან სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება კანონით არ იკრძალება, თუმცა ამით შეიძლება შეცდომაში შევიდნენ მესამე პირები, კონკრეტული ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო გაიგივდეს ასოციაციასთან და შეიქმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა არის მისი, როგორც

კონკრეტული სსიპ-ის მაიდენტიფიცირებელი; ის დამტკიცებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ და ითვლება ასოციაციის კუთვნილებად. შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევების პრევენციისათვის, ეთიკის კომისია არ მიიჩნევს მიზანშეწონილად ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებას ბლანკზე, ბეჭედსა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებზე.

14.7 „შედგინი პასუხისმგებლობა“ - სარეკლამო სლოგანი, როგორც გარანტიის მიცემა საქმის შედეგზე?

წერილობითი რეკომენდაცია 004/14, 2014 წლის 08 მაისი¹⁰²

შეკითხვა:

ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, როდესაც საადვოკატო ბიუროს სლოგანია „შედგინი პასუხისმგებლობა“?

ანალიზი:

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს ცნებას „სლოგანი“, თუმცა აღსანიშნავია, რომ სლოგანის არსია, დასამახსოვრებელი, ლაკონიური, სხარტი და გასაგები ფრაზით მიაწოდოს პირთა განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ წრეს მთავარი იდეა ან მიზანი, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება და ასახავს ზოგადად პროფესიული საქმიანობის ან კონკრეტული პირის სწრაფვას.

ამასთან, მნიშვნელოვანია, სლოგანის შინაარსი არ საჭიროებდეს დამატებით განმარტებას, ხანგრძლივ მსჯელობას, თუ რას გულისხმობს მისი ძირითადი იდეა. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დაცული; მათ, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, უნდა შეეძლოთ, რომ ყველაზე ეფექტიანი, ლაკონიური და დახვეწილი გამოინათქვამით, ფრაზითა თუ სიტყვათწყობით, თავისუფლად და პროფესიული სტანდარტის შესატყვისად მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარ საქმიანობაზე.

პოტენციურ მომხმარებელთათვის ან, ზოგადად, პირთა განუსაზღვრელი წრისთვის დასამახსოვრებელი სლოგანის გამოყენება საადვოკატო საქმიანობაზე, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საქმიანობის, პროფესიული ღირებულებებისა და კონკრეტული პირის იმიჯის წარმოსაჩენად.

შეკითხვა სწორედ რეკლამის რეგულირებას უკავშირდება: კერძოდ, მნიშვნე-

¹⁰² <https://tinyurl.com/dav4r4we>

ლოვანია, გაირკვეს, საადვოკატო ბიუროს სლოვანს „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ რა კონტექსტით აღიქვამს პოტენციური კლიენტი ან ზოგადად საზოგადოება.

მითითებული სიტყვათწყობა შინაარსობრივად ბუნდოვანია, არ იძლევა ფრაზის განმარტების შესაძლებლობას და ბადებს შეკითხვებს:

რას ასახავს კონკრეტული სლოვანი: საადვოკატო ბიუროს პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულებას საქმისადმი და კლიენტისთვის სასურველი შედეგისაკენ სწრაფვას, თუ პასუხისმგებლობის აღებას საქმის შედეგზე, როგორც კლიენტისთვის მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესზე?

სლოვანის სახით გამოყენებული ეს ფრაზა ფართო ასპარეზს ტოვებს არაერთგვაროვანი განმარტებისთვის და მიზანშეწონილი არ არის მისი გამოყენება აპეკ-ის 8.3 მუხლის შესაბამისად, რადგან სიტყვები „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ მაღალი ალბათობით აღიქმება, როგორც გარანტია საქმის შედეგზე.

ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში კლიენტთან ურთიერთობის ერთ-ერთი ძირეული ფასეულობაა, ადვოკატმა არ მისცეს გარანტია საქმის შედეგზე; ამასთან, ეთიკის კოდექსის 8' მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის რეკლამირებისას ინფორმაცია უნდა გავრცელდეს იმგვარად, რომ შეცდომაში არ შეჰყავდეს ნებისმიერი მესამე პირი.

სლოვანში გამოყენებული სიტყვები: „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ შესაძლოა მიზიდველი აღმოჩნდეს პოტენციური მომხმარებლისთვის და არასწორი მოლოდინი შექმნას საქმის შედეგზე საადვოკატო ბიუროს მიერ პასუხისმგებლობის აღებასთან მიმართებით.

დასკვნა:

საადვოკატო ბიუროს მიერ სლოვანის „შედეგიანი პასუხისმგებლობა“ გამოყენება მიზანშეწონილი არ არის აპეკ-ის 8.3 და 8' მუხლების შესაბამისად, რადგან სლოვანში მითითებული სიტყვების ერთმნიშვნელოვნად განმარტება შეუძლებელია, არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია კი შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს: კერძოდ, პოტენციურმა მომხმარებელმა აღიქვას გარანტიად, რომ დადგება კლიენტის იურიდიული ინტერესისთვის მნიშვნელოვანი შედეგი; საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის დაუშვებლობა კი საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი ძირეული პროფესიული ღირებულებაა ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის საქმიანობისა და პროფესიული დამოუკიდებლობისთვის.

თავი 15

ადვოკატის გამოსატვის თა- ვისუფლება სასამართლო- სთან ურთიერთობისას

ადვოკატი ვადებუდია, აი შედახოს სასამართლოს და პიროცის სხვა მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატი, ხომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან გიბუნადის წინაშე, ვადებუდია, დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქვეყნის წესებს (აპეკ-ის 9.1 მუხლი).

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მახეგუდიხებელი წესები ასევე ვხედებება ადვოკატის ურთიერთობაზე პიროცის მონაწილეობთან, აგხეთვე ახბი-
გხაჟთან და ნებისმიეხ სხვა პიხთან, ხომელიც ახოხციელებს მახთდმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (აპეკ-ის 9.4 მუხლი).

15.1 შეასაბამება თუ არა ეთიკურ სტანდარტს მოსამარ- ტლის ქმელების შეფასებისას ადვოკატის მიერ ქმელები ფრაზების გამოყენება: „კატივცამულო მოსამართლავ, თქვენ ვეცდომავი შეგყავთ მონაწილეობა“?

ნერილობითი რეკომენდაცია 010/13, 2013 წლის 26 ივნისი¹⁰³

ფაქტები:

პროცის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მონმის შეცდომაში შეყვანას (მაგ: მიმართავს მონმეს, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ჩვენებას, მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა სახეზე არ არის).

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადვოკატს, მიმართოს მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით:

103 <https://bit.ly/3xT7jOK>

„პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონმე“? ჩაითვლება თუ არა ასეთი გამონათქვამი ეთიკურად?

ანალიზი:

სასამართლოს კონსტრუქციული კრიტიკა

ადვოკატები მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და არსებითი როლი აკისრიათ მის განმტკიცებაში. პროფესიული რეგულაციით, მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N(2000)21 რეკომენდაციით, ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის თანახმად, ადვოკატი სასამართლოსთან ურთიერთობისას ვალდებულია, დაიცვას ამ სასამართლოსა თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები; სასამართლოს ღირსების პატივისცემითა და მისდამი მოწინებით, პატიოსნად და უშიშრად დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები, პირადი ინტერესების, ან მისთვის თუ ნებისმიერი სხვა პირისთვის დამდგარი შედეგების მიუხედავად.

რეკომენდაციის გაცემისას, კომისიამ გაიზიარა ეთიკის კომისიის პრაქტიკა, რომელიც განმარტავს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელებისას;¹⁰⁴ აგრეთვე, მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე, რომელიც შეეხება საჯარო ინსტიტუციების, მათ შორის, სასამართლოს კრიტიკის ობიექტური შეზღუდვის კრიტერიუმებს.¹⁰⁵

რამდენად დაცულია ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართვისას მოსამართლის ქმედებას ადვოკატი აფასებს შემდეგი ფრაზით: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონმე“.

შეკითხვა ეხება ამ განცხადების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 38.4) ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე: კერძოდ, „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისთვის, რომელიც ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. ამ ნორმას საფუძვლად უდევს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, ვინაიდან, „ადვო-

104 „ადვოკატებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე, იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება“ მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ“ (იხ. ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 076/10).

105 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 10.11.2009, საქმე N31/3/421,422.

კატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“ (აპკ-ის მე-5 მუხლი).

რა ლეგიტიმური მიზანი აქვს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებას სასამართლოსთან ურთიერთობისას?

წარმოდგენილ შემთხვევაში არ ჩანს, რომ ადვოკატის გამოხატვის მიზანი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრედიტაცია. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ შუამდგომლობის მიხედვით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ ხარვეზზე აქცენტირებას („პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“) და კლიენტის ინტერესების დაცვას.

აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აზიანებს მის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და შეაფასოს იგი, რასაც „შემზღუდველი ეფექტი“ ექნება. ადვოკატს შეუძლია, გააკრიტიკოს მოსამართლე ისე, რომ არ გასცდეს პროფესიულ საკითხებზე კრიტიკის ფარგლებს. ამ შემთხვევაში, ადვოკატს უფლება აქვს, მიმართოს მოსამართლეს და მიუთითოს, რომ ის არასწორად (არაზუსტად) წარმოადგენს ან ციტირებს ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც არ ფიქსირდება სხვა საქმეში. ადვოკატს ასევე უფლება აქვს, მოსამართლეს მიუთითოს მიკერძოებაზე ან შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით (როგორც სხდომაზე, ასევე წერილობით საჩივარში), მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, ადვოკატს შეუძლია, გამოიყენოს შეკითხვაში აღნიშნული ფრაზა: „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“, რომელიც არ სცილდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

დასკვნა:

თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას, ადვოკატის შეფასება სიტყვებით - „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“ - არ ჩაითვლება პროფესიული ვალდებულების დარღვევად, ვინაიდან მიმართვა განპირობებულია კლიენტის ინტერესების დაცვით, არ არის შეურაცხმყოფელი და მიზნად არ ისახავს მოსამართლის ღირსების შელახვას. შესაბამისად, მიმართვა დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და არ სცილდება განცხადებათა გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

15.2 მოსამართლისადმი მიმართული რობელი ფრაზები არ გამოემდინარეობს კლიენტის ინტერესებიდან?

წერილობითი რეკომენდაცია 003/13, 2013 წლის 20 მაისი¹⁰⁶

შეკითხვა:

სასამართლოში საქმისწარმოების, სხდომის მიმდინარეობის ან მოსამართლისთვის წერილობით მიმართვის დროს ხომ არ დაირღვევა ეთიკური ნორმა, თუ ადვოკატი მოსამართლის მისამართით გამოიყენებს შემდეგ ფრაზებს:

- „თქვენო განსწავლულობავ“;
- „პატივცემულ მახთმსაჯულების კოხიფე“;
- „ჭეშმახიგების გამოხატულებავ“;
- „თქვენო გამოხიგულობავ“;
- „თქვენი (ან „სასამაჰთლოს“) კვადიფიციუხოობის იმედად“;
- „თქვენი (ან „სასამაჰთლოს“) უბადრო პხოფესიონალიზმის იმედად“.

ანალიზი:

ადვოკატს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, პატივისცემა გამოხატოს მართლმსაჯულების მიმართ, როგორც პროცესის მნიშვნელოვანმა მონაწილემ. საადვოკატო მოქმედება უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაირღვეს სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები და არ შეილახოს მოსამართლის ან სამართალწარმოებაში მონაწილე რომელიმე პირის უფლებები. ამ ეთიკური ვალდებულების დაცვა ადვოკატის პროფესიულ ღირსებაა.¹⁰⁷

განსახილველია, რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვა-

¹⁰⁶ <https://bit.ly/3kOEFnR>

¹⁰⁷ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე ნამსჯელი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Kyprianou V Cyprus (განაცხადი N 73797/01), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „ადვოკატს განსაკუთრებული სტატუსი ცენტრალურ ადგილს ანიჭებს სამართლის განხორციელების პროცესში - იგი შუამავალია ხალხსა და სასამართლოს შორის. მის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ სათანადო წვლილს შეიტანს სასამართლო პროცესში და გამართლებს საჯარო ნდობას. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვას.“

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.V. Switzerland (განაცხადი 10414/83) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს, გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები, იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

ლდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი მიმართვისას ადვოკატი გამოიყენებს შემდეგ ფრაზებს: „*თქვენო განსწავლულობავ*“, „*პატივცემულო მახთღმსაჯულების კოხიფევ*“, „*ჭეშმახიგების გამობატულებავ*“, „*თქვენო გამოხჩეულობავ*“, „*თქვენი (ან „სასამახთღოს“)* კვადიფიციუხოობის იმედაქ“, „*თქვენი (ან „სასამახთღოს“)* უბადლო ჰხოფესიონაიზმის იმედაქ“.

აღნიშნული ფრაზებიდან მიმართვის ფორმა არ არის „*თქვენი (ან „სასამა-ხთღოს“)* კვადიფიციუხოობის იმედაქ“ და „*თქვენი (ან „სასამახთღოს“)* უბადლო ჰხოფესიონაიზმის იმედაქ“. ისინი გამობატავენ განმცხადებლის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსამართლისადმი. შეკითხვა ეხება მიმართვის ფორმების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან, ამიტომ, რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისიამ შეაფასა მხოლოდ ის ფრაზები, რომლებიც შეკითხვაში მიმართვის ფორმით არის წარმოდგენილი.

ზოგადად, მოსამართლისადმი მიმართვის ფორმად მიღებულია ისეთი ტრადიციული ფრაზები, როგორცაა: „*თქვენო ღიხსებავ*“, „*პატივცემულო მოსამახთღე*“ და „*ბატონო/ქაღბატონო მოსამახთღე*“. ამგვარი მიმართვა პატივისცემას გამობატავს მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლის მიმართ.

„*თქვენო განსწავლულობავ*“, „*პატივცემულო მახთღმსაჯულების კოხიფევ*“, „*ჭეშმა-ხიგების გამობატულებავ*“ და „*თქვენო გამოხჩეულობავ*“ არ მიეკუთვნება ტრადიციული მიმართვის ფორმებს, გაზვიადებულად ჟღერს, გადაჭარბებულად აფასებს მოსამართლეს და შეიძლება ირონიულად აღიქვას ადრესატმა ან პროცესზე დამსწრე საზოგადოებამ.

„ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისთვის, რომელიც ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“ („ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38(4)). აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს, რომ ადვოკატს შეუზღუდავად ენიჭება დაცვის გარანტიები. ადვოკატისთვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი შეიძლება შეიზღუდოს, თუ მისი განცხადებები შეურაცხყოფას აყენებს სასამართლო ხელისუფლებას ან მოსამართლეს, ან სხვაგვარად აზიანებს სამართალწარმოების ინტერესს.

მოსამართლისადმი მიმართვისას შეკითხვაში ჩამოთვლილი ფრაზების გამოყენება ვერ იქნება კლიენტის ობიექტური ინტერესი; შესაბამისად, ისინი სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებათა გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს.

მიმართვები, როგორცაა „*თქვენო განსწავლულობავ*“, „*პატივცემულო მახთღმსა-ჯულების კოხიფევ*“, „*ჭეშმახიგების გამობატულებავ*“ და „*თქვენო გამოხჩეულობავ*“, გაზვიადებულად და ირონიულად ჟღერს, რაც არ შეესაბამება ადვოკატისათვის მინიჭებულ იმუნიტეტს, არ შედის მართლმსაჯულების ინტერესში და არღვევს

ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტს. ჩამოთვლილი ფრაზები არ შეიძლება შეფასდეს მოსამართლისადმი პატივსაცემის გამოხატველად და არ უნდა გამოიყენებოდეს მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, რადგან ისინი სცილდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

სასამართლო პროცესზე ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და პროფესიული ღირებულებებისა თუ სასამართლოში ქცევის წესების შესაბამისად დაიცვას კლიენტის ინტერესები.

დასკვნა:

მოსამართლისადმი ზეპირი თუ წერილობითი მიმართვისას შემდეგი ფრაზების გამოყენება - „*თქვენო განსწავდებობავ*“, „*პატივცემულო მახთდმსაჯულების კოხიფევი*“, „*ჭეშმახიგების გამოხატულებავ*“, „*თქვენო გამოხიჩეუდობავ*“ - გადაჭარბებული და გაზვიადებულია და ობიექტურმა დამკვირვებელმა შეიძლება ირონიულადაც აღიქვას. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზებით მიმართვით დაირღვევა პროფესიული რეგულაცია, რომელიც ადვოკატს ავალდებულებს, პატივი სცეს სასამართლოში ქცევის წესებსა და სამართალწარმოებაში მონაწილე პირებს.

თავი 16

კლიენტის მოდავე მხარესთან კომუნიკაციის წესი

ადვოკატი ახუნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წახმოდგენილია ადვოკატით, გახდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე, ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება (აპკ-ის 10.4)

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც შეუძლებელია კლიენტის მოდავე მხარის ადვოკატთან დაკავშირება?

წერილობითი რეკომენდაცია 004/18, 2018 წლის 09 მარტი¹⁰⁸

ფაქტები:

ადვოკატი „გ“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ უკავშირდება კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს მისთვის ცნობილ საკონტაქტო ნომერზე, რაც ზიანს აყენებს „გ“-ს კლიენტის ინტერესებს.

შეკითხვა:

ჩათვლება თუ არა ეთიკის ნორმების დარღვევად ადვოკატ „გ“-ს მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია?

ანალიზი:

პროფესიული რეგულაცია ადვოკატს უკრძალავს საქმეზე მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებას ამ მხარის ადვოკატის გვერდით ავლით. გამონაკლის შემთხვევებს მიეკუთვნება მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა ამაზე, ან ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამავე მხარის ადვოკატთან

¹⁰⁸ <https://bit.ly/3eJslbf>

კომუნიკაციას. ზემოაღნიშნული ნორმა ადვოკატს არ უკრძალავს, რომ მოწინააღმდეგე მხარისგან ტელეფონით მიიღოს ინფორმაცია მისი ადვოკატის მოქმედ ნომერზე, ან გაიგოს ამ ადვოკატის ვინაობა და საქმესთან დაკავშირებით ზეპირი ფორმით არ განახორციელოს კომუნიკაცია.

ინიციატორ ადვოკატს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საქმეზე მოწინააღმდეგე მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ დარწმუნდება, რომ მას აღარ ჰყავს ადვოკატი. ამასთან, მნიშვნელოვანია, ინიციატორი ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალო კომუნიკაციისას განისაზღვროს მისი მოქმედების ფარგლები. კერძოდ, ინფორმაციის მიწოდებისას, მან მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა გაუწიოს საადვოკატო კონსულტაცია ან არ შექმნას ასეთი კონსულტაციის განვების შთაბეჭდილება. მას შეუძლია, მოწინააღმდეგე მხარეს ურჩიოს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე მიიღოს რჩევა დამოუკიდებელი ადვოკატისგან. თუ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირება ვერ ხერხდება, ინიციატორ ადვოკატს შეუძლია, ადვოკატთა ასოციაციის ერთიან ბაზაში მითითებულ ან სხვა ცნობილ მისამართზე გაუგზავნოს წერილი.

თუ წერილი ადრესატს არ ჩაბარდება, ადვოკატს შეუძლია, მოწინააღმდეგე მხარეს გაუგზავნოს მოცემული ინფორმაცია, მატერიალური სახით ან ელექტრონული ფორმით, რაც სხვა ადვოკატს უნდა აძლევდეს დეტალურად გაცნობის შესაძლებლობას. შეტყობინებაში უნდა აისახოს მიზეზი, თუ რატომ გაუგზავნა შეტყობინება ადვოკატმა უშუალოდ მას (მოწინააღმდეგე მხარეს), ასევე, ინიციატორი ადვოკატის მოლოდინი, რომ შეტყობინებას მოწინააღმდეგე მხარე განიხილავს თავის ადვოკატთან ერთად. შესაბამისად, ინიციატორ ადვოკატს შეუძლია, მოწინააღმდეგე მხარეს დაუკავშირდეს უშუალოდ, თუმცა ეს უნდა გაკეთდეს ისე, რომ გარანტირებულად იყოს დაცული ადვოკატის გარეშე წარმოდგენილი პირის უფლებები.

აღნიშნული სტანდარტი ეყრდნობა მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალო კომუნიკაციის აკრძალვასა და საქმეზე მორიგების მისაღწევად აუცილებელი ზომების მიღების ვალდებულებას.

დასკვნა:


თუ ადვოკატი ვერ მოახერხებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან მისთვის ცნობილ საკონტაქტო ნომერებზე დაკავშირებას, მას შეუძლია, წერილი გაუგზავნოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან ბაზაში მითითებულ ან სხვა ცნობილ მისამართზე. თუ ესეც ვერ ხერხდება, ადვოკატს შეუძლია, წერილი გაუგზავნოს უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარეს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მხარე გაგზავნილ ინფორმაციას განიხილავს თავის ადვოკატთან ერთად. აღნიშნული სტანდარტი ეყრდნობა ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას, რომელიც კრძალავს მოწინააღმდეგე მხარესთან უშუალო კომუნიკაციას.

დანართი 1

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში შემოსულ შეკითხვათა და გაცემულ რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები


ზოგადი სტატისტიკა

(2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით)




შეკითხვის ავტომატური კლასიფიკაცია


სქესის მიხედვით



სპეციალიზაციის მიხედვით




უჩბანული სტაგისტიკა




- თბილისი
- ბათუმი
- ქუთაისი
- გოჩი
- ჰესთავი
- სხვა

წეხიღობითი შეკითხვათა კლასიფიკაცია




- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განსაზღვრული 62
- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განუსაზღვრელი 36
- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განსაზღვრული, ხომელიც ხასიათდება სიხურით 17

„ცხელი ხაზის“ მეშვეობით დასმულ შეკითხვათა კლასიფიკაცია




- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განსაზღვრული 197
- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განუსაზღვრელი 70
- ეთგვახოვანი პჰაქტიკით განსაზღვრული, ხომელიც ხასიათდება სიხურით 18

მთხროვნის შინაახსი



- მაგეხიადრუხი ნოხმის განმახგება 11
- საპოცესო ნოხმის განმახგება 7
- პოპოტეგუხი შუმთხვევებზე პოაქტიკური განმახგება 255

უახი ხეკომენდაციაზე



- დისციპლინუხი წაომოებაში ახსებუდ საქმესთან შუმხებდლობა 5
- ანადოგიუხი საკოთხზე ახსებუდი წეხილობოთი ხეკომენდაცია 4
- საკოთხი ახ ეხება ეთიკის კომისიის კომპეგენციას 3

www.coe.int

ევროპის საბჭო არის კონტინენტის წამყვანი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა სფეროში. იგი შედგება 47 წევრი სახელმწიფოსაგან, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან. ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, ხელშეკრულებაზე, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების დასაცავად და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშესაწყობად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პასუხისმგებელია წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელების ზედამხედველობაზე.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE